



დანტე ალიგიერი



ახალი მსოფლივი

„ ნ ა პ ა დ ყ ლ ი „

თბილისი

1967

И (Итал)
85-3+85-1
დ 21

იტალიურიდან თარგმნეს
ბაჩანა ბრეგვაძემ და თამაზ ჩხენკელმა

დანტეს „ახალი ცხოვრება“

„ჩემი აზრით, დიდი მასშტაბის პოეტური ალეგორია მაღალი მხატვრული ფორმაა“, მისწერა ერთ ცნობილ პოეტს თომას მანმა, ხოლო მეორე აღრესატს ასე განუმარტა თავისი ესთეტიკური მრწამსის ეს, შეიძლება ითქვას, მთავარი პრინციპი: „რეალურის მიმზიდველი ძალა უჩვეულოდ იზრდება (ხელოვნებაში), როცა მისგან იღვას, სიმბოლო გამოკრთის“.

ჩვენი საუკუნის უდიდესი „დასაყვლელი“ ხელოვანის ეს დებულება ასე შეიძლება განზოგადდეს: ყოველი კემშარიტად მხატვრული ქმნილება, — ისევე, როგორც არსებითად თავად ხელოვნება, — სიმბოლურ-რეალისტურ მოვლენას წარმოადგენს, რამდენადაც მასში გარკვეულ ადგოლთან და დროსთან დაკავშირებული კონკრეტულ-ცხოვრებისეული „მასალის“ შემეუობით ხორცშესხმულ-გამოხატულია ყოველგან და ყოველთვის ცოცხალი, სულ ახალ-ახალი სახით (ეკალებადი) იღვალური, ზოგად-იდეამიანური შინაარსი. ანუ ის მხატვარი, ვისი ნაწარმოებიც ამ „ორპლანიანობასა“ მოკლებული და მხოლოდ გარკვეული ემპირიული სინამდვილის ასლს წარმოადგენს, ამ სინამდვილესთან ერთად „გარდაივლის“ თუ სულაც კვდება ხოლმე; მის შემოქმედებით შემკვიდრობას, საუკეთესო შემთხვევაში, ვიწროდ „ისტორიოგრაფიული“ შემეცნებითი ღირებულება ენიჭება, როგორც „ყოფილ-მომხდარის“ ზერელე მოწმობას, და არა ის ღრმა და უშრეტი შთამაგონებელი ძალა, რაც კაცობრიობის მარადიულ სულიერ თანამგზავრად აქცევს კემშარიტად მაღალმხატვრულ ქმნილებას.

ხოლო ყოველი ასეთი ქმნილება, იმავე თო მას მანის სიტყვებით რომ ვთქვათ, მარტო თავად კი არ გვევლინება უმაღლესი ტიპის

ხელოვნებად, არამედ სათანადო „კითხვის ხელოვნებასაც მოითხოვს მკითხველისაგან“, სახელდობრ, ვერ ითმენს „უხეშ და პირდაპირ“, „სიტყვა-სიტყვით“ აღქმას, საქირობებს იმ პირობით სახეთა გახსნას, იმ ქარაგმული ენის გაშიფრვას, რომელთა მეშვეობითაც მასში ფარდობითი მასალა ფორმდება აბსოლუტური იდეათა გამოსახატავად.

და ყოველივე ეს დანტეს ქმნილებებსაც შეეხება მთლიანად: როგორც „ღვთაებრივ კომედიას“, რომელზედაც თავად პოეტმა თქვა, მასში „არა ერთი, რამდენიმე აზრია, პირველი — პირდაპირი, მეორე — სიტყვებში დაფარული, ე. ი. ალგორითული ანუ მორალური“, ისე მის სიკაბუჯის-დროინდელ „წიგნაკას“, — ასე უწოდა თავად დანტემ თავის „ახალ ცხოვრებას“, — რომელშიც ბეატრიჩეს მგოსანი უკვე გვევლინება სიმბოლურ-ალგორითული სტილის დიდოსტატად. სულაც: საგანგებოდ შეეხება, ვინაიდან დანტეს „კითხვის ხელოვნებას“ მეტადრეც ის გარემოება აძნელებს, რომ მისი „სახატავი“ მასალაცა და „ხატვის“ ხერხებიც იმ ბნელით მოსილ ხანას უკავშირდება, რასაც შუასაუკუნეებს ვეძახით ხოლმე.

დასავლეთ ევროპაში ეს იყო ხელოვნების განვითარებისათვის ყველაზე შეუფერებელი თუ მძიმე ეპოქა: არა მარტო იმიტომ, რომ რომის იმპერიის დამხობასთან ერთად მაღალი ანტიკური ცივილიზაცია განადგურდა და კულტურული პროგრესი თითქმის თავიდან, სრულიად პრიმიტიული მდგომარეობიდან დაიწყო, არამედ, უფრორე იმის წყალობით, რომ ამ პროგრესის ერთ-ერთ მთავარ „მორგანიზებელ“, მაგრამ ამავე დროს შამუბრუბებელ ფაქტორად იქცა ისეთი ანტიესთეტიკური ძალა, როგორიც იყო კათოლიკური (ანუ „მართლმორწმუნე“) ქრისტიანობა და ეკლესია, ფეოდალური წყობილების ეს „უმალლესი განზოგადება და სანქცია“ (ფრ. ენგელსი).

საეკლესიო ქრისტიანული მოძღვრების ზემოქმედებამ განაპირობა შუასაუკუნეთა ხელოვნების უმთავრესი ესთეტიკური ხაელი — „აბსტრაქციონისტულ-რომანტიკული“ ტენდენციით გამსჭვალა იგი, რამდენადაც იმ ჭეშმარიტებას არღვევინებდა, — რაც გოეთეს „ხელოვნების უზენაეს პრინციპად“ მიაჩნდა, — რომ „იდეალური აღაშანი“ ამაქვეყნის რეალურ სინამდვილეშია საძიებელი და არა ფიქტიურ ცისიერ სასუფეველში.

ყოველი რელიგიის ერთი უმთავრესი, — როგორც ანტიესთეტიკური, ისე, პირველ რიგში, ანტიუმანური, — მანკი ისაა, რომ იგი, როგორც

ფრ. ენგელსმა აღნიშნა, მის „საკუთარ არსს“ ართმევს ადამიანს ანუ ღვთის თვისებად და კეთვნილებად აცხადებს იმ „კვეშმარტიად ადამიანურ“ შინაარსს, იმ იდეალურ სულიკვეთებებსა და უნარს, რომელიც კაცობრიობას მის რეალურ-სოციალურ ყოფაში შებღალვია თუ დაქლევია. ხოლო ქრისტიანობის „მიღწევასა“ და „უპირატესობას“ ის შეადგენს, რომ იგი, — მეტიად კი მისი ოფიციალურ-საეკლესიო სახეობა, — ადამიანისაგან ადამიანობის ამ „გაუცხოვებას“ ყველა სხვა რელიგიურ მოძღვრებაზე უფრო დახვეწილად და ეფექტიურად ახდენს. ამიტომაც ადამიანის ქრისტიანული იდეალი ღიდად განსხვავდება წარმართთა, ეთქვათ, ძველ ბერძენთა იდეალისაგან; ამ უკანასკნელთა მსოფლალქმაში ღმერთებსა და ადამიანებს შორის ჭერ კიდევ უფრო ოდენობრივი სხვაობაა ანუ არსებითად ისინი ისე ენათესავენბიან ერთმანეთს, რომ პირველნი ბარდ ეშვებიან ხოლმე, მეორეთ კი (მხოლოდ უფრო იშვიათად) ოლიმპოზე აესვლებათ, რის შესაბამისადაც ელინის თვალში სრულქმნილი ანუ მშვენიერი კაცი ღმერთებზე წაკლები, მაგრამ მათ მსგავსად ჰარმონიული, — ფიზიკურად და სულიერად თანაბრად ძლიერი, — არსებაა; ხოლო ოროოდოქს, თანმიმდევრულ ქრისტიანს, რომელიც ღმერთსა და ადამიანს უკვე თვისობრივად უპირისპირებს, როგორც სულიერ-სრულყოფილსა და ხორციელ-მანკიერს, დიახ, ამ უკიდურეს სპირიტუალისტს იდეალური კაცი ესახება ვითარცა რაღაც „წმინდად“ სულიერი არსება, რომელსაც ყოველივე მიწიერ-ბუნებრივის, ნამდვილად ცოცხალის „დაძლევით“, ჩაშობითა და ჩაკვლით მოუპოვებია ღმერთის „წყალობა“ და იმიერი „ნეტარება“. და ამის შესაბამისად ქრისტიანული კათოლიციზმი „გმირად“ უსახავს ხელოვნებას არა ცოცხალი, ე. ი. კონკრეტულ-ინდივიდუალური თვისებებით აღჭურვილი პიროვნების სახით არსებულ ნამდვილ ადამიანს, არამედ კვეშმარტი ადამიანის მკვდარ, უსისხლხორციო და უფერულ აბსტრაქციას, რომელიც ფიქტიურ, ილუზორულ რეალობას იძენს, როგორც „წმინდანის“ მეტაფიზიკური იდეა. სხვა სიტყვით: ხელოვნების კანონზომიერ, ორგანულ მისწრაფებას შეზღუდულ ემპირიულ რეალობაზე „ამალღბისაკენ“ ანუ იმ სრულქმნილ-იდეალურისაკენ, რასაც კვეშმარტი, კეთილი და მშვენიერი ჰქვია, თანმიმდევრული ქრისტიანობა სძენს ყოველივე ნამდვილად რეალურისადმი მტრული, ყოველივე მიწიერ-ცხოვრებისეულის უარყოფელი იდეალიზაციის ხასიათს; ხოლო სინამდვილის ამგვარი

დეფორმაციის ერთადერთ შესაძლებელ „ესთეტიკურ“ პროექტს წარმოადგენენ სხვადასხვა „სულიერ ძალთა“ და „ზენარულ სათნოებათა“ მანიშნებელი, — დიახ, არა გამოწმინდველი, არამედ მხოლოდ მანიშნებელი, — მკვდარი და სქემატური, რაიმე პიროვნულ-ინდივიდუალურ თვისებათა უქონელი ალფაგორიები, ასე ვთქვათ, უსახო სახეები.

მეტ-ნაკლებად ამ სქემატიზმისა და უსახობის დაღი შუასაუკუნეთა მთელ ფეოდალურ-არისტოკრატიულ ხელოვნებას აზის, ე. ი. ამ საზოგადოების ხელოვნებას, რომელმაც ქრისტიანობა თავის ოფიციალურ იდეოლოგიად გააბატონა. ყველაზე ძლიერ ემჩნევა ეს დაღი საეკლესიო მხატვრობასა და პოეზიას, რომელთა გმირები „წმინდანთა“ ქვემოლ არ ეშვებიან; მაგრამ არც საერო ხელოვნებას ეტყობა იგი სუსტად, მაგალითად, სარაინდო ლიტერატურას, რომლის „კეთილშობილი“ მიჯნურნი, — ქალნიცა და ვაენიც, — იმდენად უებრო სულიერ სისხეტაკეს „წარმოსახავენ“ ხოლმე, რომ ლამის არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ცხადია, ყოველივე ეს იმგვარად როდია გასაგები, თითქოსდა შუასაუკუნეთა დასავლური ხელოვნება ერთიანად ესთეტიკური სუსტალოვანეზით იყოს აღბეჭდილი. თუმცაღა მას აშკარად აკლია ის სრულძალოვანეზა, ის ხარისხობრივი დონე, რომელიც როგორც წინამორბედ ანტიკურ, ისე მომდევნო რენესანსულ ხელოვნებას სძენს სიღიადეს, მაგრამ, უდაოდ, არც ისეთი უმწეობა სჭირს, რომ მალალი მიღწევები და მწვერვალები სულ არ გააჩნდეს. პირიქით, ამ ხელოვნებას არა ერთი ქმნილება აშვეენებს, რომელიც უმაღლესი ხატოვანეზის, ე. ი. კონკრეტულ-მატერიალურისა და ზოგად-იდეურის ერთიანობით მიღწეული სიმშოლდეცხ შედევვრად ჩათვლება.

ოღონდ ამ შედევრთა მსოფლმხედველობრივი საფუძველი ქრისტიანობა კი არაა, როგორც ასეთი, არამედ, პირიქით, ამ საფუძველს ისეთი ტუნდენციები შეადგენენ, — ერთიკულ მოძღვრებათა სახელით ცნობილნი, — რომელნიც ქრისტიანობისავე საბურველში გახვეულნი მოქმედებენ მის საწინააღმდეგოდ. და რა კეშმარიტად საგანგებო პიროვნული ძალა, — ეწინარეს ყოვლისა, სითამამე, — დასკირებაით ხოლმე შუასაუკუნეთა დიდოსტატებს, რათა ამ ობიექტურ ფაქტორზე დაყრდნობით დაეძლიათ ქრისტიანული მსოფლაქმის აღნიშნული ანტიესთეტიკური ზემოქმედება ბევრს როდი რგებია ეს ძალა. ხოლო უძლიერესი ამ რჩეულთა შო-

რის აღმოჩნდა დანტე ალიგიერი, რომელმაც ისეთ სრულფასოვან, ერთდროულად ამაღლებულ და გრძობად აღამიანურ სახეშია გამოძერწვა შესძლო, როგორც მისი მთელი პოეტური შემეკიდრეობის, ეკრძოდ კი, აღრინდელივე ლირიკული კრებულის, „ახალი ცხოვრების“ გმირთა გმირები არიან: უკეთილშობილესი ასული ბეატრიჩე და მისი მგზნებარე მიჯნური, თავად მგოსანი.

ანუ, მაშასადამე, ამრიგად ისახება დანტეს პოეტური შემეკიდრეობის მთავარი პრობლემა:

იდეურ პლანში — რაა ბეატრიჩე, არის ეს „ციური ანგელოსის“, ე. ი. ამიერ-რეალური აღამიანისაგან განსხვებული „იდეალური შინაარსის“ ხატება, თუ ესაა „ფლორენციელი გოგონა“, რომლის ხორციელ, ცოცხალ პაროვნებაში ცხადდება კეშმარიტი, — კეთილი და მშვენიერი, — აღამიანობის ნამდვილობა, მიწიერ-მატერიული შესაძლებლობა? და ანეს შესაბამისად, — ვინაა არსებითად დანტე, ცისაკენ მაცქერალი შუასაუკუნებრივი ჰიმნოგრაფი თუ ჰუმანისტური იდეალის ამიერ მადგინებელი, ახალი, რენესანსის ეპოქისაკენ მიქცეული ხელოვანი?

და ესთეტიკურ პლანში — რაა ბეატრიჩე, არის ეს ცალმხრივი სახე, ერთმნიშვნელოვანი, მხოლოდ განყენებული იდეის სქემატურად მანიშნებელი აღფგორია, რომელიც შუასაუკუნეთა აბსტრაქტულ-რომანტიკული ხელოვნების ფარგალს არ სცილდება, თუ ესაა სრული სახე, ორმნიშვნელოვანი ხომოლო, რომლის ამიერ-რეალურ, გეოგრაფიულ-ისტორიული ლოკალით აღბეჭდილ, კონკრეტულ-ინდივიდუალურ თავისებურებებში ცოცხლად გამოიხატება სივრცისა და დროის ჩარჩოებიდან გამოშავალი, ყველგან და მარადეამს საცნაურ-საპოვნელი ზოგად-აღამიანური, იდეალური შინაარსი. და ამის შესაბამისად, — ვინაა დანტე, სინამდვილეს დაპირისპირებული, უნიადგო რომანტიკოსი, რომელსაც, როგორც გოეძე იტყოდა, ხელოვნების „უმთავრესი რამ“, — მიწაზე საებარი „იდეალური“, — „რელიგიის სფეროში ეყარება“, თუ სრულძალოვანი რეალისტი, რომლის ხელოვნება მით უფრო მაღალ ხარისხს აღწევს, რაც უფრო ღრმად ზღვას ფესვი აღამიანის ნამდვილს ბუნებასა და ცხოვრებაში?

დანტეს ძველ მკვლევართა საწინააღმდეგოდ, რომლებიც ცდილობენ ბეატრიჩეს მგოსანი შუასაუკუნეთა ფარგლებით შეზღუდონ, ორთოდოქ-

სულ-რელიგიური მსოფლალქმის კაცად, ქრისტიანული „მორჩილებისა“ და „ამბლების“ ქადაგად დასახონ, ჩვენი დანტოლოგია იმ დიად ხელოვანთა რიგს აკუთვნებს მას, რომელნიც თუმცაღა თავიანთი ეპოქის ნიადაგზე დგანან, მაგრამ ამავე დროს ძლევამოსილად არღვევენ ამ ეპოქის იღურ ჭებირებს და ისეთ სულისკვეთებებს ნერგავენ, რომლებიც ყოველ ახალ, წინმსწრაფ თაობას ემსახურებიან უკეთესი მერმისის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ქმედით ძალად.

დანტესადმი ჩვენს ამგვარ მიმართებას ფრ. ენგელსის ცნობილი ფორმულა დაედო საფუძვლად, რომლის თანახმადაც უდიდესი იტალიელი პოეტი გვევლინება „შუახაუჯუნეთა უკანასკნელ და ახალი დროის პირველ პოეტად“.

დანტეს ისტორიული ადგილის ეს განსაზღვრა ისე მექანიკურად არაა გასაგები, თითქმის მის შემოქმედებით ინდივიდუალობაში ორი პიროვნება იბრძოდეს, ვთქვათ, შუასაუკუნებრივი მოაზროვნე და რენესანსის ხანის ხელოვანი გამორიცხავდეს ერთმანეთს. მართალია, „ფენომენი დანტე“ ერთობ წინააღმდეგობრივი მოვლენაა, მაგრამ მის ამ წინააღმდეგობრიობას ღრმად დიალექტიკური ხასიათი აქვს, რის შესაბამისადაც ორი ეპოქის მიჯნაზე ერთი დანტე დგას, — მოაზროვნეცა და ხელოვანიც, — რომელიც ჭერ კიდევ შუასაუკუნებრივი კულტურის ნიადაგს ემყარება, მაგრამ ისე აჯამებს და ასრულებს ამ კულტურას, რომ მას „შიგნიდან“ არღვევს და ხსნის, რითაც ახალი, ჰუმანისტურ-რეალისტური ხელოვნების განვითარებას უდებს დასაწყისს.

დანტეს ისტორიული როლის ასეთი განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, იმ კონკრეტულ ხანას შეესაბამება, — XIII—XIV საუკუნეთა მიჯნას, — რომელშიც მას როგორც მაშინდელი იტალიის, ევროპის ამ პირველი კაპიტალისტური ქვეყნის, მოწინავე ქალაქის, ფლორენციის შეიღს უხდება ცხოვრება. ეს ხანა იმდენად ისტორიული გარდატეხის, ძველსა და ახალს შორის გაჩაღებული ბრძოლის ეტაპს კი არ წარმოადგენს, რამდენადაც მხოლოდ პროლოგს ამ გარდატეხისა, კვირამალს ამ ბრძოლისა.

ხოლო მსოფლმხედველობრივ საფუძველს, რომელზეც დაყრდნობითაც ასრულებს დანტე თავის კულტურულ-ისტორიულ მისიას, შეადგენენ ქრისტიანობის ის „მწვალაბლური“ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ,

ერთიველი სახეობანი,“ რომლებიც, ფრ. ენგელის განააზღვრით, წარმოდგენენ „ფეოდალიზმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური თაობის“ ერთ-ერთ მთავარ ფორმას და, ამდენად, იდეოლოგიურ წყაროდ ემსახურებოდნენ ეკლესიის, — ამ უძლიერესი ფეოდალური ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართულ „ყველა რევოლუციურ, სოციალურ და პოლიტიკურ მოძღვრებასა“ და აგრეთვე „შეიარაღებულ აჯანყებას“.

ამ მოძღვრებათა რევოლუციური არსი იმით ისაზღვრება, რომ ისინი შედარებით მონისტური და, ამის შესაბამისად, მატერიალისტურ-ჰუმანისტურ-რეალისტური მსოფლალქმის სახით უპირისპირდებიან საეკლესიო ქრისტიანობას, რომელიც თვისობრივად განასხვავებს და მძაფრად უპირისპირებს ერთმანეთს „მიწასა“ და „ზევას“, „მდაბალ“ მატერიალ სამყაროსა და „მაღალ“ სულიერ სასუფეველს, „მანკიერ“, „ღამნაშავე“ ადამიანსა და „სრულყოფილ“, „მართალ“ ღმერთს. ერთიველთა თანახმად, მთელი სამყარო, როგორც ღვთის ქმნილება, თავისი შემოქმედის სიბრტლის ნიშნითაა აღბეჭდილი ანუ მის ყოველ საგანში თუმცაღა მებრუნებულად, მაგრამ აუცილებლად „ღვთის“ ღვთაებრიობის „ნაპერწყალი“, რომელიც ყოველივე არსებულს ერთმანეთთან ანათესავებს და აახლოებს, ხოლო საბოლოოდ თავის „პირველსაწყისთან“, ღმერთთან შესაერთებლად ამაღლებს.

ამრიგად, ერთიველებიც იღებენ ქრისტიანობის საბოლოო მიზანდასახულებას: ლამობენ „ამიერიდან“ „ომიერიისაყენ“ გზის გაკაფვას, რეალურიდან იდეალურისაყენ ხიდის გადებას, რომლის გადავლითაც ადამიანი „მიწიერი“ მანკიერებისაგან თავს იხსნის და „ზეციურ“ სრულყოფილებას ეზიარება. მაგრამ ეს გზა თუ ხიდი იმის საწინააღმდეგოა, რასაც „მართლმორწმუნე“ ქრისტიანობა, ეკლესია აღიარებს. ეს უქანასკნელი თავისი უკიდურესი დუალიზმის შედეგად ადამიანის უსაზღვრო დამცირებით ღმერთს განადიდებდა უსაზღვროდ, მათ შორის ბატონ-ყმურ ურთიერთკავშირს ამყარებდა და სწორედ ამით იქცეოდა „ფეოდალური წყობილების უპაღლეს

* თუკი ქართული სახელწოდება „მწვალებლობა“ გამოხატავს „მართლმადიდებელი“ ეკლესიის ნეგატიურ დამოკიდებულებას ამ მოძღვრებებისადმი, ბერძნულიდან მომდინარე ტერმინი „ერესი“, რაც განსხვავებულ, განსაკუთრებულ რწმენას ნიშნავს, უფრო ობიექტურად აღნიშნავს მათ ოპოზიციურ ხასიათს.

განზოგადებად და სანქციად“. ხოლო ერეთიკოსები, პირიქით, ადამიანსა და ღმერთს უფრო ოდენობრივად განასხვავებდნენ ანუ თვისობრივად ანათესავებდნენ, იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ ღმერთს კაცზე მეტად სრულყოფილად, ხოლო კაცს არსებითად ღვთაებრივად რაცხდნენ, ე. ი. ღმერთს ადამიანურებდნენ, ხოლო ადამიანს აღმერთებდნენ და მათ შორის მრისხანებისა და შიშის გრძნობებზე დამყარებულ უთანასწორო კავშირს, კათოლიციზმი რომ ამყარებს, შინაგანი ნათესაობის, არსებითი ტოლობის შეგრძნებებიან მომდინარე ურთიერთსიყვარულით სცვლიდნენ, რომელსაც მთელი სამყაროს მაცოცხლებელ, გამაერთიანებელ-მამოძრავებელ ძალად განადიდებდნენ.

სწორედ ამ შედარებითი მონიშნის ძალით იქცევიან შუასაუკუნეთა „ზნელ“ ეპოქაში ერეთიკული მოძღვრებანი ქეშმარიტი ჰუმანიზმის წყაროდ. ერეთიკოსები კი მიიჩნევენ „მიწიერ“ ცხოვრებას „ზეციურის“ მოსამზადებელ „საწუთროდ“, მაგრამ ამავე დროს მის თავისთავად ღირებულებასაც აღიარებენ და არ მტრობენ ცოცხალ „ამიერ“ ადამიანს, არ შენატრიან სიკვდილს, ვითარცა მხსნელს სხეულისაგან და ამაქვეყნისაგან, რომელთაც კათოლიციზმი „სულის დილეგად“ და „ამაოების ველად“ აცხადებს პირიქით, ისინი სიკვდილს აღიქვამენ როგორც სასტიკ უბედურებას, რომელიც ადამიანს მხოლოდ ბუნების მშვევნებათ კი არ ასაღმებს, არამედ უხშობს ღმერთთან ცოცხალი ერთიანობისა და, ამასთან ერთად, ცოცხლად მყოფობის განცდის უზენაეს ნეტარებასაც. ხოლო ამ ასპექტში ღვთისადმი ერეთიკული სიყვარულიც თავის წინააღმდეგობად იქცევა: ადამიანის, როგორც თვითმადგინებელი ბუნებრივი არსების, სიცოცხლის მწყურველობის გამოშხატველ გრძნობად. და, ამდენად, ერესი თუმცაღა ვერაა მთლად თავისუფალი იმ კათოლოგიური ექსტატურობისაგან, რაც ნამდვილი, ცოცხალ-ადამიანური ბუნების ქრისტიანულ უარყოფას მოსდევს, მაგრამ მაინც კათოლიციზმის საპირისპიროდ, არსებითად ოპტიმისტურ მსოფლმხედველობას წარმოადგენს. იგი გამსკვალულია პოზიტოური, ცხოვრების მადგინებელი ტენდენციით, რომელსაც ასაზრდოვებს ადამიანის რწმენა როგორც საკუთარი თავის, ისე გარემომცველი ბუნების „ღვთაებრიობისა“ ანუ სრულქმნილებისა.

და დასასრულ, იგივე მონიშნი ანიჭებს ერესებს ესთეტიკურ დერიტას: რელიურ-ცოცხალი სინამდვილისადმი გულშიდრეკილნი, მასთან უშუალოდ-გრძნობადი კავშირის მძებარნი, ბუნების, როგორც ღვთის შემოქ-

მედებითი აზრისა და უნარის დიდმშენიერი ქმნილებების, ხოლო ადამიანის, ვითარცა ღვთაების ამიერი იგივეობის აღქმელნი, ისინი, ნახევრად წარმართულ ხალხურ მსოფლალქმასთან ერთად, ნოყიერ ნიადაგს ქმნიან ხელოვნების, კერძოდ, პეზნიის აღმოცენება-განვითარებისათვის. და ამდენად ერესების დიდ ღვაწლადაა მისაჩნვეი ის გარემოება, რომ შუასაუკუნეთა ეპოქაში, ანუ კათოლიციზმის ოფიციალური ზატრონობის ხანაში, ხელოვნების არსებობა და განვითარება სულაც შესაძლებელი გახდა.

კერძოდ, ამ გარემოებას ის ფაქტი ამტკიცებს, რომ ერთიეულ იდეებსა და განწყობილებებს უხდის მეტ-ნაკლებ ხარკს შუასაუკუნეთა ლიტერატურის ყველა უმნიშვნელოვანესი ქმნილება, რომელთა შორის ყველაზე დიდია დანტეს „ახალი ცხოვრება“ და „ღვთაებრივი კომედია“.

დანტეს შემოქმედებითი განვითარება თავისი იდეური შინაარსით უარესად მთლიანია, — ერთიან მსოფლმხედველობრივ კონცეფციას დაქვემდებარებულნი: და მწყობრი, არქიტექტონიკული თანმიმდევრობის გამოხატველი. მისი ხუთივე ძირითადი თხზულება: „ახალი ცხოვრება“, „ნაღიმი“, „ხალხური ენისათვის“, „მონარქიისათვის“ და, დასასრულ, „ღვთაებრივი კომედია“, — ურთიერთთან ორგანულად დაკავშირებულ ელემენტებსა და ერთმანეთის მომყოლ საფეხურებს წარმოადგენს ერთი გრანდიოზული ნაგებობისა, რომელსაც დანტე ორი ეპოქის მიჯნაზე აღმართავს.

სახელდობრ: დანტეს ქაბუკობისდროინდელ ქმნილებაში — „ახალი ცხოვრებაში“ დასმულია იდეალსა და სინამდვილეს შორის პოეტის მიერ მისტიკურად („ზეცისა“ და „მიწის“ პირისპირობის ასპექტში) აღქმული წინააღმდეგობის გადაწყვეტის პრობლემა. უკვე აქაა დასახული დანტეს მთელი შემოქმედებითი ძალვის საბოლოო მიზანი — დაძლევა „მიწიერ“-რეალური ყოფიერების ნაკლოვანებისა და ამალღება „ზენარულ“-იდეალური არსებობის სრულყოფილებამდე. ხოლო ამ პრობლემის კონკრეტულ-პრაქტიკულ, — მორალურ, პოლიტიკურსა და ესთეტიკურ, — ასპექტში გადაჭრას, სინამდვილესა და იდეალს, „მიწასა“ და „ზეცას“ შორის ჩაწოლილ უფსკრულზე ხიდის გადების ამოცანას ემსახურება დანტეს ტრაქტატები. და საბოლოოდ, აღნიშნული მიმართულებით დანტეს მიერ წარმოებული ტიტანური ძალვის ყველა მონაპოვარია თავმოყრილი და ერთიან კოლოსალურ იდეურ-მხატვრულ სისტემად სინთეზირებული „ღვთაებრივი კომედიაში“, რომელიც, ამდენად, მხოლოდ თავად დანტესეული შემოქმედების გვირგვინად კი არ იქცევა, არამედ დასავლეთ-ევროპის მთელი

ძველ-შუასაუკუნებრივი კულტურის დამაჯამებელ და ახალ-რენესანსული კულტურის ფუძემდებელ ძველადაც მკვიდრდება.

დანტეს ძირითადი შემოქმედებითი შემეკიდრეობის ამ ერთიან ხასიათს არა მხოლოდ ფორმალურ-სიმბოლურად, არამედ შინაარსობრივ-რეალურადაც გამოხატავს ის გარემოება, რომ ეს შემეკიდრეობა მთლიანად ბეატრიჩის მიერაა შთაგონებული და ბეატრიჩესადმი მიძღვნილი, რომელიც დანტესათვის მხოლოდ სატრფო კი არ იყო, როგორც ადამიანისათვის, და მუზა, როგორც პოეტისათვის, არამედ განსახიერებაცა და განხორციელება მისი იდეალისა, — იმ დიადი, ყოვლის გამსჭვალელი და მაარსებელი სიყვარულისა, რომელზედაც, მგოსნის ოცნებით, უნდა დაფუძნებულიყო კაცობრიობის და, პირველ ყოვლისა, იტალიელთა ამაჟვეუნიური ჰემარბტად ადამიანური ცხოვრება.

პირველად „ახალ ცხოვრებაში“, ხოლო შემდეგ „ღვთაებრივ კომედიოში“, წარმოდგენილი ბეატრიჩეს სახე იმ პოეტური სკოლიდანაა ამოზრდილი, რომელიც იტალიის მოწინავე ქალაქებში ჩამოყალიბდა შუასაუკუნეთა ალეგორიკის, კერძოდ, სარაინდო ლირიკის ფორმათა გადამუშავების საფუძველზე და „ახალი საამო სტილის“ სახელითაა ცნობილი. ამ სტილის შემქნელთაგან პირველს — გვიღო გვინიჩელის (1240—1276) დანტე თავის პოეტურ მამად თვლიდა, ხოლო მეორე — გვიღო კავალკანტი (დაახლ. 1259—1300) მისი უფროსი მეგობარი და თანამებრძოლი იყო. მაგრამ დანტე იმთავითვე სცილდება „ახალი საამო სტილის“ ჩარჩოებს და, სულაც, უპირისპირდება მას თავისი ძლევამოსილი რეალიზმით. ორივე გვიღო ჭერ კიდევ ვერ ერევა შუასაუკუნებრივ აბსტრაქტულ რომანტიზმს. მათ ლექსებში, შეტადრე კი კავალკანტის სონეტებსა და კანცონებში, „მადონა“ — ქალბატონი წარმოდგენდა უფრო განყენებულ მორალური იდეალის უპირატესად გონებით სააზრებელ ინტელექტუალურ კონსტრუქციას, ვიდრე გულით აღსაქმელ გრძნობად სახეს, რის შესაბამისადაც, მაგალითად, კავალკანტი იმდენად კი არ წარმოგვიდგენს „ამორეს“ — სიყვარულს, რამდენადაც „მეცნიერული ხერხებით“, სალი დებულებითა და საბუთებით „აგვიხსნის“, თუ „სად ცხოვრობს“ იგი. ხოლო ჰაბუკი დანტე თუმცაღა უხედის ხარკს ამ სტილს, ისე რომ, იმავე კავალკანტის მსგავსად, პროზაულ კომენტარებსაც კი ურთავს „ახალი ცხოვრების“ სონეტებსა და კანცონებს, მაგრამ ერთგანაც და მეორეგანაც, — ლექსებშიცა და მათ თანმხლებ პროზაშიც, — უპირველეს ყოვლისა გვესახება უსაზნო ტემპერამენტით მგზნე-

ბარე კაცად და ხელოვანად, რომლისთვისაც ბეატრიჩე მხოლოდ უშუალო და მძლე განცდის საფუძველზე იქცევა ღრმ აზრის მჩენელ „საგანად“, პოეტურ სახედ, ღიახ, სიმბოლოდ, ესთეტიკურ ფორმად.

მხოლოდ ამ მხატვრული გრძობალობის, ამ ესთეტიკური რეალობის ძალით იძენს ბეატრიჩეს სახე დამაჯერებლობასა და შთამაგონებლობას, როგორც კათოლიციზმის მიერ ურთ-ერთისაგან გათიშულ-დაპირისპირებულ „შიწიერ“ და „ზეციერ“ სამყაროთა, ადამიანისა და ღმერთის, რეალური-სა და იდეალურის გამაერთიანებელი სიყვარულის ხატება.

მართალია, როგორც ღვთაებრივი სიყვარულის განხორციელება, ბეატრიჩე პოეტს ჩვეულებრივ ქალად როდი ესახება, არამედ უსრულყოფილესად იმ დონათა შორის, „ვინც კეთილშობილი არიან (sancti gentile) და არა მარტო ქალნი“ (თავი XIX). დანტე იშვიათად იხსენიებს მას მხოლოდ სახელით, რომელსაც მისი არსების გამომხატველად მიიჩნევს; ჩვეულებრივ პოეტი უწოდებს მას გარკვეულად: „კეთილშობილ ბეატრიჩეს“, „უკეთილშობილეს“. ბეატრიჩე არის „ის უკეთილშობილესი, ვინც დედოფალი იყო სათნოებათა და ყველა ბიწის მშესერკელი“ (X). თავისი სათნოებით ბეატრიჩე ზენარულ, ღვთიურ ქმნილებად მალდება დანტეს თვალში: „და ვხედავდი მის ისე კეთილშობილურსა და ხოტბის ღირს ქცევას, — ამბობს პოეტი, — რომ ჰეშმარიტად მის მიმართ შეიძლება თქმულიყო პოეტ პომეროსის სიტყვები: „მოკვდავი კაცის კი არა. ღმერთის ასულს ჰგავსო იგი“ (II). უჩვეულო რამ იყო მისი სრულქმნილება: როგორც პირველ კანცონაშია თქმული, „ამ სახეებით ნებამ უფლისა ჩვერ სასწაული მოგვივლინა ჟერარნახული“. ხოლო მისი ასეთი სრულქმნილების არსი სიყვარულთა: „მისმა ხატებამ, რომელიც მიწყვი თან მსდევდა მე, — ამბობს დანტე, — მისცა სიყვარულს ძალა ჩემზე ბატონობისა“ (II). უფრო მეტიც, ბეატრიჩე სიყვარულს კი არ აღძრავს მხოლოდ, არამედ თვითთა სიყვარული; პოეტს მის გულში სიყვარულმა გაუბა საუბარი და თქვა: „ხოლო გამოწვლილვით განმხილველი იმასაც ნახავს, რომ ბეატრიჩეს სიყვარული უნდა ეწოდებოდეს უცილოდ. ისე მგავსო იგი“ (X XIV).

მაგრამ, როგორც ღვთაებრივი სიყვარულის განხორციელებას, ბეატრიჩეს თან ჩამოაქვს მიწაზე ზენარული სრულყოფილება და ნეტარება. იგი მხოლოდ თვითონ კი არაა კეთილშობილი, არამედ თავის გარშემო აფრქვევს და ამკვიდრებს კეთილშობილებას: ბეატრიჩე „სიქველითა და სიკეთით მოსავს ყველაფერს, რასაც უშხერს“ (X XI); „...ამ ასულმა, —

ამბობს პოეტი, — ისეთი პატივი მოიხვეჭა კაცთა შორის, რომ არა მარტო მას აქებდნენ და აღიდებდნენ, მისითაც იქებოდნენ და იდიდებოდნენ ბევრნი“ (X XVII); „მისი თვალები სიყვარულის ძალშორკმულობას ამკვიდრებენ იქ, სადაც ის არ მკვიდრობს“, იგი „ქმედითობას ანიჭებს სიყვარულს იმათ გულში, ვისაც კი უმზერს“ (XX); მისგან ყოველი აღივსება სინანულით თავისი ნაკლოვანებისა და აღტაცებით თვისი სრულქმნის გამო; როგორც XI სონეტშია თქმული: „თვალები მისი სავანება სიყვარულისა, მისთა მკვრეტელთა სიქველის და სიკეთის წყარო; ჩაივლის იგი კაცთა შორის მდაბალი საღმით... და ყველა მისგან ფერმიხდილი და ანათროლი თვისი ბიწსა და ხენეშობას დასტირის მაშინ და მათ გულს შესვრილს გულისწყრომის შორდება ბინდი... ნეტარ არს იგი, ვის თუნდაც ერთხელ მისი ხილვა წილად ხედომა“. ხოლო ის ამაღლებული ზემოქმედება, რომელსაც ბეატრიჩე თვით მგოსანზე ახდენს, ასეთია: „მინდა გითხრათ, — იხსენებს დანტე, — რომ როდესაც ის მეკლინებოდა ამა თუ იმ მხრიდან, მისი მოწლე საღმის მოლოდინით გულშეძრულს არც ერთი მტერი აღარ მრჩებოდა ქვეყნად და ლმობიერების სახმილი ისეთის ძალით მეგზვნებოდა გარს, რომ მაიძულებდა ყველაფერი მიმტროვებინა შეურაცხყოფელთათვის ჩემთა“ (XI); ამ სიკეთესთან ერთად ბეატრიჩეს კერეტა საკუთარი ბედნიერებისა და ცხოვრების ბედსვიანობის აღფრთოვანებული განცდით ავსებდა მიჯნურის გულს; მეორე სონეტში დანტე ასე მოუთხრობს დონეებს, რომელნიც „სიყვარულის გზით მიდიან“: „მე სიყვარულმა იმდენ სიტკბოთი და სინაზით აღმივსო გული, რომ არაერთგზის გამიგია ჩემს ზურგსუკან ჩემზედვე თქმული: რისთვის მიეგო ნეტავ ამ კაცს ესოდენ დიდი სიხარული და ნეტარება?“

ამრიგად, კაბუკ პოეტს ბეატრიჩე ღვთაებრივის ამქვეყნიურ გამოცხადებად და განხორციელებად ესახება და სიყვარული, რომელიც მისგან გამოსკვივის, ღმერთთან, — ზენარულ სიკეთესთან და ბედნიერებასთან, — ადამიანის ამქვეყნად ამაღლებელ და მაზიარებელ ძალად მიაჩნია.

დანტე საგანგებოდ უსვამს ხაზს ბეატრიჩეს ღვთაებრიობის ამქვეყნიურ, მიწიერ-ზორციელ რეალობასა და ნამდვილობას; პირველ კანცონაში, რომელიც იმ დონებს ეძღვნება, „სიყვარულის არსი რომ შეიშენეს“, პოეტი ლაპარაკობს ბეატრიჩეს არა მარტო „სულის სიწმინდეზე“, არამედ „მისი სხეულის კეთილშობილებისა და მშვენების“ გამოც და, აღწერს რა ამ სრულქმნილი არსების ზოგი ასოს სრულყოფილებას, ჭერა გაოცებით

იკითხავს: „ვითარ ეგება, მოკვდავთაგანი იყოს ეგზომ სათნო და წმიდა?“—ო, მაგრამ „იქვე დასძენს“, ასე უპასუხებს ამ კარდინალურ კითხვას: „ამ სახეებით ნებამ უფლისა ჩვენ სასწაული მოგვივლინა ჭერარანახელი. მის ლეთიერ ნაკეთებს მარგალიტის სწორუპოვარი ფერი გადაჰკრავს... მისი ბადალი ჭერ ბუნებას არ შეუქმნია, ხოლო სიტურფის სხვა საზომი არ არის ქვეყნად“.

და ასევე მიწიერად რეალური და ხორციელად სრულქმნილი არსებანი არიან ის კეთილშობილი დონებიც, რომელნიც ბეატრიჩეს ღირსეულ გარემოს ქმნიან და რომელთა შორისაც მხოლოდ პირველობს ბეატრიჩე; მათთანაც მორალურ სრულყოფილებას განუყრელად თან ახლავს ფიზიკური უნაკლობა: მათგან ერთ-ერთ ქალწულს პოეტის წარმოგვიდგენს ვითარცა „სრულად შექმულს ამქვეყნიური სიკეთით და მშვენიერებით“ (კანცონა 11).

ბეატრიჩესა და მის მეგობართა არსობრივი ნათესაობა, იგივეობა არ ამოიწურება მათი ზნეობრივი კეთილშობილებისა და სხეულებრივი მშვენიერების ერთგვაროვანებით. მთელ თავის „ღვთაებრივობასთან“, „ანგელოსურობასთან“ ერთად, ბეატრიჩე თავისი მეგობრების მსგავსად გვეკლონება თავისი დროისა და ქალაქის ჩვეულებრივ, რეალურ ქალად, დანტეს თანამედროვე ცოცხალ ფლორენციელ ასულად, რომლის ფსიქიკა და ყოფილება სრულიად კონკრეტულ ადამიანურ და სოციალურ ნიშნებს ატარებს. ასე, მაგალითად, როდესაც მიჩნურობის სარაინდო ეტიკეტის თანახმად ბეატრიჩესადმი თავისი ტრეობის შესანიღბავად დანტე „მოჩვენებითად“ სხვა ქალს „უმსახურება“, მაგრამ, ტემპერამენტს აყოლილ, მისაღმში მეთისმეტ ყურადღებას იჩენს, რის გამო ქალაქში ჭოროც კი დაირჩევა, ბეატრიჩე შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და სალამს აღუკვეთს პოეტს; ხოლო მას შემდეგ, რაც დანტე გადაჰკრით გაწყვეტს კავშირს ამ „თერჯიდონასთან“ და ცხარე ცრემლით დაიტირებს ბეატრიჩეს გარდაცვლილ შამას, რაც აგრეთვე იქცევა სალაპარაკო თემად, ბეატრიჩე მოუღებდა მას და აქიდევაც ესაუბრება ერთ-ერთი მეგობრის, მონნა ვანნას, თანხლებით, რითაც აღტაცებაში მოჰყავს მანამდე სასოწარკვეთილი მიჩნური. — ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ მცდარია ზოგიერთი დანტოლოგის მიერ გამოთქმული დებულება, თითქოს „ახალ ცხოვრებაში“ ბიჩე პორტინარტი ცოცხლობს „ორმაგი სიცოცხლით: როგორც რეალური ქალი და როგორც პოეტური თავყანისცემის ობიექტი“. საჩქევ ის არის, ~~სა~~ ~~სა~~

არა ნაკლებ ეთაყვანება რეალურ ბეატრიჩეს, რომლის სახითაც ხორციელდება მის ცნობიერებაში ბეატრიჩეს იდეალური ბუნება.

აქედან, ბეატრიჩეს მიწიერი რეალობის ამ ფაქტიდან, გამოდინარობს დასკვნა, რომელიც „ახალი ცხოვრების“ თეზისის წარმოადგენს: ბეატრიჩეს სათნოება ზედამიანურია, ზეციურ-ღვთაებრივი; მაგრამ ბეატრიჩე ცოცხალი, ხორციელი არსებაა, რომელსაც მისი სათნოება როდი აუცხოვებს, როდესაც სთიშავს ადამიანთაგან, არამედ, პირიქით, საყვარელს, სანატრელსა და საამაყოს ზღის მათთვის, როგორც მათ შორის საუკეთესოს, უკეთეს-შობილესსა და უმშვენიერესს; მაშასადამე, ბეატრიჩეს პიროვნებაში რეალური და იდეალური ერთმანეთს უერთიანდებიან, მიწა და ზეცა, ადამიანური და ღვთაებრივი ერთდებიან; ბეატრიჩეს სახით ღვთაებრივი მიწიერად ხორციელდება, ანდა ზეციურ-ღვთიური სათნოება მიწიერ-ადამიანური ბუნების უსრულეს თვისებად, უმაღლეს დაგვირგვინებად მქლავდება; ბეატრიჩე ის ქმნილებაა, რომელიც ადამიანს ღმერთამდე ამაღლებს და მიწიდან ზეციურ სინათლეს აფრქვევს; როგორც ეს პირველ კანცონაშია თქმული: მისი სახით, „ამქვეყნად ჰგვის არსება — ხორცშემოსილი სასწაული, სულმნათი, რომლის თვალშეუდგამმა ბრწყინვალემა ზესკნელს უწია“. და პოეტის ამ მიწასა და მის მკვიდრს — ადამიანს შესტრფის, ეთაყვანება რა მათი ღვთაებრივი სრულქმნილებისა და მშვენიების მჩენელ თავის სატრფის, ბეატრიჩეს.

მაგრამ ბეატრიჩე, როგორც ჩვეულებრივ ითქმის, უღრმოდ გარდაიცვალა.

პოეტის წინაშე, რომდენადაც ცნობიერად იგი ქრისტიანობის ფარგლებს ვერ სცილდება, ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რატომ გაშორდა ბეატრიჩე თავის მიწიერ სასუფეველს, რისთვის გაეცალა ადამიანთ მორღმას, რომელთა დამამშვენიებელიცა და რომელთაგან განდიდებულიც იყო? იგი ხომ უზადო და სპეტაკი იყო და, ამდენად, მისი „წასკლის“ მიზეზი თითქმის მასში ვერ იქნებოდა, ე. ი. ამქვეყნის უღირსი ის ვერ გახდებოდა. ეს მიზეზი, უთუოდ, მის გარეთ, გარემომცველს ქვეყანაში, ადამიანებში ძევს. ამ ასპექტში პოეტის წინაშე აღძრულ კითხვას ორგვარი პასუხი შეიძლება გასცემოდეს: ორთოდოქსულ-კათოლიკური და ერთიკული.

პირველის თანახმად, ბეატრიჩე იმიტომ უნდა გასცლოდა ამქვეყნიას, რომ ეს უკანასკნელი, როგორც „ამაობისა და ცოდვილების ველი“, არ

წარმოადგენს მის სასუფეველს, და იმის გამო განშორდა კიდეც აღმაინთ გარემოს, რომ ამ უკანასკნელის „სიმდაბლეს“ ვერ შეეგუა, ვერ შეეთვისა მისი „ზენარული“, არა აღამიანური, არამედ „ღვთაებრივი“ სული. „ახალ ცხოვრებაში“ თითქოსდა ვხვდებით კიდევაც ამგვარი პასუხის მინამგვანს. სახელდობრ, ჭერ კიდე იმავე პირველ კანკონაში ანგელოსი, როცა აღნიშნავს, მიწაზე სულმნათ ბეატრიჩეს „ბრწყინვალეობამ ზესკნელს უწიაო“, „ამგვარად უხმობს ღვთიურ ინტელექტს“: „...ცათა სკნელი, ვის გულსავე სრულყოფილებას მხოლოდ ეს ტკბილი და ნათელი სული აქლია, წმინდათა დასთან თანაზრახვით, თავის შემოქმედს მის ამ ქვეყნიდან ამაღლებას ემუდარება“. და მეუფეც ასე უპასუხებს ამ ვედრებას: „ო, კეთილნო, ჭერ არ ვაპირებ, გამოვიწვიო ის ქვეყნიურ სამყოფელიდან, რადგან მის ღვთიურ სიხლოვეს დაჰკარგავს იგი, ვინც ჭოჭხეთში ბოროტ სულებს ჩიქურ მიახლის: კრულნო, მიხილავს მე ნეტართა დიდი იმედი“.

მაგრამ, ნამღვილად, აღძრულ კითხვაზე დანტეს შიერ გაცემულ პასუხს ცოტა რამ აქვს საერთო მიწისა და ზეცის, აღამიანისა და ღვთის კათოლიციტურ დაპირისპირებასთან, რომელიც, როგორც აღინიშნა, მათ შორის რეალურ-თვისობრივ კავშირს გამორიცხავს. ნამღვილად ეს პასუხი იმ რელატივიზმს ემყარება, რომელთაც ერეთიკოსები ქრისტიანულ დულაიზმს თუმცა საბოლოოდ კი ვერ ხსნიან, მაგრამ არსებითად მაინც არბილებენ, რომლის თანახმად „ღვთაებრივი“ მიწა და აღამიანი მხოლოდ ნაკლებ სრულყოფილი არიან, ვიდრე თვით ღმერთი.

ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ისაა საყურადღებო, რომ „ახალ ცხოვრებაშიც“ და შემდგომ თხზულებებშიც დანტეს არსად არ მიაჩნია მიწიერი სამყარო მხოლოდ „ამაოებისა და ცოდვილების ველად“, ხოლო მიწიერი აღამიანი მართო „მტერისაგან“ წარმოქმნილ მანკიერ არსებად, მისი ხორციელი ბუნება „სულის დილეგად“. მართალია, „ახალ ცხოვრებაში“ იგი ხშირად უწოდებს ამიერ ცხოვრებას „საწუთროს“, მაგრამ (უფრო დაწვრილებით ამაზე ქვემოთ იქნება თქმული) მხოლოდ ბეატრიჩეს სიკვდილთან დაკავშირებით; დანტე არსად არ ამბობს იმას, რომ ესე ქვეყანა თავისთავადაა „უსასიოების“ ველი, არამედ იმას უსვამს ხაზს, რომ იგი ბეატრიჩეს მისგან წასვლის შემდეგ და, რაც მთავარია, თვით პოეტისთვის, სატრფოს განშორებული მიწურისათვის იქცევა ასეთად. მაგალითად, ასე იწყებს იგი XXXI თავს: „მას შემდეგ, რაც ეგ უკეთილშობილესი სული ..ასე მოულოდნელად გაეყარა თავის მშვენიერ სხეულს, ზემორე ხსენებული

ქალაქი ქერიეს დაემსგავსა და ოხერს, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა და ყოველი ღირსებისაგან განძარცვეულს და მაშინ, ამ უნუგეშო და უსიხარულ ქალაქში ჭერ კიდევ ტირილად მჭდარმა, მისი უსასობისათვის წიგნი მიეწერე მანდაურ წარჩინებულთ...“ (კურსივი ჩემია — ო. ჯ.) ასევე, დანტე არსად არ მიიჩნევს ადამიანსაც მანკიერ და მდაბალ ქმნილებად, ბეატრიჩეს ღვთაებრივობისათვის უცხო არსებად. მართალია, დანტეს აზრით, ადამიანთ მოდგმას მისი მრავალი უღირსი შვილი, უხამსი და ცოდვილი არსება ამდაბლებს; პოეტი (ერთი მხრივ, თავისი პატრიციური სოციალური შეგნების, ხოლო, მეორე მხრივ, „ახალი საამო სტილის“ იდეოლოგიური ტენდენციის შესაბამისად) ბეატრიჩესა და მისდამი თავისი სიყვარულის განსახიერებისას გარკვეულ არისტოკრატიზმსაც კი იჩენს. მაგალითად, პირველ კანცონას, რომელშიც ბეატრიჩეს მორალური არსია გახსნილი, იგი განაჩივებს „მდაბიორთაგან“ (*gente villana*) და წარგზავნის „სათნო ქალებთან და ქველ ჰაბუკებთან“; რადგან მხოლოდ ამთ შორის პოეებს და შეიცნობს ეს კანცონა, „ვითარცა სასწაულს“, თვის მსგავსსა და შესაფერის სიყვარულს; თანაც, ამ კანცონის განმარტებისას პოეტი დასძენს: „უცოტა არ იყოს, ვშიშობ, რომ ამდენი დაყოფითაც ბევრს გავუცხადებ მის ფარულ არსს, რასაკვირველია, თუ ბევრნი იქნებიან ისინი, ვის ყურამდე მიაღწევს იგი“ (XIX). მაგრამ ამ *gente villana*-ს არსებობას დანტე ოდნავადაც არ მიიჩნევს კაცთა ჯურის, ადამიანური ბუნების არსობრივი მანკიერებისა და სიმდაბლის საბუთად, არამედ, პირიქით, იმ აზრს ადგას, რომ „მდაბიორთა“ არსებაც ღვთაებრივ-ადამიანურია, მაგრამ მხოლოდ დაქვეითებული, რის გამოც არც მათთვისაა მიუღწეველი ბეატრიჩე, რომელიც „სიქველთა და სიკეთით მოსავს ყველაფერს, რასაც უმზერს“ და „სიყვარულის ძალმოკმეულობას ამკვიდრებს იქ, სადაც ის არ მკვიდრობს“.

ამგვარად, ბეატრიჩეს გარდაცვლის ფაქტის ერთიკული მსოფლაქმის ასპექტში გააზრებით, დანტე იღებს თავისი „წიგნაკის“ მსოფლმხედველობრივი კონცეფციის ანტითეზისს: „ღვთაებრივი ბეატრიჩე“ იმიტომ გასცილდა ამ ქვეყანას, რომელიც ამიერიდან თავის მთიებს მოკლებულ ბნელეთად ესახება მგლოვიარე მიწნურს, რომ ზეცა უფრო შესაფერი იყო მისი — ბეატრიჩეს — სრულქმნილებისათვის.

პოეტი ასე ყვება ზოგ „რაიმეს“ ბეატრიჩეს „ამ სოფლით განსვლისათვის“: „აარსთა გამრიგემ სასუფეულის კარად იხმო ეგ უკეთილშობილესი,

რათა სასუფევლის დედოფლის, წმიდა მარიამის აღმის ქვეშ (ვის სახელსაც ასეთის მოწიწებით წარმოთქვამდა ხოლმე ნეტარი ბეატრიჩე) მარადიული დიდებით შეემოსა იგი“ (XXIX). მართალია, ერთგან (მესამე კანკონის მეორე სონეტში) თითქოსდა საესეებით ორთოდესულადაა თქმული, რომ უფალს „უტებილესი ნლომა“ აღეძრა „თავისთან ენმო სათნოების უშრეტი წყარო; და იხმო კიდეც, რაკი მისმა მალღმა ნებამ ასე ენება: არა ღირს ვართ ჩვენ, მიწიერნი, ეგზომ სიწმინდეს და დიდებას აქ ვიმარხავდეთ“. მაგრამ ეს უკანასკნელი არგუმენტი, — „არა ღირს ვართ ჩვენ“, — სრულებით არაა ნაკარნახევი ამა ქვეყნისადმი კათოლიკური მტრობით და სულაც არ გულისხმობს იმას, თითქოს მატერიული ყოფიერების ფორმები ბეატრიჩეს სულიერ სრულქმნილებას ეუცხოვებთან და ახშობენ; პირიქით: იმავე კანკონის მომდევნო, მესამე სონეტს დანტე იმის აღნიშვნით იწყებს, რომ ბეატრიჩეს სულმა მშვენიერი სხეული დასტოვა; რომ, სახელდობრ: „შემოიძარცვა მშვენიერი შესამოსელი ზეკარდმო მადლით შემკობილმა უმანკო სულმა და მიაშურა უმშვიდეს და უშფოთველ სადგურს“. პოეტი იმას ამბობს, რომ ბეატრიჩე არა ქვეყნის მანკიერებათა იძულებით, არამედ თავისი სიკეთის ძალით ამაღლდა და რომ მისი „არაამიერი“ სრულქმნილება, რომელიც დიადად, მაგრამ მაინც არა სრულად იჩენდა თავს მის მიწიერ სიცოცხლეში, ახლა მთელი სიძლიერით გაბრწყინდა; რომ ღვთაებრიობის ის ნათელი, რომელიც მისი ხორციელი ბუნებიდან ესოდენ დიდებულად გამოკრთოდა, ახლა სრული სიწმინდითა და მკუნებარებით აელვარდა; სრული შინაარსი მესამე კანკონის იმ სონეტისა, რომელიც მიწიერი სასუფევლის ბეატრიჩეს სიწმინდისათვის შეუფერებლობის, „უღირსობის“ დამოწმებით მთავრდება, ასეთია: „აწ ბეატრიჩეს სული ბრწყინავს ზესკენელის კართან, იქ, სადაც ნათლით ხარობს წმინდა ანგელოსთ დასი, — მათთვის, მათ გამო მიგატოვათ, სათნო ასულნი! არა სიცოცხლე უთმინარმა წარგვტაცა იგი და არა სიცხემ, — ასე მხოლოდ სხეები კვდებიან, არა სიწმინდე იყო მისი წასვლის მიზეზი, ვისმა უსაზღვრო დიდებამც ზესკენელს უწია და განაბრწყინა ზეცის ბქენი იმგვარის ძალით, რომ თვით უფალი საუკუნო სასუფეველში განაცვიფრა...“ ხოლო ამ კონტექსტში სონეტის დამამთავრებელი „არგუმენტი“ მხოლოდ იმ აზრის შემკველი ჩანს, რომ „მიწია“, „ქვეყანა“ ბეატრიჩეს სიკეთეს მთელი სისავსით ვერ ავლენს. თანაც აქ არსებითად ნიშანდობლივია ის ნიუანსი, რომ დანტე კადნიერად,

ორთოდოქსი ქრისტიანის თვალში სულაც „მკრეხელურად“ ახდენს იმის აქცენტირებას, რომ იმდენად ბეატრიჩე კი არ ხდება თავისი სიკეთით ზეცის ღირსი, რამდენადაც ზეცა შეპფერის ბეატრიჩეს სიკეთეს, რომლის ბუნებრივობის ნიშნით აღბეჭდილმა მშვენიებამ აქ სრული ძალით გაიბრწყინა, ანდა რომ, სულაც, მისმა ამაღლებამ მარტო მისი საკუთარი, ბეატრიჩეს, მშვენიება კი არ სრულქმნა, არამედ თავად ზეცას შეჰმატა ბრწყინვალეობა. მეჩვიდმეტე სონეტში ეს უკანასკნელი მორტივი „გაკვირითა“ გამოთქმული: ბეატრიჩეს სახე „დღეს უფრო მეტად ღირსეულს — გრძელ და საუკუნო-სამყოფელს ამკობსო“; ხოლო მეოთხე კანტონა იმის ხაზგასმით მთავრდება, რომ ბეატრიჩეს „მშვიდმა, უბიწო და უხრწნელმა მშვენიებამ“, მას აქვთ, რაც „ჩვენ თვალთა მზერას გასცილდა“ და „უხორცო და ზეციურ მშვენიერებად იქცა“, ისე „გაანათა სამყარონი სიყვარულს მზით“ და ისე „გააბრწყინა ციურნი დასნი“, რომ თვით „ანგელოსთა ყოვლის ნომცველი გონება განაცვიფრა“. აქ ბეატრიჩე ღვთაებრივი სიკეთისა და მშვენიერების საწყისად, დემიურგად თუ არა, სუბიექტად, მატარებლად მაინც იქცევა, რომელიც ჭერ მიწას აფრქვევდა ზენარულ მადლს. ხოლო ახლა თვით ზეცას ასხივოსნებს თავისი მიწიდან აღვლენილი, მაგრამ ახალის ძალით აშუქებული სრულქმნილებით. ამ ასპექტში იშლება არსებითი სხვაობა მიწასა და ზეცას შორის: სიკეთე და მშვენიერება უკვე აღარ წარმოადგენენ ზეციერი ყოფიერების პრიორიტეტს, არამედ მთელ სამყაროზე არიან განვრცობილნი, როგორც მისი ღვთაებრივი სუბსტანციის ატრიბუტი, რომელიც, პოეტის მიერ ბეატრიჩეთი სიმბოლიზირებული, თუმცა არათანაბარი ძალის, მაგრამ ერთგვარი „სასიყვარულო სხივის“ ნათელს ჭფენს ყოველივეს.

ამგვარად ეზიარა თავისი საკუთრივი ამაღლებულობის ძალით ბეატრიჩე (თუმცა ღვთის შემოქმედებითი უნარის სასწაულებრივი ქმნილება, რომელიც „არაამქვეყნიურ სამყაროს წარმოაჩენს“, მაგრამ მაინც ასული „მიწიერი“ მამისა, რომლის განტევებასაც მასთან ერთად დანტეც გლოვობს XLI თვში) უფრო სრულყოფილ, „ახალ“ ცხოვრებას, რომელშიც მთელის სიუხვით ასხივოსნდა მისი ღვთაებრივი არსება.

მაგრამ „ძველი“, მიწიერი ცხოვრების ეს ნეგაცია იმ რიგის აღმოჩნდა, რომ იგი არა თუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, ემყარება „მიწიერისა“ და „ზეციურის“ არსობრივ ერთიანობას, და როგორც ასეთი, აუცილებელს

ხდის და პოტენციალურად კიდევაც შეიძებს „ადამიანურსა“ და „ღვთა-
ებრივს“ შორის იმ ხინთფხს, რომლის მიღწევა დანტეს შემოქმედების სა-
ბოლო მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ მიზანდასახულებას წარ-
მოადგენს.

ეს ნეგაცია არ წარმოადგენს მიწიერ-რეალური სამყაროსა და ამიერი
ყოფიერების არსობრივ უარყოფას. დანტესათვის ორგანულად უცხოა ამა
ქვეყნისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება, მიწიერების ამაოებად, არა-
რამადალ მიჩნევა. მართალია, ისიც ლაპარაკობს ამიერი არსებობის უმკვიდ-
რობაზე, სწრაფ წარმავლობაზე, მაგრამ სრულებით არა კათოლიციისტური
აზრით, რომელიც ამ არსებობის არაქვეშაირტობასა და დაგმობის აუცა-
ლებლობას ამტკიცებს და მის ხანმოკლეობას ესალმება. სწორედ თავისი
სიცოცხლის მწყურვალეობის კონსტიტუციით იწყებს დანტე ოცდამესამე
თავსა და მის შესატყვის მეორე კანცონას, რომლებიც ბეატრიჩეს გარ-
დაცვლის „წინაგარძნობით“ არიან შთაგონებულნი და მთელი „წიგნაის“
იდეურ ბირთვის შეადგენენ.

პოეტის „სხეულის ერთი ნაწილი“ მტანჯველმა სენმა შეიპყრო და „შე-
ცხრე დღეს, „როცა თითქმის აუტანელი ტკივილი“ იგრძნო, მის „ხარწნად
სიცოცხლეზე“ ფიქრმა შეიპყრო სნეული: „და რა განვეკრიტე, — ყველა
დანტე, — რაოდენ მსწრაფლწარმავალია მისი ბუნება, არა მარტო სნეუ-
ლისა, მრთელისაც კი, ტირილი ვიწყე საკუთარი უმწურობის შეგნებით შეძ-
რულმა“. ხოლო ამ აღიარების შემდეგ პოეტი განაგრძობს: „და ხმაშალა
ოხვრით ასე ვუთხარი თავს: „რადგან გარდუვალი არ გადავა, უთუოდე
უკეთილშობილესი ბეატრიჩე მოკედება-მეთქი ოდესმე“. ამ დასკვნამ კი
ისე „მოუღო ცნობა“ მიჯნურს, რომ ბოდე დააწყებინა და კომშარული
ხილვა ექმნა, თითქოს ჭერ ვილაც „თმაგაშლილმა ასულებმა“ უთხრეს: „შენც
მოკედებიო“, მერე კი საზარელმა აჩრდილებმა ჩასძახეს: „შენ უკვე მკვდა-
რი ხარო!“ სატრფოს სიკვდილის აუცილებლობასა და საკუთარ სიკვდილს
პოეტი კოსმიურ კატასტროფად აღიქვამს: „მეჩვენებოდა, — ყველა იგი, —
თითქოს მზე ჩაჰქრა, და ვარსკვლავები ისე მწყუხარედ აკიფდნენ ზეცის
თავანზე, გეგონებოდათ, ტირიანო უმზეოდ შთენილნი; მეჩვენებოდა, თით-
ქოს ფრინველები სეტყვასავით ცვიოდნენ ძირს და საზარლად იძროდა მი-
წა“ და დასასრულ, როცა „ამ ხილვით შემტებარსა და შეძრწუნებულს ერ-
თი მეგობარი გამოეცხადა, რომელმაც უთხრა: „ნუთუ არ იცი, დღეს მიიცი-

ვალა შენი მზეოა სოფლის მშვენება“, — მას უკვე როდი ეჩვენება, რომ ტირის, არამედ ნამდვილად წასკდება ცრემლები: „და მაშინ, — გვეუბნება პოეტი, — საწყალობლად ავტირდი, და ვტიროდი არა მარტო წარმოსახვაში, არამედ ცხადაც, ცხადი ცრემლებითო“.

ამრიგად, ბეატრიჩეს გარდაცვა მიწიერი ცხოვრების უქმარობით, „სუსტი სიმტკიცით“ არის პირობადებული; მაგრამ, წინააღმდეგ კათოლიკე ასკეტისა, რომელსაც ცხოვრების უმტკიცობისა უხარია, რამდენადაც ესე ქვეყანა მანკიერად მიაჩნია, და რომელიც შენატრის და ესალმება სიკვდილს, როგორც ამიერ ცდუნებათა და უბედურებათაგან მხსნელს, დანტე ტრაგიკულად აღიქვამს როგორც ერთს, ცხოვრების „სისუსტეს“, ისე მეორესაც, სიკვდილს, რამდენადაც მას ბეატრიჩეს გარდაცვლამდე აზრადაც არ მოსვლია და გულთანაც არ გააკარებია ამიერი არსებობით უქმყოფილება. მეტიც, იგი იმდენადაა შესისხლხორცებული რეალურ, ერთადერთ ცოცხალ სინამდვილესთან ამა ქვეყნისა, რომ თავდაპირველად ვერც კი წარმოიდგენს ამ სინამდვილის გარეშე არსებობის შესაძლებლობას: მას ბეატრიჩე, როგორც მისი ხორციელი სიტურფით, ისე მშვენიერებითურთ, მხოლოდ ამაქვეყნად წარმოუდგენია ცოცხლად და მის „გარდაცვლას“ აღიქვამს, როგორც სიკვდილს მისას; მას შემდეგ, რაც მეგობარმა ბეატრიჩეს „ამაქვეყნიდან განშორება“ ამცნო, „ნამდვილად მტირალს“ ეზმანა მას, თითქოსდა ხედავს, თუ როგორ ბრუნდება „ზეცხენელს“ ანგელოსთა დასი, რომელსაც „უსპეტაკესი ღრუბლის ქულის“ სახით ბეატრიჩეს სული მიუძღვის; და პოეტი დასძენს: „და მაშინ ასე მომმართა გულმა, ამდენი სიყვარულის საყოფლომ: „ქვეშმარტად შკვდარი დევსო ჩვენი ქალბატონი“. ხოლო რეალური, მიწიერი ყოფიერებისადმი ამ გულმოდრეკილების ასპექტში (მოდრეკილებისა, რომელიც არსებობდა, არც მისი სატრფოს „გარდაცვლის“ შემდეგ დაშრეტია დანტეს) ისე აიხსნება ბეატრიჩეს „ამაღლების“ ფაქტი: ბეატრიჩე იმიტომ „განშორდა“ ამაქვეყნიურს ცხოვრებას, რომ ეს უქანასკნელი არა თავისი მანკიერებით, არამედ უქმარობით იყო მისთვის, ბეატრიჩესთვის, შეუსაბამო. და თუკი ცხოვრების „უქმარობა“ შეიქმნა ბეატრიჩეს „განშორების“ მიზეზი, ამავე ცხოვრებთან არსობრივი სრულქმნილება აღმოჩნდა საფუძველი ბეატრიჩეს „ამაღლებისა“. ბეატრიჩეს „სულის ნათელი“, რომელმაც „ზეცხენელს უწია“, პირველად ხომ მისი ხორციელი ფორმებიდან გამოკრთა; იმ სიკეთემ, რო-

მელმაც ზეცა მის ღირსად აქცია, ხომ მის მიწიერს ბუნებაში ჰპოვა თავისი ხამდვილობის დადასტურება, და, როგორც ასეთი, ზგი იმიტომ კი არ ამალღებულა თავის „შესაფერის“ სასუფეველში, რომ „მიწიერ“ არსებათ, ადამიანთ ეუცხოვებოდა, არამედ იმის ძალით ეწია „ახალს“ ცხოვრებას, რომ მათ — ადამიანთ — შორის იყო საუკეთესო, უკეთილშობილესი და უმშვენიერესი.

ამდენად, ბეატრიჩე თავისი „ამალღებით“ როდი წყვეტს კავშირს ქვეყანასთან და მის მკვიდრებთან, ადამიანებთან, რომელთა „შემკრებ“ გამოშახველად უკვე „ახალ ცხოვრებაში“ (ისევე, შემდეგ „ლეთაებრივ კომედიაში“) წარმოადგენს დანტე საკუთარ თავს. ბეატრიჩე, პირიქით, ახლოვებს ურთიერთთან მიწასა და ზეცას, „შუამავლად“ დგება ადამიანებსა და ღმერთს შორის. ბეატრიჩე ხომ უსრულყოფილესი ანუ მხოლოდ ერთ-ერთი განმახორციელებელია და მატარებელი იმ ღვთაებრივი სიკეთისა, რომელიც სიყვარულის სახით სამყაროს განმსკველავს; ამიტომაც თავისი „წასვლით“ მას როდი „განუძარცვავს“ ქვეყანა ღვთაებრივობისაგან; სიყვარული მანინ დარჩა მიწაზე, მხოლოდ „დაობლებული“ და თავისი უბრწყინველესი ქალბატონის უყოლობის გამო მგლოვიარე, როგორც შესამეკანცონის პირველ სონეტშია თქმული, ბეატრიჩემ, შეერთო რა „ნეტართა სირას“, ამქვეყნად „დააგლო სიყვარული დაობლებული“. და ასევე დაობლებულნი და მგლოვიარენი დარჩნენ ადამიანნი (მათ შორის კი ყველაზე მეტად დანტე), რომელნიც, როგორც საკუთარი, ადამიანური, ბუნების უზენაეს გამოცხადებას ეტრფოდნენ ბეატრიჩეს. მაგრამ ეს მგლოვიარება, ბეატრიჩეს „ამალღებამ“ მიწად რომ დატოვა, არაა იმ უსასობითა და სასოწარკვეთილებით გამსკველული, რომელთაც კათოლიკე მორწმუნეს უნერგავს ღვთაებრივი საწყისისაგან მოწყვეტილობისა და გაუცხოვებულობის განცდა. უსასობითა და სასოწარკვეთილებით დანტე მხოლოდ წამიერ რჩება პერობილი, აფექტის ქვეშ მყოფი, როდესაც მას, ბეატრიჩეს გარდაცვლის პირველი განცდით თავზარდაცემულს, თავისი სატრფო მკვდრად მიაჩნდა და, ჰამლეტის სიტყვებით რომ ითქვას, „დროთა კავშირი“ დარღვეულად ესახებოდა. ხოლო რამდენიმედ გონს მოსული, — მას შემდეგ, რაც განსვენებულისათვის თვალის მიპყრობის უნარი მიეცა და დაინახა, რომ ბეატრიჩეს „სახეს ისეთი ანგელოსური სიმშვიდე გადაჰფენია, თითქოს ამბობდა: „ვეზიარეო ქვეშაირიტი სიმშვიდის წყაროს“, — დანტე გრძნობს, რომ ამ სიმშვიდემ მასაც „დაუბამა“ ეგზომ „შეპირვებული“ სული

და ცხარედ შესთხოვს „ტებილად“ ქვეულ სიკედლის, „მეც. მისაებრ, სულთა სირას შემერთე, მაღალოო“. ანუ ამ სიმშვიდესთან ერთად აღეძვრის მგოსანს, — და მასთან ერთად სიყვარულსაც, — ამაქვეყნისაგან „განშორების“, მასზე „ამალღებისა“ და ბეატრიჩესთან კვლავ დაახლოების გარდაუღახავი წადილი. ცათა უსაზღვრო სასუფეველის მიმართ მზირალი პოეტი ტირილით ასე ღაღადებს: „ეჰა, სულო ღიდმშენიერო, ნეტარ არსმეთქი შენი მხილველი“ (XXIII). და ამ წადილით, ამალღებულ ბეატრიჩესაკენ ამ ზესწრაფვით პოეტი კიდევაც დასძლევს — თუმცაღა არა უტებ, საამისოდ მას მთელი წელიწადი დასკირდება! — თავის კაეშანს: სატრფოზე განუწყვეტლივ მაფიქრებელ-მგოდებელი მიყნური წლისთავზე იგრძნობს, რომ მის „მწირსა და უდაბურ გულში კვლავ გაიღვიძა სიყვარულმა“, რომელმაც „ყველა სულთქმას ამნაირად მიმართა: გასწით, გამშორდით აწვე...“ და ისინიც, „საწყალობელი ხმით მოტირალნი“, უმალ განშორდნენ... (სონეტი XVIII).

მაგრამ, თავის მხრივ, არც ზეცად „განსვენებული“ ბეატრიჩე რჩება გულგრილი და უზრუნველი მისი „ამალღების“ გამო დამგლოვიარებულის და მისკენ მსწრაფი პოეტისადმი; მართალია, ეს მოტივი, მხოლოდ გაკვრით იჩენს თავს „ახალ ცხოვრებაში“, — დანტე ერთგან (მესამე კანცონაში) მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, „შეისმენს ჩემს ვაებას და არ გამწირავს მისი მაღალი, მოწყალე და მღმობელი სულიო“, — მაგრამ აქ გარევევით ჩანს იმ საპასუხო სიყვარულის ჩანასახი, რომლითაც ბეატრიჩე „ღვთაებრივ კომედიაშია“ გამსკვალული დანტესადმი, როგორც თავისი ღვთაებრივი თანამოქმისა და თანამოგვარისადმი, და რომელიც გზას უშუქებს და ძალას უნერგავს მიწიერების „უსიერი ტევრიდან“ ზენარული სინათლისაკენ მღტოლვარე პოეტს.

და ასე ხდება, რომ ბეატრიჩეს „ამალღებამ“, „განშორებამ“ კი არ განსწვიტა, არამედ უფრო გააცხოველა, უფრო ქმედითი პეო „მიწისა“ და „ზეცას“ შორის კავშირი, გააძლიერა ურთიერთდაახლოებისაკენ მათი სასიყვარულო სწრაფვა: ერთი მხრივ, მიწაზე „ობლად“ შეთილნი მოყვასნი მიიღტვიან ბეატრიჩესთან მის ახალ სასუფეველში ახლებურად, კეშმარბტად სრულად შესაერთებლად, ხოლო მეორე მხრივ, მათკენ ზემოდან მაცქერალ ბეატრიჩეს მოწყალე, მზრუნველ თვალთაგან ეფრქვევა მათ ამ ღტოლვის აღმამტრენი ვნება სიყვარულისა. ამგვარად იქტევა „ამალღე-

ბული“ ბეატრიჩე არა მხოლოდ სიმბოლოდ, არამედ აქტიურ, ფაქტორადაც იმ სინთეზისა, რომელსაც თავისი შემოქმედებითი მოწოდების იდეალად სახავეს დანტე, სინთეზისა, რომელიც თუმცა იდეალისტურ-მისტიკურია. ფორმით, მაგრამ, ამავე დროს, ღრმად ჰუმანისტურია, ცხოვრების მტკიცედ მადგინებელი რეალურ-პრაქტიკული შინაარსით.

მართალია, თავისი სატრფო-იდეალისაკენ მისწრაფებელი დანტე თითქოსდა „გაუცხოვებულა“ ამაჟვეყენისაგან და ინატრის სიკვდილს, რომელმაც ბეატრიჩე „ამა საწუთროს“ განაშორა, მაგრამ ცხოვრების „ხრწნალობას“ და სიკვდილის „სიკეთეს“ მიჯნურ პოეტს მხოლოდ ბეატრიჩეს; გარდაცვლით შექმნილი ემოციური განწყობა შთააგონებს და არა მსოფლიშხედველობრივ-ფილოსოფიური მრწამსი. დანტე მხოლოდ მას შემდეგ, გრძნობს, თავს ამა ქვეყნად „უცხო ოჯახში“, რაც ბეატრიჩე განშორდა აქაურობას; მას მხოლოდ იმდენად ღრეკს „ცხოვრების სიმძიმე“, რამდენადაც თავისი „წასვლით“ ბეატრიჩემ „მტკიცედ დაუბუქდა სულის კლიტენი“; იგი იმითომ ინატრის სიკვდილს, რომ მასში ხედავს ერთადერთ მხსნელს იმ აუტანელი ტანჯვისაგან, რომლადაც მას აქეთ გადაეჭეცა „წუთისოფელი“, რაც თავისი გარდაცვლით ბეატრიჩემ „მარტო და უსაგნოდ“ დასტოვა (კანტონა III). ბეატრიჩეს გარდაცვლის კომპარულ წინასწარხილვაში (თავი XXIII) დანტე ასე მოუხმობს სიკვდილს: „აწ კი მოვედ, უტუბესო. სიკვდილო, მოვედ; მისმინე და მიმიღე მე! შენ ხომ მოწყალე ხარ და წმინდა, რადგან თვით სიწმინდისა და მოწყალების (ე. ი. ბეატრიჩეს—ო. ჯ.) „შეველე ბქენი“. ხოლო მესამე კანტონაში პოეტის ასე გვაშინობს: „...გლოვა და ზარი, ვაება და მიუსაფრობა ამ საწუთროში წილად მხოლოდ იმას რეუბია, ვისაც გულისხმით შეუცვნია, აზრით განუხევაშ მისი (ბეატრიჩეს—ო. ჯ.) ყოფნა და განტეუება ამა სოფლიდან... და ხშირად, როცა გონს სიკვდილის მიმართ ვიუწჯებ, იმგვარის ძალით მომინდება. მისი სტუმრობა, რომ სახე-შეშლილს ერთიანად მეცვლება ფერი“. ამდენად, ზეცისაკენ სწრაფვა და სიკვდილის ნატრაც დანტესთან არ გადაიქცევიან ამაჟვეყენიური ცხოვრების პირინციპულ გმობად, ადამიანური ბუნების ასეკტური ჩაკვლის ვენებად. საწინააღმდეგოდ ასეკტისა, რომელიც „ზეციური“ ცხოვრებისათვის თავისი „მოსამზადებელი“ მოღვაწეობის აზრს თავის „ხორციელ“ ვნებათა ჩახშობაში ხედავს, ხოლო თავის „სულიერ ხსნას“ განგების მოწყალეობას, ღვთიურ მადლს აბარებს, ე. ი. ღვთისაკენ პოზიტიურს სწრაფვაში პასიური რჩე-

ბა და აქტივობას მხოლოდ „მიწიერ ბუნებასთან“ ბრძოლით იჩენს, — დანტე თუმცა „შენატრის“ და „მოუხმობს“ სიკვდილს, მაგრამ მის დაჩქარებას არ ცდილობს. პირიქით: განგებას ანდობს რა სიკვდილის დადგომის ქაშა, იგი თავისი სულით: განგებას მორალური სრულქმნით, როგორც შემდეგ („ნადიმსა“ და „მონარქიაში“) ამბობს ხოლმე, თავისი „სათნოების წერტონით ეშაადება სიკვდილისათვის. ბეატრიჩესაქენ მლტოლენლი დანტე ხელოვნურად, ძალდატანებით კი არ იღებს ხელს ცხოვრებაზე, არამედ, პირიქით, „უბრუნდება“, ცდილობს „შეეთვისოს“ ამა ქვეყანას, ვითარცა „ობოლი“ „უცხო ოჯახს“, რათა თავისი „მწუხარე ხედრის“ მთმენლმა აქვე პოეოს წყარო იმ სიკეთისა, რომელიც მაშინ აღაუენს მას ბეატრიჩესთან, სანატრელი სიკვდილის საათი რომ დაჰკარავს. სახელდობრ, ამ წყაროს იგი იმავე „ასულებთან და ბანოვნებთან“ პოულობს, რომელთა დასშიც ბეატრიჩე პირველად ამობრწყინდა და რომელნიც ოდესღაც თვით მასაც, ამ მგლოვიარე მიჭნურს, აღავსებდნენ ნეტარების განცდით.

დანტე ასეთი „წარმართვით“ ასრულებს თავის მესამე კანცონას, რომელშიც „სიკვდილს მოუხმობს“: „აწ განვედ ჩემგან, ცრემლიანო ჩემო კანცონავ, წადი და ჰპოვე ის ასულნი და ბანოვანნი, რომელთ წინაშე, სხვა დროს, შენი პირმოცინარი უფროსი დები (ე. ი. პოეტის ადრინდელი, ბეატრიჩეს გარდაცვალებამდე დაწერილი მხიარული სონეტები, — ო. ჯ.) მხოლოდ შეებას თუ მოიტანდნენ“, ეცადე, „კმუნვის და უსახურ დღეთა ასულო, იქნებ იქ მაინც — უნუგეშოს — გცენ ნუგეშინი“.

მაგრამ პოეტი მხოლოდ თავის „მწუხარე“ კანცონას კი არ აგზავნის ნუგეშის საძიებლად „დონებთან და ასულებთან“, არამედ ამათ შორის თვითონავე პოეებს მანუგეშებელს *Donna della finestra*-ს სახით. და ამ უკანასკნელის ძალაც იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ მგლოვიარე მიჭნური კინალამ სავსებით ივიწყებს თავის „ლეთაებრივ ქალბატონს“, მისდამი თავის „ზესწრაღვას“ და ლამის მზადაა ამქვეყნად დარჩეს, რათა კვლავ მრეკეს იმ ნეტარებას, რომელსაც ადრე ბეატრიჩე გვრიდა, ამიერიდან კი ახალი დონა მოჰგვრის.

Donna della finestra-ს მოტივი სავსებით ცხადყოფს ბეატრიჩესადმი დანტეს ტრფობისა და სწრაფვის სრულიად „ამიერ“, მაგრამ, ამავე დროს, ღრმად აღამიანურ, მაღალ-მორალურ ხასიათს. ამ დონათი დანტეს გატაცება სრულებით არაა „გრძნობადი“, სენსუალურ-ხორციელი, როგორც ამას

ფიქრობენ, არამედ ისევე სულიერია (მაგრამ არა პლატონისტული), როგორც ბეატრიჩესადმი ტრფობა. ეს გატაცება ასევე სპეტაკია, ფაქიზი, ამალღებული; იგი ემყარება ადამიანურ ურთიერთობათა უკეთილშობილეს, უმტკიცეს საფუძველს — თანაგრძნობას, უფრო სწორად, თანაღმობის გრძნობას. ამ გატაცების აღმოცენებას ასე მოგვითხრობს დანტე: „ერთგან“, ბეატრიჩეს გარდაცვლიდან „რამდენიმე ხნის შემდეგ“, წარსულ ნეტარებაზე მწუხარე ფიქრებით შეპყრობილმა პოეტმა შეამჩნია „ერთი სათნო და საყვარელი ყმაწვილი ქალი, რომელიც მას ისეთი სიბრალულით უმზერდა სარკმლიდან, „გვეგონებოდათ მთელი საწუთროს სიბრალული მოქცევიყო მზერაში“. „და რაკი, — ყვება დანტე, — ღმობილს თანამღმობელის მზერა მყისვე ტირილად აღწავს ხოლმე, ვიგრძენი, როგორ ამიწყლიანდა თვალები და, რათა საკუთარი სიმდაბლე და სულმოკლეობა არ მეჩვენებინა სხვისთვის, დაუყოვნებლივ გავეცალე მაგ კეთილშობილის მზერას. და მერე აგრე ვუთხარი თავს: „როგორ იქნება, ამ მოწყალე ასულთან უკეთელშობილესი სიყვარული არ იყოფოდეს-მეთქი“ (XXXVI). და „მერე მოხდა ისე, რომ სადაც არ უნდა დავენახე ამ ასულს, ღრმა სიბრალულით მემსკველვოდა და ფითრდებოდა, თითქოსდა ნამეტნავი სიყვარულისაგან: რითაც ჩემს უკეთილშობილეს ქალბატონს მაგონებდა ხშირად...“ (XXXVII). მაგრამ „ამ ასულის მღმობელმა მზერამ, ბოლოს და ბოლოს, იმდენი ქნა, რომ აქამდე ცრემლთა მთხვეელი თვალნი ახლა სიხარულით მენთებოდნენ, როცა მას ვხედავდი ხოლმე“ (XXXVIII).

დანტეს გატაცების ამგვარი ჩასახვა უნებლიეთ გვაგონებს ოტელოზა და დეზდემონას სიყვარულს, რომლის აღმოცენებასაც მავრი ასე ხსნის: „ჩემგან გამოვლილ ჰიროთათვის მან მე შემეიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა პირთა თანაგრძნობისთვის“. მაგრამ ამ ახალი სიყვარულის შთანერგვასთან ერთად აღიძრა მიჯნურის სულში ბეატრიჩეს მიმართ ღალატის მძიმე შეგნება: ამისგან „მწარედ მელმოდა ხშირად და ყოვლად ხრწნილება-ქმნილად მიმაჩნდა თავიო“, — აღიარებს პოეტი (XXXVIII); საბოლოოდ კი, სინდისის ხმამ, რომელიც მის გრძნობით გატაცებულ გულში მისმავე გონებამ ჩააწვდინა, ისევე ბეატრიჩესაკენ გადახარა დანტე. ხოლო აქედან, — ბეატრიჩესა და *donna della finestra*-სადმი დანტეს გრძნობათა ამ არსობრივი იგივეობიდან, — ცხადი ხდება, რომ დანტეს ახალ სატრფოზე ბეატრიჩეს გამარჯვება სულაც არ ნიშნავს პოეტის სულში „მიწიერ“ სიყ-

ვარულზე „ზეციური“ სიყვარულის ზეიმს. მით უფრო, რომ, როგორც ამას დანტე საგანგებოდ უსვამს ხაზს (თავები XXXVIII, XXXIX და XII), ბეატრიჩესთან მისი „დაბრუნება“ რაიმე „ზენარული“ ძალით შთაგონებული როდია, არამედ იმ გადამწყვეტი ზეგავლენის შედეგს წარმოადგენს, რასაც ახალსა და ძველ სატრფოთა შორის მერყევი მიჯნურის სულიერ ბრძოლაში გონების — Intellecto -ს, მისი საკუთარი მორალური შეგნების ჩარევა ახდენს.

ამ „დაბრუნების“ შესაბამისად, ამიერიდან ცხოვრების აზრი დანტე-სათვის იმ სათნოებისადმი სამსახურში, იმ სიკეთის განდიდებაში მდგომარეობს, რომლის სილიადემ, ბეატრიჩეს სახით წარმოჩენილმა, აქ, მიწაზე კპოვა თავისი ნამდვილობა, ხოლო იქ, ზეცად სისრულე შეივსო და რომელიც თავის მსახურსაც ამაღლებს თავის ღონემდე.

და სწორედ ეს არის, — ბეატრიჩეს ზენარული სიწმინდის ღირსად ქცევისათვის საკუთარი ღვთაებრივ-ადამიანური ბუნების ამქვეყნად სრულქმნა, — ნამდვილი არსი დანტეს საბოლოო მიზანდასახულებისა, იმ „ახალი აზრისა“, იმ *Intelligenza nova* -სი, რომელიც „მასში სიყვარულისაგან ცრემლით შთართული“, მიჯნურის „ყარიბ სულს“ მძლედ „ალიტაცებს ზესენელისაყენ“, სადაც თავისი ღირსების შესაბამისად ბრწყინავს ბეატრიჩეს „უბრწყნელი და თვალშეუღდამი ნათელი“ (თავი XIII, სონეტი XXV).

მაგრამ ამავე დროს, ამ „ახალი აზრის“ განცხადებასთან ერთად ხდება დანტესათვის საცნაური, რომ მას დასახული იდეალის მისაღწევად ჯერჯერობით ძალა არ ჰყოფნის, რომ მას არ ძალუქს იმის წვდომა, საითყენაც ფიქრი (*peniero*) იტაცებს, ესე იგი — ბეატრიჩეს სასწაულებრივი ღირსებისა. უკანასკნელი (XXV) სონეტის „მეოთხე ნაწილს“, სადაც ესაა „თქმული“, პოეტი ასე განმარტავს: „მეოთხეში ვამბობ, როგორ ხედავ (ჩემი „ყარიბი სული“) მას ისეთს, ესე იგი ისე ნათელმოსილს, რომ ჩემი გონება ვერ სწვდება მას; რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ღირსების კვრეტი-სას ჩემი აზრი აღწევს იმ ზღვარს, რომლის წვდომაც აღარ ძალუქს გონებას ჩემსას, რადგან მოკვდავთა ინტელექტი ისევე ვერ უკვრეტს შავ ნეტარ სულთა სუფევას, როგორც ჩვენი სუსტი და უძლური თვალი — მზეს“ (XIII).

ხოლო ამ აღიარებით ისაზღვრება დანტეს უშუალო ცხოვრებრივი ამოცანა, რომელიც მისი შემდგომი შემოქმედებითი ძალთახმევის პრაქტი-

კულ „პროგრამას“ წარმოსახეს და, როგორც ასეთი, მისი უკანასკნელი ქმნილების, „კომედიის“ იდეურ ჩანასახსაც შეიცავს, — ამოცნას, რომელსაც „ახალი ცხოვრების“ უკანასკნელი (X L I I) თავი ასე აყალიბებს: „ამ (X X V) სონეტის გასრულების შემდეგ“ პოეტში კვლავ აღმდგარა „ძღვეამოსილი ხილვა“, რომელმაც აგრძნობინა, რომ ჭერ კიდევ საიმისო ძალა არ შესწევს, რათა „სრულქმნილი და ღირსეული საგალობელი“ უთხრას თავის „ეურთხეულ“ სატრფოს, და ამიტომაც მას მანამ „დაუდუმებია“ ბეატრიჩეს სახელი, ე. ი. ხელი აუღია მის ხოტბაზე, ვიდრე ეს ძალა აკლია, ხოლო ამ ძალის მოსაპოვებლად თავგადადებული მუშაობისათვის მიუყვია ხელი: „ღღისით და ღამით რუდუნებს“ იმ იმედით შთაგონებული, რომ ისეთ რასმეს იტყვის თავის სულმნათზე, რაც არავისზე არასდროს თქმულა...

და, დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს განზრახვა-დაპირება, რაც მთელ შემდგომ შემოქმედებით „პროგრამად“ ექცა, დანტემ ღირსეულად შეასრულა, რასაც მისი შემდგომი თხზულებანი, კერძოდ, პოეტურ-ფილოსოფიური ტრაქტატი „ნადიში“ და, მეტადრე, „ღვთაებრივი კომედია“ მოწმობენ.

როგორც დავინახეთ, უკვე „ახალ ცხოვრებაში“ ისეა დასმული დანტეს შემოქმედების ძირითადი პრობლემა, — მიწასა და ზეცას შორის ხიდის გადების თუ, უფრო სწორად, მიწიდან ზეცამდე კიბის აღმართვის ამოცანა, — რომ აქვე ხდება ნათელი მისი შემდგომში გადაწყვეტის ჰუმანისტურ-რეალისტური ხასიათი. სახელდობრ, უკვე აქ ჩანს ცხადად, რომ დანტეს „ზეცად სვლა“ მხოლოდ პირობითი რელიგიურ-მისტიკური პროექცია იქნება მისი ამიერ-ადამიანური სულიერი ამბლებისა, რომ ამ მხოლოდ ფორმით რელიგიურ-მისტიკური ამბლებების ნამდვილ შინაარსად იქცევა თავის რეალურ „ზნებობრივ ნაკლოვანებათა“ შემგნებელი პოეტის სწრაფვა იდეალური სრულყოფილებებისაკენ.

და ამ მიზნის მისაღწევად დასახული საშუალებებიც ასევე ამიერ-კაცებრივი აღმოჩნდა: მთავარ საგნად იმ თავგადადებული შრომისა, იმ ღვლამის გამსწორებელი „რუდუნებისა“, რასაც ბეატრიჩეს განსაღიღებლად თავისი უძლურების შემგნებელი მგოსანი მოეკიდა, შეიქნა არა თეოლოგია — „ღვთისმეტყველება“, არამედ ფილოსოფია ანუ, შუასაუკუნეთა ენაზე რომ ვთქვათ, ის „მიწიერი სიბრძნე“, რომელსაც ჭერ კიდევ იველმა

ბერძნებმა დაუწესეს პირველ ამოცანად ადამიანის ზნეობრივი წერტნა და განწმენდა.

ხოლო ამ „რულუნებას“ ფუქად არ ჩაუვლია: მის შედეგად მოპოვებულმა ზნეობრივმა სიწმინდემ დააძლევინა დანტეს ღვთის წინაშე იმ ადამიანური სისუსტის გრძნობა, რაიე ჭერ კიდეე „ახალ ცხოვრებაში“ ბოკავდა. სახელდობრ, თუკი აქ მას თვალი ვერ გაეხსოვრებინა მზისათვის — ღვთაების ამ წარმართულ-ერეთიკული ხატებისათვის, რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენი შოთაც არაერთგზის მიმართავს, „კომედია“ სწორედ იმით მთავრდება, რომ ღვთის სასუფეველში, — ემპირეუმში—შელწეული პოეტი „მოუტიღებლად“ მანამდე უსწორებს თამამად ზეაყრობილ თვალებს „მოქათათე სხივების მცხუნვარე კრთომას“, „ვიდრემდის, ბოლოს, მისსავე მზერას არ შეერწყო დიადი ძალა“.

და სწორედ ამ თვითგაღმერთებამ შესძინა დანტეს საიმისო უნარი და სითამამე, რომ კეშმარტად ისეთი რამ ეთქვა თავის სატრფოზე, რაც მანამდე, — ყოველ შემთხვევაში, დასაეღეთის შუასაუკუნოებრივ მგოსანთაგან, — არავის უთქვამს: „სალხინებლის“ ოცდამეათე სიმღერაში ეკლესიის მისტიკური პროცესიის მონაწილე წმინდა მოხუცი (ლათინურ ენაზე) ასე ესალმებიან პირველად გამოჩენილ ბეატრიჩეს: „Veni, sponsa, de Libano! — მოვედინ, სასძლო ღობანისა!“ და „Benedictus qui venis კურთხეულ ხარ, მომავალი!“ კომენტატორები შენიშნავენ, რომ პირველ მიმართვას მხოლოდ ღვთისმშობელ მარიაშისადმი იყენებდნენ კათოლიკური წირვა-ლოცვისას, ხოლო მეორე მიმართვით იეხო ქრისტეს შეხვედრია ხალხი, როდესაც იგი უკანასკნელად ეწვია იერუსალიმს; ანუ — იმას უსვამენ ხაზს, რომ ამით დანტე „უყოყმანოდ ათანაბრებს ბეატრიჩეს ღვთისმშობელთან და თვით ქრისტესთანაც კი, რითაც, უბრალოდ რომ ითქვას, აღმერთებს მას“. ჩემი მხრივ დავსძენ, რომ ასეთი „გაღმერთების“ პირველ ელას თუ განზრახვას უკვე „ახალი ცხოვრება“ წარმოაჩენს, რომლის უკანასკნელი ფრაზა იმას გვაცნობს, რომ ზეცად ამაღლებული „ნეტარი ბეატრიჩე პირისპირ კერტეს სახეს მისას, qui est per omnia saecula benedictus ე. ი. ქრისტეს უსწორებს თვალებს, „უინც კურთხეულ არს უკუნი-სამდე“¹.

¹ ღვთაებრივისა და ადამიანურის ანალოგიური, — და, შეიძლება ითქვას, კიდეე უფრო თამამი, — დაახლოება გვხვდება ჩვენს „ვეფხისტყაოსნის“

მაგრამ მთავარი და გადაწყვეტი, ცხადია, ის კი არაა, თუ რას უწოდებხ პოეტი თავის გმირს, არამედ ის, თუ როგორ წარმოგვიდგენს მას. და აქაა, სრულ გამარჯვებას რომ ზეიმობს დანტეს რეალიზმი. საქმე ისაა, რომ რამდენსაც არ უნდა ასახმდეს მას ხოტბას, ვითარცა „თვალშეუდგამი“ სათნოების „სასწაულებრივ“ ხატებას, და რამდენიც არ უნდა წარმოათქმევინოს მას თეოლოგიურ-სქოლასტიკური კვეშარიტებანი, დანტე წამითაც არ კარგავს ბეატრიჩეს, როგორც ცოცხალი ქალის, როგორც თავისი გულის რჩეულის გრძნობას და დაუცხრომლად შესტრფის მას თავისი მძლე ტემპერამენტის მთელი მხურვალეობით. და სწორედ ეს სუბიექტურ-ინდივიდუალური, პირად-დანტესეული გრძნობადი სუბსტრატი აღაგვებს ბეატრიჩეს ხატს იმ ცოცხალ-კაცებრივი, ბუნებრივ-აღამიანური შინაარსით, რომელიც კიდევაც აქცევს მას მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ უმშვენიერეს სსახედ.

* * *

ორიოდე სიტყვა „ახალი ცხოვრების“ ქართული თარგმანის შესახებ. დანტეს ტექსტის თარგმნა, — ისევე, როგორც ყველა „ანტიკურობის“ თერთ აღბეჭდილი ძეგლისა, იქნება ეს, მაგალითად, პლატონის დიალოგი თუ ძველ-ინდური ფილოსოფიური პოემა, — ორმაგი დაბრკოლების დაძლევის მოითხოვს. ერთი მხრივ, ზუსტად უნდა იქნას დატული ნაწარმოების შინაარსობრივი ასპექტი, იდეურ-ემოციური სისავსე და ნაირგვარობა, მეორე მხრივ, მთარგმნელმა ექსპრესიული სიძლიერით უნდა გადმოგვეცეს ასეთი პოეტური ქმნილების „არქაული“ ფორმა, — ამ შემ-

ტყუოსანშიც“. როგორც ცნობილია, აქ მ ზ ე დმერთის „ემანაციად“ თუ არ მიიჩნევა, ყოველ შემთხვევაში იწოდება „ხატად ღმერთისად“, ხოლო ამავე დროს შოთა შესაძლებლად თვლის ერთმანეთს გადახვეული ავთანდილისა და ფრიდონის გამო ვეითხრას: „რა მკერეტელთა იგი ნანონ, მზე მითათანა გააფლიდონ“-ო, ანდა თინათინის მშვენება ასე გამოხატოს: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა“-ო, ან კიდევ ასე განაცდევინოს ფრიდონის ნესტანის უეცარი ხილვა: „მან განანათლა სმყარო, გასუდღეს შუქნი მზისანი“. რა თქმა უნდა, აღამიანურის ლტაებრივზე ასეთი აღმატება ორთოდოქსული ქრისტიანობის მსოფლმხედველობრივ საფუძველზე შეუძლებელია, ხოლო მის წინა-საფეხურად თუ წინამძღვრად აღამიანისა და ღმერთის ის თვისობრივ-არსებითი გათანაბრება (პირველის „გალმერთება“ და მეორის „გააღამიანურება“) გვევლინება რააც ერესების „წარმართულ“ არსს შეადგენს ხოლმე.

თხვევში ის შუასაუკუნეობრივი იერი, ურომლისოდაც დანტეს თხზულება დაპკარგავდა მხატვრული დამაჯერებლობის ძალას. მთარგმნელებმა გაითვალისწინეს ეს სიძნელე.

მთარგმნელები შემდეგი საგანგებო სიძნელის წინაშეც იდგნენ:

„ახალი ცხოვრების“ მთლიან სტრუქტურაში პროზა და ლექსი ერთდერთან უმჭიდროესადაა დაკავშირებული, რაკი პირველი მასში თავმოყრილი სონეტებისა და კანცონების ავტორისეულ განხილვას წარმოადგენს. ეს გარემოება მთარგმნელთაგან კოორდინირებულ მუშაობას მოითხოვდა, რასაც მათ კარგად გაართვეს თავი: ბაჩანა ზრეგვაძის მიერ იტალიურიდან თარგმნილი „ახალი ცხოვრების“ პროზაული ტექსტის თანმიმდევრულად თამაზ ჩხენკელმა, მისივე პწკარედების მეშვეობით, პოეტურად დაამუშავა დანტეს სონეტები და კანცონები. თანაც პროზაული ტექსტის სქოლიასტურაი ნაწილით შეზღუდვისა (დანტე თავისი ლექსების ბევრ ღრმამნიშვნელოვან სიტყვასა და ფრაზას დაწერილებით განმარტავს, რაც გამორიცხავს მათ თავისუფალ პოეტურ დამუშავებას) და კლასიკური სონეტის გადმოქართულების სპეციფიკური სიძნელის გამო თამაზ ჩხენკელმა მართებულად არჩია, ურითმოდ ეთარგმნა „ახალი ცხოვრების“ ლექსური ნაწილი.

მთარგმნელებმა უპირატესად რუსთველური ენის პოეტური მოდულაციები და ლექსიკა გამოიყენეს. უხვად ისარგებლეს აგრეთვე ჰიმნოგრაფებისა და საბა ორბელიანის დახვეწილი სიტყვიერი მარაგით, რათა შეძლებისდაგვარად უკეთ გადმოეცათ დანტეს მხატვრული სტილის ბრწყინვალეობა და, მეტადრე, შინაგანი ძალა.

მთარგმნელები

I

ჩემი მეხსიერების წიგნის იმ ადგილს¹, რომლის უწინარეს ცოტა რამის ამოკითხვას თუ შეძლებს კაცი, სათაურად უზის რუბრიკა, რომელიც ამბობს: Incipit Vita Nova². მაგ რუბრიკის ქვეშ მე ჩაწერილს ვპოულობ სიტყვებს³, რომელთა უკვდავყოფასაც⁴ ვაპირებ ამ პატარა წიგნში, და თუ ყველასას არა, მათი არსისას მაინც.

II

ჩემი დაბადების შემდეგ ნათლის ზესკნელი საკუთარი მოქცევის გზით თითქმის მეცხრეჯერ¹ მიუბრუნდა საწყის წერტილს მოძრაობისას², როცა ჩემს მზერას პირველად მოევლინა ჩემი სული³ დიდებამოსილი³ ქალბატონი, ბეატრიჩედ წოდებული მრავალთა მიერ, რომელთაც, სხვათა შორის, არც კი იცოდნენ, რატომ იწოდებოდა ასე⁴. ის უკვე იმდენ ხანს იყოფვოდა ამ ქვეყნად, რომ მისი სიცოცხლის განმავლობაში ვარსკვლავიანმა ზეცამ გრადუსის ერთი მეთორმეტედით გადაინაცვლა აღმოსავლეთის მხარეს⁵. ასე რომ, როცა პირველად გავიცადე, მისი მეცხრე წელი ის იყო იწყებოდა, ჩემი კი იწურებოდა უკვე. ის მომევილინა სადა, უბრალო და უკეთილშობილესი ფერის, ძოწისფერი სამოსით მოსილი, ისე მორთული და მოსარტყლული⁶, როგორც ყმაწვილქალობას შეჭფეროდა მისას. და აჰ, ჭეშმარიტად გეტყვი თქვენ, სიცოცხლის სული⁷, რომელიც

გულის უიდუმალეს სენაკში მკვიდრობს, ისე ათრთოლდა, რომ მისი თრთოლა თვით უწვრილეს ძარღვებსაც კი მოედო ჩემსას, ათრთოლდა და ცხროიანმა წარმოსთქვა ასე: „Ecce Deus fortior me, qui veniens dominabitur mihi“⁸. მაშინ ცხოველი სული⁹, რომელიც ზენა სენაკში¹⁰ ბუდობს, სადაც ყველა გრძნობადი სული ეზიდება მის მიერ აღქმულს, განცვიფრდა ფრიად და, უშუალოდ ხედვის სულთაქენ¹¹ მიქცეულმა, ასე მიმართა მათ: „Apparuit jam beatitudo vestra“¹². მაშინ ბუნებითა სულმა¹³, რომლის სავანეა იქ, სადაც საზრდელს იღებენ კაცნი, ტირილი იწყო და მტირალმა წარმოსთქვა ასე: „Heu miser! quia frequenter impeditus ero deinceps“¹⁴. აქედან მოკიდებული, ვამბობ, სიყვარული ისე დაეუფლა ჩემს სულს, რომელიც მყისვე დაეწინდა მას, და ისე დამიმონა იმ ძალის წყალობით, რომლითაც ჩემმა წარმოსახვამ შემოსა იგი, რომ სრულიად შემიმუხსრა ნება და მიიძულა უყოყმანოდ დავყოლოდი მის ნება-სურვილს. მრავალგზის უბრძანებია ჩემთვის მაგ უჩჩვილესი ანგელოსის ძებნა და მეც, ჩემი სიყრმის ქამს, არაერთგზის მიძებნია იგი. და ვხედავდი მის ისე კეთილშობილურსა და ხოტბის ღირს ქცევას, რომ ჭეშმარიტად მის მიმართ შეიძლებოდა თქმულიყო პოეტ ჰომეროსის სიტყვები: „მოკვდავი კაცის კი არა, ღმერთის ასულს ჰგავსო იგი“¹⁵. და თუმცა მისმა ხატებამ, რომელიც მიწყვი თან მსდევდა მე, მისცა სიყვარულს ძალა ჩემზე მბრძანებლობისა, ის მაინც ისე სათნო იყო და ისე კეთილი, რომ ერთხელაც არ დაურთავს ნება სიყვარულისთვის, გონების ბრძნული რჩევის გარეშე წარემართა ჩემი არსება იქ, სადაც საჭირო იყო ხოლმე ასეთი რჩევა. მაგრამ, რაკი სიყრმისდროინდელ ვნებებსა თუ ქცევებზე დაწვრილებით შეჩერება, შესაძლოა, მეზღაპრის ლაყბობად ეჩვენოს ზოგიერთს, ამიტომ თავს ვანებებ

შათ, თავს ვანებებ ბევრ სხვა რამესაც, რომელნიც, შესაძლოა, იქიდანვე ამოზიდულიყვნენ, საიდანაც იშვნენ ესენი, და პირდაპირ იმ სიტყვებზე გადავდივარ, ვრცელი პარაგრაფების ქვეშ რომ აღბეჭდილან ჩემი მეხსიერების წიგნში.

III

მას შემდეგ, რაც განვლო იმდენმა დღემ, რომ გასრულდა ზუსტად ცხრა წელი მაგ უკეთილშობილესის ზემორე აღწერილი გამოცხადებიდან¹, ხელახლა მომევილინა იგი, უსპეტაკესი ფერით მოსილი, ორ მასზე უხნეს, კეთილშობილ ბანოვანს შორის. გზად მიმავალმა იმ მხრისაკენ მომართა თვალნი, სადაც მე ვიდექ შეძრწუნებული, და თავისი ენითუთქმელი თავაზიანობით², რომელიც დღეს მუქათამიზღულია საუკუნო სოფლად, ისე მოწლედ მომესალმა, ისე მოწყალედ, რომ მომეჩვენა, თითქოს ვკვრეტდი ყველა საზღვარს ნეტარებისას³. საათი, როცა თავისი უტკბილესი სალაში მიძღვნა, იმ კურთხეული დღის ზუსტად მეცხრე იყო საათი, და რაკი მისი სიტყვები მაშინ პირველად ესალბუნენ სასმენელს ჩემსას, ღვინოსმულივით განვიღებანდი კაცთაგან, ჩემს სენაკში განვმართოვდი და მაგ უთავაზიანესსა და უზნესრულესზე ფიქრს მივეც თავი. ფიქრში წასულს მსუბუქი რული მომერიია⁴ და მეჩვენა უცხო ჩვენება: მეჩვენა, თითქოს ვკვრეტდი ჩემს სენაკში ალისფერ ღრუბელს, ხოლო მის წიად — სახეს კაცისას, მკვრეტელთათვის კვრეტად საზარელს. თვითონ კი, ჩემდა გასაოცრად, მხიარული ჩანდა იგი; სიტყვამრავლობდა, გარნა მრავალთაგან მე მცირედი მესმოდა მხოლოდ; აი, ერთი, რომელიც მესმა: „Ego dominus tuus“⁵. მარცხენა მკლავზე მძინარე ასული გადაეწ-

ვინა, რომლის სიშიშველეს ძოწისფერი ქსოვილი ფარავდა მხოლოდ (მე მყოვარ-ჟამ დაჟინებით ვუცქერდი მძინარს და შევიცან მასში მოწლე საღმის ასული, ვინც წინადლით აგრე ტკბილი საღმის ღირსი მყო); მარჯვენა ხელის გულზე კი უცხო რამ საგანი ედო, აღმოდებული, რომლის მხილველს ეს სიტყვები ჩამესმა თითქოს: „Vide cor tuum“⁶. და მას შემდეგ, რაც აგრე უძრავად იდგა ერთ ხანს, მან გააღვიძა მძინარე და იმდენი ქნა, აიძულა ექამა ეგ უცხო საგანი. ხოლო ის შიშით შემკრთალი ჭამდა. მაგრამ აქ კაცის მხიარულება მწარე ქვეთინად იქცა უცებ; აგრე მტირალმა ხელახლა მკერდზე მიიკრა ქალი და თვალი ვკიდე, როგორ შეერთო ზესკნელს ტვირთითურთ. მე კი ისეთი ტკივილი ვიგრძენ, რომ ჩემმა გაცრეცილმა რულმა ვედარ გაუძლო: გაიხა და გამომეღვიძა. და მყისვე სიზმრის ახსნა დავიწყე, და გულისხმავყავ, რომ საათი, როცა ეგ უცნაური ჩვენება მეჩვენა, იმდამინდელი ღამის მეოთხე საათი ყოფილიყო, ანუ, რაც ცხადზე უცხადესია, პირველი — ღამის უკანასკნელ ცხრა საათთაგან. და, მაგ ჩვენებაზე გონდაუნჯებულმა, გადავწყვიტე იმ დროის ყველა დიდი ტრუბადურისთვის გამემჟღავნებინა იგი. და რაკი ვგრძნობდი, რომ უკვე ძალმედვა ლექსად მეთქვა ის, რის თქმაც მსურდა, გადავწყვიტე მეთქვა სონეტი, რომლითაც მივესალმებოდი სიყვარულის ერთგულთ, ვთხოვდი აეხსნათ ჩემი ჩვენების აზრი და აღვწერდი მას, რაც ძილში ვიხილე. და მაშინ დავიწყე ეს სონეტი:

სონეტი I

ყველა ტყვექმნილ და ნათელმოსილ, კეთილშობილ სულს,
 ყველას, რომელთაც ეს სიტყვები მიემართება, —
 მათივე მეუფის — სიყვარულის მაღალ სახელით
 მივესალმები, რათა მამცნონ თავისი აზრი.

უკვე გასული იყო ღამის სამი საათი
და ცის თავანზე ციმციმებდა ყველა ვარსკვლავი,
როცა ანაზღად მომევილინა მე სიყვარული,
აწ საგონებლად საზარი და თავზარდამცემი.

მზიარული ჩნდა მაშინ იგი და ხელის გულზე
აღერსით ედო ჩემი გული, ხოლო მკლავები
მშვიდად მძინარი ქალწულისთვის შემოეხვია...

გამოღვიძებულს ჩემი გული საკმელად მისცა
და ის შემკრთალი მას უხმოდ და მორჩილად ჰამდა.
მერე კი გაქპრა სიყვარული ცრემლების ფრქვევით.

ეს სონეტი ორად იყოფა: პირველში მივესალმები და პასუხს მოვითხოვ; მეორეში აღვნიშნავ, რა პასუხს მოვითხოვ; და ეს ნაწილი ასე იწყება: „უკვე გასული...“ ამ სონეტს მრავალი გამოენხმებდა და მრავალაზროვნად⁷, მათ შორის ისიც, ვისაც პირველად ვრაცხ მეგობრებს შორის⁸. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მეგობრობა იწყება იმ დღიდან, როცა მან გაიგო, რომ მე ვიყავ ის, ვინც მას გაუგზავნა ეგ. ჰემშარიტი აზრი ჩემი ჩვენებისა მაშინ ვერავინ ვერ ამოიცნო, დღეს კი ის ყველაზე მიაშიტთათვისაც საცნაურია.

IV

ამ ჩვენების შემდეგ ჩემს ბუნებითს სულს ფრიად შეუჭირდა და შეუძნდა ქმედება, რადგან ჩემი გონება მიწყვიტე მაგ უკეთილშობილეს იგონებდა თავის წინ. ამიტომ მცირედი ხნის განმავლობაში ისე დაესუსტდი და დავძაბუნდი, რომ ბევრ ჩემს მეგობარს ელმოდა ჩემი ხილვისგან და ბევრიც, ცნობისწადი-

ლით აღძრული, ცდილობდა გამოეკითხა და გაეგო ჩემგან ის, რასაც აგრე გულმოდგინედ ვუმალავდი სხვებს. ხოლო მე, რა გულისხმაყვავ ფარული ზაკვა იმ კითხვებში, რომლებითაც ისინი მომმართავდნენ, სიყვარულის ნებით, გონების ბრძნული რჩევის თანახმად რომ წარმართავდა ჩემს არსებას, აგრე მივეუგებდი მათ: „სიყვარულია ის, რამაც აგრე დამიმონა-მეთქი“. დიახ, სიყვარულს ვიმიზეზებდი, რადგან იმდენ ნიშანს ვატარებდი სახეზე მისას, რომ შეუძლებელი იყო ამის დაფარვა. ხოლო როდესაც მეკითხებოდნენ: „ვისთვის გმუსრავსო სიყვარული ასე სასტიკად“, პასუხად მხოლოდ ვიღიმებოდი და აღარაფერს ვამბობდი უკვე.

V

ერთ მშვენიერ დღეს მოხდა ისე, რომ ეგ უკეთილშობილესი იჯდა იქ, სადაც დიდების დედოფლის¹ სადიდებელი სიტყვები ისმოდა, მე კი ვიდექი ისეთ ადგილას, საიდანაც შემეძლო მეჭვრიტა ჩემი ნეტარებისთვის. ხოლო შორის ჩემსა და მისა, სწორი ხაზის ზუსტად შუაში, იჯდა ერთი კეთილშობილი და საყვარლად სახილველი ასული. და ეს საყვარელი ასული დროდადრო მალვით მიმზერდა მე, განცვიფრებული ჩემი მზერით, რომელიც, ეგონა, მისით მთავრდებოდა მხოლოდ. მაგრამ, მალვის მიუხედავად, ბევრმა შენიშნა მისი მზერა და ისე ღრმად ირწმუნა სიყვარულის ჩემის ამბავი, რომ როდესაც მუნ მყოფთ გავეცალე, მესმოდა, როგორ მიბრალებდნენ ზურგს უკან: „შეხედე, როგორ მუსრავსო ის ასული მაგ ჭაბუკის გულს“. ხოლო როდესაც სახელიც ახსენეს მისი, მივხვდი, რომ გულისხმობდნენ მას, ვინც იჯდა შუაში იმ სწორი ხაზისა, რომელიც ბეატრიჩეთი იწყებოდა და მთავრდებოდა ჩემი თვალებით. და

მაშინ დავმშვიდდი სრულიად, რადგან დავრწმუნდი, რომ საოდუმლო არ გამიცია მზერით. და იქვე გადავწყვიტე, ეგ კეთილშობილი ასული ქვემარტების საფარველად მექცია; და, ამ მხრივ, სულ ცოტა ხნის განმავლობაში იმდენს მივალწიე, რომ უმრავლესობას მათსას, ვინც ჩემზე ყბედობდა ხოლმე, ეგონა, გულს საიდუმლო ვიცოდ მისი. ამ ასულს ვიფარებდი ფარად რამდენიმე წლისა და თვის განმავლობაში; და რათა საბოლოოდ დამერწმუნებინა სხვები, რამდენიმე მცირე ფორმის ლექსიც ვუძღვენი მას, რომელთაც თუ მოვიყვან, მხოლოდ იმიტომ მოვიყვან აქ, რომ მაგ უკეთილშობილეს ბეატრიჩეს აღიღებენ შეფარვით, და ისიც არა ყველას, მართ ოდენ ზოგიერთს, რომელნიც, როგორც თვით გვიჩვენებენ, მისდა საქებად იქმნენ თქმულნი.

VI

მინდა გითხრათ, რომ იმ დროს, როცა ეს ასული იფარავდა ისე მაღალ სიყვარულს, როგორიც იყო ჩემი, მომესურვა მომეხსენებინა მაგ უკეთილშობილესის სახელი მრავალი სხვა ასულის, განსაკუთრებით კი ჩემი სიყვარულის კეთილშობილი მფარველის სახელთან ერთად. და ავიღე იმ ქალაქის სამოცი ულამაზესი ასულის სახელი, სადაც უზემთაესის ნებით, ჩემი ქალბატონი მოველინა ქვეყნიერებას, და შევთხზე უსტარი სერვენტეზის! ფორმით, რომელსაც არათუ არ მოვიყვან, არც მოვიხსენიებდი აქ, ერთი რამის თქმას რომ არ ვაპირებდე თქვენთვის: თითქოსდა სასწაულით, მოხდა ისე, რომ მიაი თხზვის დროს არც ერთი სხვა რიცხვის ქვეშ არ დაისვა ქალბატონის ჩემის სახელი, თვინიერ ცხრისა, ამ ასულთა სახელებს შორის.

მოხდა ისე, რომ ასულმა, რომლითაც ჩემს გატაცებას ვფარავდი ამდენხანს, დაუტევა ზემორე ხსენებული ქალაქი და შორეულ მხარეს წარემართა. ამიტომ მე, თითქმის შეძრწუნებული იმით, რომ აგრე მშვენიერი მფარველი მომაკლდა და მცველი, მწუხარებას მივეცი დიდს, ასე გასინჯეთ, უფრო დიდსაც კი, ვიდრე მანამდე შემეძლო წარმომედგინა. მერე კი, — რა გულისხმავეყავ, რომ თუ მისი წარსვლისათვის არას ვიტყოდი საწყალობლად, და საკმაოდ საწყალობლადაც, თვალთმაქცობა უთუოდ გამქლავნდებოდა ჩემი, — გადავწყვიტე მეთქვა სონეტი და გოდება რამ ჩამექსოვა შიგ. ხოლო ამ სონეტს, თუ მოვიყვან, მხოლოდ იმიტომ მოვიყვან აქ, რომ ჩემი ქალბატონი იყო უშუალო მიზეზი ზოგიერთი მისი სიტყვისა, როგორც ეს საცნაურია თვითეულისთვის, ვისაც არსი ესმის მისი. და ვთქვი მაშინ ქვემოთ მოყვანილი სონეტი!:

სონეტი II

თქვენ, ვინც მიღიხართ სიყვარულის გზით,
 შეიცადეთ და მოიხილეთ: — თუ არის კიდეც
 სატკივარი უფრო დიდი, ვიდრე ჩემია?
 ვე ერთს ვთხოვთ მხოლოდ: ყურად იღოთ ჩემი ვაება,
 ხოლო მერე გულისხმაყოთ, ვარ თუ არა მე
 ხანაგა და გასაღები ყველა ტკივილის!

მე სიყვარულმა, არა ჩემი სულ მცირედი სიკეთის ნაცვლად,
 არამედ თვისი სიქველის გამო,
 იმდენ სიტკბოთი და სინაზით აღმივსო გული,
 რომ არაერთგზის გამიგია ჩემს ზურგსუკან, ჩემზედვე
 თქმულა:

რისთვის მიეგო ნეტავ ამ კაცს
ესოდენ დიდი სიხარული და ნეტარება?

სად გაჰქრა ახლა ძველი გზნება და შემართება,
რაც სიყვარულის უხვ ნიჭთაგან იღებდა ძალას,
ან რატომ დავუშოი შე უსაგნოდ და მარტოდმარტო,
ან რად შეშინის საკუთარი სიტყვისგებისა?
მე იმ უპოვარს ვგავარ სწორედ, ვისაც სირცხვილით
ვერ გაუწვდია მოწყალების სათხოვრად ხელი,
რადგან თუ ზემირ გამოცინია,
მკერდში ეს გული დღენიადავ კვნესის და ტირის.

ეს სონეტი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველ-
ში იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებით მოვეუხმობ სიყვა-
რულის ერთგულთ: „O vos omnes, qui transitis per viam,
attendite et videte, si est dolor sicut dolor meus“², და ვთხოვ
მათ, მოწყალება მოიღონ და მისმინონ მე; მეორეში ვამბობ,
როგორ აღმამალა სიყვარულმა, გარნა არა იმ აზრით, რასაც
სონეტის დასაწყისი იმარხავს ან დასასრული; და ბოლოს და-
ნაკარგს დავტირი ჩემსას; მეორე ნაწილი იწყება სიტყვებით:
„მე სიყვარულმა...“

VIII

ამ კეთილშობილის გამგზავრების შემდეგ ანგელოსთა
უფულმა ინება სასუფეველის კარად ეხმო ერთი ნორჩი, ფრიად
სათნო სახის ასული, რომელსაც დიდის სიყვარულით ემსკვა-
ლვოდნენ ზემორე ხსენებულ ქალაქში. მე ვიხილე უსულოდ
მდებარე მისი სხეული, რომელსაც საწყალობლად მტირალი
ასულები შემოხვეოდნენ გარს; და, რა გამახსენდა, რომ ის ჩე-
მი ქალბატონის დობილთაგანი იყო, ცრემლები ველარ შევი-

კავე და ავტირდი. და, აგრე მტირალმა, გადავწყვიტე ორიოდე სიტყვა მეთქვა მისი სიკვდილის გამო, ვისაც ჩემს ქალბატონთან ვხედავდი ხშირად. და სწორედ ამას შევეხე ბოლო ნაწილში იმ სიტყვებისა, რომლებიც მაშინ ვთქვი, როგორც ეს ცხადზე უცხადესია თვითეულისთვის, ვისაც არსი ესმის მათი. ხოლო მაშინ ვთქვი ორი სონეტი, რომელთაგან პირველი ასე იწყება: „აწ კი იტირეთ“...; მეორე ასე: „უღვთო სიკვდილო“...

სონეტი III

აწ კი იტირეთ მიწურებო, რაკი ტირის თვით სიყვარული, არა უბრალოდ, უმიზეზოდ ტირის დღეს იგი: ესმის სიყვარულს საწყალობლად ატირებულ ასულთა ზარი და მღულარებას აფრქვევს თვალთაგან.

რადგან სიკვდილმა არ დაინდო სიკეთით სრული და მწყაზარი ქალწულის გული და თვინიერ ღირსებისა, ყველა მისი სათნოება მიწით წარხოცა.

ხედავთ, ვითარ პატივს აგებს მას სიყვარული, დადრეკილი აწ მიწაქმნილ მშვენების თავზე, თვის ნამდვილი და კეშმარიტი სახით მხირალი?

ის იტყირება ზესენელის მიმართ, სადაც უკვე დაივანა უმანკო სულმა, სულმა, რომელსაც სიხარულის სამოსელი ეცვა ამქვეყნად.

ეს პირველი სონეტი სამ ნაწილად იყოფა: პირველში ვუხმობ და ტირილად ვიწვევ სიყვარულის ერთგულთ; და ვამბობ, რომ ტირის თვითონ მათი უფალი და რომ ტირილის მისის მიზეზის მსმენელთ ჰმართებთ, მეტის ყურადღებით მისმინონ

მე; მეორეში ამ მიზეზს ვუცხადებ მათ; მესამეში აღვწერ პა-
ტივს, რომელიც სიყვარულმა მიაგო ამ ასულს; მეორე ნაწი-
ლი ასე იწყება: „ესმის სიყვარულს...“; მესამე ასე: „ხედავთ...“

სონეტი IV

უღვთო სიკვდილო, სიბრაღელის მოსისხლე მტერო,
სატკივართა და საღმობათა დიღო დედაო,
და საბოლოო განაჩენო უსასტიკესო;
გლოვის საბაბი შენ მიეც ამ გულს
და ამიტომაც არ დაეცხრები მე შენი გმობით,
მე — ფიქრებში გადასული მოხეტიალე.

მაგრამ თუკი მსურს მადლისაგან განგძარცვო სრულად,
უნდა მოვფინო კიდით კიდემდე
ამბავი შენი სიბილწის და უკეთურების,
მისთვის კი არა, თითქოს კაცთა ეს არ იცოდნენ,
არამედ მისთვის, რომ შეემართო შენს წინააღმდეგ
იგი, ვინც მხოლოდ სიყვარულის გოლით საზრდოობს.

შენ სილამაზე და სინაზე წაართვი მიწას,
როცა შემუსრე წმიდა ვნება ყმაწვილი ქალის
და მტვრად აღგავე
უტურფესი მისი მშვენება.

მე ღავიღუმებ, ვინ იყო იგი,
დაე, მან თავად გაგიმჟღავნოთ თავის სახელი:
იგი, ვინც სულის ხსნის უღირსია,
მის მსგავსთა სირას ვერასოდეს შეუერთდება.

ეს სონეტი ოთხ ნაწილად იყოფა: პირველში ზოგიერთ თა-
ვის საფერ და საკადრ სახელს ვუწოდებ სიკვდილს; მეორეში

მასზევე ვაგრძელებ სიტყვას და ვამბობ, რატომ აღვიძვრი საგ-
მობად მისად; მესამეში ვგმობ და ვანჭიჭებ მას, ზოლო მეოთხე-
ში ერთ ვინმეს ვახსენებ, რომელიც ჩემთვის, სხვათა შორის,
სულაც არაა „ერთი ვინმე“. მეორე ნაწილი ასე იწყება: „გლო-
ვის საბაბი...“; მესამე ასე: „მაგრამ თუკი მსურს...“; მეოთხე
ასე: „იგი, ვინც სულის...“

IX

მოხდა ისე, რომ მაგ ასულის სიკვდილიდან რამდენიმე
დღის შემდეგ შემთხვევამ მაიძულა გავცლოდი ზემორე ხსე-
ნებულ ქალაქს¹ და იმ მხრისაკენ ამელო გეზი, სადაც იყოფო-
და ის კეთილშობილი ასული, რომლითაც სიყვარულს ვფარავ-
დი ჩემსას, თუმცაღა ჩემი მგზავრობის მიზანი არც ისე შორს
იყო, როგორც მაშინდელი სამყოფელი მისი. მაგრამ, მიუხე-
დავად თანამგზავრთა დიდი სიძრავლისა, მგზავრობა მაინც ისე
მომქანცველი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ ოხვრას არ შეეძლო
სიმძიმელი შეემსუბუქებინა ჩემი უღონოქმნილი გულისთვის,
რომელიც ნეტარებას შორდებოდა თვისას. და მაშინ უტკბი-
ლესი უფალი ჩემი, რომელიც უკეთილშობილესი ასულის
სრულქმნილი სათნოების წყალობით მფლობდა, მსხემის სახით
მოევლინა ჩემს წარმოსახვას, მსუბუქად მოსილი საგლახაკო
შესამოსელით. შემკრთალი ჩანდა თავჩაქინდრული და მხო-
ლოდ ხანდახან ესროდა მზერას მშვენიერ, შმაგსა და ვერცხ-
ლისფერ წყალს, იმ გზის გასწვრივ დაქანებულს, რომელსაც
მე ვაღუქ, შეჭირვებული. და მომეჩვენა, რომ სიყვარულმა სა-
ხელდებით მიხმო და ამ სიტყვებით გამეხმაურა: „მე მოვდი-
ვარ იმ ასულისგან, ვინც შენს სიყვარულს იფარავდა ამდენ-
ხანს და ვინც აღარ დაბრუნდება აღარასოდეს. ამიტომ შენი

გული, რომელიც მას დაუწინდე ჩემი ბრძანებით, აწ თანვე მო-
შაქვს, რათა მეორეს ვუმონო ასულს, რომელიც შენ დაგიფა-
რავს პირველის მსგავსად (და აქ სახელიც მითხრა მისი, ასე
რომ მივხვდი, ვის გულისხმობდა). მაგრამ თუ მოისურვებ ამ-
ცნო მას ზოგიერთი იმ სიტყვათაგან, რომელნიც მოგიტხარა,
ამცნე ისე, რომ არ გამჟღავნდეს მოჩვენებითი სიყვარული,
რომლითაც პირველს ემსკვაღვოდი აქამომდე და რომლითაც
მას უნდა შეემსკვალო ამიერითგან“. ესეც თქვა და უცებ გაქ-
რა ჩემი უფალი, ან, უფრო სწორად, კი არ გაქრა, ჩემსავ სულ-
ში დაინთქა თითქოს, იმ უხვი ნიჭის გამოსხივების წყალობით,
რომელიც მზეებერ უშურველად გაიღო ჩემთვის. მე კი, სახე-
შეცვლილი და ჩაფიქრებული, მთელი დღე სულთქმა-უმით მი-
ვაჭენებდი ცხენს, ხოლო როდესაც დღე მიიწურა, ვთქვი ეგ
ჰონეტი:

სონეტი v

მას უამსა შინა მიედიოდი ამხედრებული.
მგზავრობით დაღლილს, გულდამაშვრალს და ჩაფიქრებულს
მე შუა გზაზე სიყვარული შემომეყარა
მსხემის მტვრიანი, ყარიბული შესამოსელით.

მწუხარე ჩანდა სიყვარული;
ვით სამთავროდაკარგული მთავარი ვინმე;
თავჩაქინდრული, კაცთა მწერას განარიღებული,
ონვრით და სულთქმით დამაშვრალი გზას მოჰყვებოდა.

როს დამინახა, სახელდებით გამეხმაურა
და ასე მითხრა: „შორეული მხრიდან მოვდივარ,
სად შენი გული სურვიელი ჩემთვის ბნდებოდა,
ახლა ის გული თანვე მიმაქვს მონებად სხვისად“.

ამ სიტყვამ ისე შემადრწუნა და გამახევა,
რომ ვერც შევნიშნე, გზისპირიდან ვით გაქრა იგი.

ეს სონეტი სამი ნაწილისაგან შედგება: პირველში ვამბობ, როგორ ვიხილე სიყვარული და როგორი მეჩვენა იგი; მეორეში ვამბობ, რა მითხრა მან, მაგრამ ვამბობ არა ყველაფერს, იმისი უიშოთ, ვაითუ ხეაშიადი გავამყლავნო-მეთქი ჩემი; მესამეში ვამბობ, როგორ გაქრა და გაუჩინარდა იგი. მეორე ნაწილი ასე იწყება: „როს დამინახა“...; მესამე ასე: „ამ სიტყვამ“...

X

დაბრუნებულმა ძებნა დაუწყე იმ ასულს, რომელიც ჩემმა უფალმა დამისახელა სულთქმათა გზაზე. მაგრამ მოკლედ მოვკრი და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სულ ცოტა ხანში იმდენს მივაღწიე, ისე გავიმფარველე¹ იგი, რომ ბევრი ზრდილობის საზღვარს გადადიოდა, როცა ამაზე ყბედობდა ხოლმე; ხოლო ამ ყბედობისგან ხშირად მწარედ მელმოდა მე. ამიტომ, ესე იგი ამ მომაცივნებელი მითქმა-მოთქმის გამო, იმ უკეთილშობილესმა, ვინც დედოფალი იყო სათნოებათა და ყველა ბიწის მმუსვრელი, ერთხელ ისე ჩამიარა გვერდით, რომ სალამი აღარ მაღირსა, ხოლო მთელი ჩემი ნეტარება უტკბილესი სალამი იყო მისი. მაგრამ აქ მცირე ხნით შევწყვეტ თხრობას და გეტყვით, როგორის სიკეთით და სათნოებით მმოსავდა მისი მოწულე სალამი.

XI

მინდა გითხრათ, რომ როდესაც ის მევლინებოდა :მა თუ იმ მხრიდან, მისი მოწულე სალამის მოლოდინით გულშეძრულს არც ერთი მტერი აღარ მრჩებოდა ქვეყნად¹ და ლმობიერების

სახმილი ისეთის ძალით მეგზვნებოდა გარს, რომ მაიძულებდა ყველაფერი მიმეტევებინა შეურაცხყოფელთათვის ჩემთა. და თუ მაშინ ვინმე მკითხავდა რამეს, პასუხად ერთადერთ სიტყვას მივუგებდი მხოლოდ: — სიყვარული-მეთქი — მორჩილებით მოსილი სახით². ხოლო როდესაც სალმის ძღვნის უტკბილესი წამი ახლოვდებოდა, სიყვარულის სული თრგუნავდა ყველა სხვა გრძნობად სულს, გარეთ ჰყრიდა ხედვის სუსტ სულებს და აგრე ეუბნებოდა მათ: „წა, თაყვანი ეციოთ ქალბატონს თქვენსას“; და თვითონ იკავებდა მათ აღვილს. და თუ ვინმე დააპირებდა შეეცნო სიყვარული, მისთვის კმა იქნებოდა, თვალთა ჩემთა თრთოლა ეხილა ერთხელ. ხოლო როდესაც ეგ უკეთილშობილესი თავის უტკბილეს სალამს მიძღვნიდა, სიყვარული არა თუ არ მიჩრდილავდა და მიმღვრევდა ამ დაუთმენელ ნეტარებას, პირიქით, სიტკბოების სიჭარბისაგან თვითონვე ითენთებოდა ისე, რომ მისი ნების სათამაშოდ ქცეული ჩემი სხეული მძიმე და უსულო საგანივით იძვროდა ხშირად. ამრიგად, ცხადზე უცხადესია, რომ მისი სალამი იმარხავდა მთელს ჩემს ნეტარებას, რომელიც ბევრად აღემატებოდა ძალონეს და დათმენის უნარს ჩემსას.

XII

ახლა კი შეწყვეტილ თხრობას განვაგრძობ ისევ: მას შემდეგ, რაც ნეტარება აღარ მალირსეს ჩემი, ისეთმა სევდამ მომიცვა, რომ კაცთაგან განვკიდებანდი და განმარტოებულ აღვილს მივაშურე, რათა მდულარე ცრემლებით დამელტო მიწა. ხოლო როდესაც მდულარება რამდენადმე განქარდა მათი, ჩემი სენაკისკენ გავემართე, სადაც შემეძლო მწუხარებას მივ-

ცემოდი და არ მშინებოდა იმის, რომ ვინმე გაიგონებდა გოდებას ჩემსას. და მუნ უზნესრულესი ასულის გულმოწყალებას ვპხადე სიტყვებით: „სიყვარულო, მეოხ მეყავ-მეთქი შენს ერთგულს“, და ჩამეძინა, ვით ნაგვემ ყრმას, გულამოხვინჩვიო მტირალს. და მოხდა ისე, რომ თითქმის შუა ძილში კვლავ მეჩვენა ერთი ჩვენება: მეჩვენა, თითქოს ვკვრეტდი ჩემს სენაკში უსპეტაკესი სამოსით შემოსილ ყრმას, რომელიც გვერდით მეჯდა და ღრმად ჩაფიქრებული მიცქერდა მძინარს; და მას შემდეგ, რაც აგრე მდუმარედ მიცქირა ერთ ხანს, მომეჩვენა, თითქოს შემეხშიანა და ამ სიტყვებით მომმართა მე:

„Fili mi tempus est ut praetermittantur simulacra nostra“¹. და მაშინ თითქოს შევიცან იგი, რადგან ისე შემეხშიანა, როგორც არაერთგზის შემხშიანებია ძილსა შინა. აქ შევხედე და მომეჩვენა, რომ საწყალობლად ტიროდა იგი, თითქოს სიტყვას რასმე ელოდა ჩემგან. ამიტომ გაკვადნიერდი და ვკადრე: „უფალო კეთილშობილებისაო, რაისთვის სტირი შენ?“ და მან პასუხად: „Ego tanquam centrum circuli cui simili modo se habent circumferentiae partes; tu autem non sic“². მაშინ ვცადე ჩავწვდომოდი მის სიტყვებს, მაგრამ იმდენად ბნელნი მეჩვენენ და ბუნდოვანნი, რომ თავს ძალა დავატანე და ვკითხე: „რა გსურს-მეთქი მითხრა, უფალო, აგრე ბუნდოვნად?“ და მან, ამჯერად უკვე ხალხურად: „თუ თავისთვის სიკეთე გსურს, ნულარ გამოიწვლილავო ამას“. მაშინ იმ სალამზე ჩამოვუგდე სიტყვა, რომელიც აღარ მალირსეს და მიზეზი ვკითხე დაუბრებისა; რაზეც ამ სიტყვებით მომიგო მან: „ამ ჩვენს ბეატრიჩეს ვიეთთავან ესმა თურმე, რომ შენ შენი სიტყვებითა და შენი ქცევით შეურაცხყავ ასული იგი, რომელიც სულთქმათა გზაზე დაგისახელე. ამიტომ იყო, რომ მაგ უკეთილშობილესმა, რომელიც ყოველგვარი შეურაცხყოფის მტერია, სალამი აღარ

გაღირსა შენ, შეურაცხყოფის შიშით შემკრთალმა. და რაკი შენთან თანშეზრდილია და ამიტომ, შესაძლოა, ხვაშიადსაც იცნობდეს შენსას, მე ვისურვებდი ლექსად გეთქვა ორიოდ სიტყვა, რათა გემცნო მისთვის, როგორია ჩემი ძალმორკმულება, რომელმაც მისი წყალობით დაგიმონა შენ და ისიც, როგორ დაეწინდე სიყრმითგანვე სიწმინდეს მისას. მოწმედ კი მოუხმე მას, ვინც იცის ეგ და სთხოვე, მიხვადიშნე-თქო ქალბატონის ჩემის წინაშე. ხოლო მე, ვინც ვარ ის, სიხარულით გიმოწმებ და გიშუამდგომლებ. ამრიგად, ის შეიცინობს სიმართლეს და რა შეიცინობს, ზურგს შეაქცევს ავყიათა სიტყვებს. შენი სიტყვები კი ისე განაწყე და განალაგე, რომ უშუალოდ მას არ მიმართო, რადგან არასაკადრისი იქნება ეგ, და არამც და არამც უჩემოდ არ წარგზავნო ისინი იქ, სადაც, შეიძლება, მის სასმენელამდეც მიაღწიონ; არა, შეამკე ისინი ნაზი ჰარმონიით, რომელშიაც შეგეძლება მპოვო ყოველთვის, როცა საჭიროდ მიიჩნევ ამას“. ამ სიტყვებით ის გაქრა და მეც გამომეღვიძა. გამოღვიძებულმა ჩემს ჩვენებაზე ფიქრს მივეც თავი და გულისხმავყავ, რომ დღის ზუსტად ცხრა საათზე მეჩვენა იგი. და ვიდრე ჩემს სენაკს დავაგდებდი, გადავწყვიტე მეთქვა ბალადა; და ვთქვი კიდევ, უფლის ჩემის ბრძანებისაებრ:

ბალადა

წადი და ჰპოვე სიყვარული, ჩემო ბალადა,
მისი თანხლებით წარსდექ წმინდა ქალწულის წინა,
რათა ჩემს თხოვნას, შენ რომ გატან გულისტივილით,
ჩემმა უფალმაც შეაწიოს ორიოდ სიტყვა.

ისე ლამაზად მოკაზმული მიხვალ, ბალადა,
რომ ძალი შეგწევეს, ეულად და მარტო მთარულს,

თამამად შევლო ყველა კოშკი და გალაგანე,
მაგრამ თუკი გსურს, უფრო მეტი გულდაჭერებით,
იარო, — ჯერეთ, სიყვარული გყავს მოსაძებნი,
რადგან უმისოდ ვერ ეწვევი სასურველ მიზანს.
აკი ის, ვისაც ჩემი თხოვნა უნდა მიართვა,
მე, რა ხანია, გული მიგრძნობს — მრისხანებს ჩემზე
და თუ-სიყვარულს არ წარიტან, — წინაშე მისა,
ვაითუ წარხდეს და გაუღლდეს შენი მცდელობა...

და რა წარსდგები,
ჯერ შენდობა ითხოვე მისგან,
მერე კი ამო საუბარით ასე მიმართე:
მე თქვენს წინაშე მგზავნის იგი, ვინც პატიებას
გთხოვთ უწინარეს
და მეც ამაღ მოვედი თქვენთან,
და სიყვარულიც — მიწა თქვენი — თქვენს წინაშეა,
რომელიც თავის ნებისაებრ უცვლის მას სახეს,
მაგრამ არა გულს, და აწ თვითონ განსაჯეთ, იგი
რატომ შეფრფინავს სხვას მალვით და ასე ფარულად.

და მერე ესეც მიუთხარი წმინდა მადონას:
ისე არის-თქო გულავსილი იგი სიმტკიცით,
რომ მხოლოდ თქვენ ერთს გემონებათ მთელი არსებით,
რაკი მხოლოდ თქვენ დაგეწინდათ სიყრმიდანვე-თქო.
მაგრამ თუ მაინც არ გერწმუნა, სიმართლე ეგე
მაშინ, დაე, შენ დაგიმოწმოს თვით სიყვარულმა.
და ბოლოს, თუ არ გაიმეტებს ჩემთვის შენდობას,
სიკვდილის ნება მაინც დამართოს, რომ ნახოს, თვისი
ერთგული მონა
რა ხალისით შეხედება სიკვდილს.

და სიყვარულსაც სთხოვე — წყაროს სიბრაღელისას,
ნუ დააჩქარებს შემოქცევას მისი პირისგან,
ვიღრე თავის ვალს არ მოიხდის ასეთი სიტყვით:

„უფალო, ჩემი პარმონიის სახელით გნუკე —
მოიღე მადლი და განწირულს ხელს ნუ ააღებ
მანამდი, სანამ არ დაიხსნი შენს ერთგულ მონას,
და თუკი შენი მეოხებით შენდობის ღირსს ყოფი,
დაე, მის ერთგულს, ეგ მცინარის პირით ეუწყოს“.
წალი ბალადავ, მოგიმართოს განგებამ ხელი
და მხოლოდ შენ ერთს გერგოს ჯილდო მახარობლისა.

ეს ბალადა სამ ნაწილად იყოფა: პირველში მიემართავ, საით
უნდა წავიდეს და ვამზნევებ მას, რათა უფრო მეტი გულდაჯე-
რებით იაროს; მეორე ვურჩევ, ვინ უნდა წარიტანოს თან, თუ
სურს უფრო მეტი გულდაჯერებით ვიდოდეს და ფათერაკს
რასმე არ გადაეკიდოს; მეორეში ვამბობ, რა უნდა გადასცეს
ქალბატონს ჩემსას; მესამეში ნებავ ვერთავ წავიდეს და განგე-
ბას ვავედრებ მას. მეორე ნაწილი ასე იწყება: „და რა წარს-
დგები“... მესამე ასე: „წალი, ბალადავ“... შესაძლოა, ზოგიერ-
თი წინააღმდეგეს აქ და მისაყვედუროს, გაუგებარია, ვის მიმარ-
თავ მეორე პირში, რადგან შენი ბალადა შენივე სიტყვებიაო
მხოლოდ, სხვა არაფერი. ამის პასუხად მე მივუგებ მათ, რომ
ვაპირებ განვფანტო ეგ ბუნდოვანება და განვმარტო იგი ამ
პატარა წიგნის მეორე, კიდევ უფრო ბუნდოვან ნაწილში⁴. და
მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება მისთვის, ვინც აქ შეეპქვდა
და სურდა წინააღმდეგომოდა მე.

XIII

ამ ზემორე აღწერილი ჩვენების შემდეგ, როცა უკვე ვთქვი
სიტყვები, რომელთა თქმაც უფალმა მიბრძანა ჩემმა, ათასი
ურთიერთსაპირისპირო ფიქრი აღმეძრა სულში, რომელთაც
ისე შემიპყრეს და შემომიტიეს, რომ აღარ შემეძლო თუნ-

დაც ერთი მათგანისგან დამეცვა თავი. მაგრამ მათ შორის ყველაზე მეტად მაინც ოთხი მიწამლავდა და მიმღვრევდა სულის სიმშვიდეს. ერთი მათგანი ასეთი იყო: „კურთხეულ არს ძალმორკმულება სიყვარულისა, რადგან ყოველგვარი სიბილწისა და უკეთურებისგან გარემოაქცევს ერთგულის თვისის ზრახვას“. მეორე ასეთი: „ვინ თქვა, თითქოს კურთხეულ იყოს ძალმორკმულება სიყვარულისა, რადგან რაც უფრო მეტად უერთგულებს მისი ერთგული, მით მეტ ტკივილს დაათმენინებსო მას“. მესამე ასეთი: „სიყვარულის სახელი ისე ტკბილია სასმენად, რომ შეუძლებელია უმეტეს წილად ტკბილი არ იყოს ზემოქმედებაც მისი, რადგან, როგორც წერილ არს, სახელები შეკფერიან და შეესაბამებიან სახელდებულ საგნებს — „Nomina sunt consequentia rerum“¹. ხოლო მეოთხე ასეთი: „ასული იგი, ვისთვისაც აგრე გმუსრავს სიყვარული, სხვებს როდი ჰგავს, რომელთა ადვილად იძვრისო გული“. და თვითელი მათგანი ისეთის ძალით მიტევდა, რომ გასაქანს აღარ მადლევედა და მაიძულებდა შევმდგარიყავ, იმ კაცის მსგავსად, ვინც არ იცის საით წარმართოს ნაბიჯი და ვისაც სურს სვლა, მაგრამ არ იცის, რა გზას დაადგეს. ხოლო როდესაც ვაპირებდი საერთო გზა გამომეძებნა მათთვის, რომელზეც თანხმობით ივლიდა ოთხივე, ის, ეგ გზა, იმდენ დაბრკოლებას მახვედრებდა წინ, რომ მაიძულებდა სიბრალულისთვის მეხმო ისევ მწუედ და მეოხად. აგრე შეჭირვებულს მომესურვა ლექსად მეთქვა ორიოდ სიტყვა; და ვთქვი მაშინ ქვემოთ მოყვანილი სონეტი:

სონეტი VI

მე სიყვარულზე ვფიქრობ მხოლოდ და ეს ფიქრები
ურთიერთისგან ისერიგად განსხვავდებიან,

რომ როცა ერთის მეოხების მესავე ვხდები,
მეორე თავის სიშმაგით და ვნებით მაძრწუნებს,

მესამეს ჩემთვის ყანდი მოაქვს იმედის ფრთებით,
ხოლო სხვა კიდევ სისხლდათხეულ ცრემლს მაწურვიენებს,
და ყველა ერთხმად შემომძახის მე ზარდაცემულს:
გვეაჭე ხსნად და შებრალებად, საწყალობელო.

მე კი, უცნობო, აღარ ვიცი რომელს მივენდო,
მინდა ვთქვა რამე, მაგრამ სიტყვა ვერ მიპოვნია,
თავგზააბნეულს, სიყვარული ისე მახელებს.

და როცა ვცდილობ დავეზავო მათ, — სხვა არ ძალმიძს —
მწედ და მეოხად ჩემსავე მტერს — სიბრაულს — ვუხმობ,
რომ დამიფაროს ამ ფიქრთაგან შეიწრებული.

ეს სონეტი ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს: პირველში ვამბობ, რომ ჩემი ფიქრები მხოლოდ სიყვარულს დასტრიალებენ თავს; მეორეში ვამბობ, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან და განსხვავებას ვამჟღავნებ მათსას; მესამეში ვამბობ, რაში ეთანხმებიან ისინი ერთმანეთს; და ბოლოს, მეოთხეში ვამბობ, რომ როდესაც სიყვარულზე დავაპირებ რაიმეს თქმას, აღარ ვიცი, რა გზას დავადგე, რომელს მივენდო და იძულებული ვხდები ისევ ჩემს მტერს — სიბრაულს ვუხმო მწედ და მეოხად. მეორე ნაწილი ასე იწყება: „და ეს ფიქრები“...; მესამე ასე: „და ყველა ერთხმად“...; მეოთხე ასე: „და როცა ვცდილობ“...

XIV

ამ ურთიერთსაპირისპირო ფიქრთა ბრძოლის შემდეგ მოხდა ისე, რომ ეგ უკეთილშობილესი კვლავ ვიხილე ერთ ადგი-

ლას, სადაც მრავალ ასულს მოეყარა თავი და სადაც ერთმა ჩემმა მეგობარმა მიმიპატიჟა, რომელსაც ეგონა დიდად მაამა, რაკი მიმიყვანა იქ, სადაც ამდენ ასულს გამოეფინა საკუთარი შშვენება. მე კი, მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, საით მივყავდი და ბრმად მინდობილმა მას, ვინც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნამდე მიაცილა თავისი მეგობარი¹, ვთქვი: „რატომ მოვსულვართ-მეთქი ამ ასულებთან?“ და მან პასუხად: „იმიტომ რომ ღირსეულად მოვემსახუროთო მათ“. სინამდვილეში კი ისინი შეკრებილიყვნენ იქ, როგორც დობილნი ერთი კეთილშობილი ასულისა, რომელიც იმ დღეს იწერდა ჯვარს; რადგან, ზემორე ხსენებული ქალაქის ჩვეულების თანახმად, მათ მართებდათ სასძლოსთან ერთად გაენაწილებინათ პირველი სუფრა, რომელიც მისთვის გაეშალათ ახალგაზრდა მეუღლის სახლში. მაშინ, რათა მეგობრისთვის შეამებინა, გადავწყვიტე მოვმსახურებოდი სასძლოსა და დობილებს მისას. მაგრამ, გადავწყვიტე თუ არა, ვიგრძენი, რა უტნაურმა ჟრუანტელმა დამიარა მკერდში, მარცხენა მხარეს, და როგორ მოედო მერე იგი ჩემი სხეულის დანარჩენ ნაწილთ. და მაშინ, ვამბობ, თითქმის ჩემდა უნებურად მივაყრდნე ტანი კედლის ნატიფ მოხატულობას, რომელიც ასერიგად ამკობდა ახალშეუღლებულთა სახლის დარბაზებს. და შემკრთალმა და შეშინებულმა, ვაითუ ჩემი ჟრჟოლა შენიშონმეთქი, ჯერ ზე ავიხედე, მერე მაგ პირმშვენიერ ასულებს მოვაგლე თვალი და მათ შორის უკეთილშობილესი ბეატრიჩე დავლანდე ანაზდად. და მაშინ ყველა ჩემი სული ისე იფრინა და იავარპყო იმ წინააღუდგომელმა ძალამ, რომელიც მაგ უკეთილშობილესის სახლოვეს მოიცა სიყვარულმა, რომ არცერთი აღარ შემრჩა ცოცხალი, თვინიერ ხედვის სულებისა; და ისინიც უსაქურგლოდ და უადგილოდ, რადგან სიყვარულმა დაიკავა მათი ადგილი, რათა თვითონ ექვერიტა ამ საოცარდ

ქმნილებისათვის. და თუმცა მე ის აღარ ვიყავ, რაიც მანამდე, მაინც დიდად მელმოდა ამ პატარა სულებისაგან, რომლებიც საწყალობლად მოსთქვამდნენ, ასე: „სიყვარულს რომ არ დავეფრინეთ, ჩვენც ხომ შევძლებდით ისევე გვექვრიტა ამ ახალი სასწაულისთვის, როგორც ჩვენი ჯუფთნი ჰერეტენო მას“. მერე, მე ვამბობ, რომ როდესაც ფერისცვალება შეინიშნეს ჩემი, ბევრი ამ ასულთაგანი განცვიფრდა ფრიალ. განცვიფრებულნი ატკრციალდნენ და დაცინვა დამიწყეს მაგ უკეთილშობილესთან ერთად. ამიტომ თანაგრძნობით გულშეძრულმა ჩემმა მეგობარმა ხელი მკიდა და, როცა ამ ატკრცილებულ ასულთა მზერას გამაცილა, — რა გჭირსო, — მკითხა. მაშინლა მოვითქვი სული და, როდესაც ჩემი სიცოცხლემოსწრაფებული სულნი მკვდრეთით აღდგნენ, ხოლო გაძევებულნი კვლავ სამკვიდრებელთ დაუბრუნდნენ თავისას, ასე ვუთხარი მეგობარს: „მე უკვე ბეწვის ხიდზე მდგა ფეხი, რომელსაც ვერ გავა ის, ვინც უკან შემოქცევას აპირებს-მეთქი“. ამ სიტყვებით განვშორდი მას და ჩემს სენაკს მივაშურე ისევე, ცრემლთა ხანაგას, სადაც მტირალმა და სირცხვილელულმა, აგრე ვუთხარი თავს: „მან რომ ჩემი შეჭირვების ამბავი იცოდეს, არა მგონია, აგრე უღვთოდ გამწირავდა და უწყალოდ; პირიქით, ვფიქრობ, სიბრალულით შეიძვროდა-მეთქი, ძალიან დიდით“. და აგრე მტირალმა გადავწყვიტე შემეთხზა სიტყვები, რათა გამემკლავნებინა მისთვის ფერისცვალების ჩემის მიზეზი და მეთქვა, რომ მან არ იცოდა ის; რადგან, რომ სცოდნოდა, სიბრალული მოიცავდა არა მარტო მას, არამედ ყველას, მაშინ მუნ მყოფს, ყველას უკლებლივ. და ვთქვი კიდევ ქვემოთ მოყვანილი სონეტი:

სონეტი VII

თქვენ, სხვა ასულთა წრეში მდგარი, მე დამცინოდით,
მაგრამ იცით კი, რად მეცვლება სახე და ფერი,

ან რატომ ბორგავს შერყეული ჩემი არსება,
როდესაც ვუმზერ გულისწამლებ მშვენებას თქვენსაღ?

ო, რომ იცოდეთ, გულისხმაყოთ, მაშინ უთუოდ
შემიბრალებდით თქვენს წინაშე უხმოდ დადრეკილს,
რამეთუ ოდეს სიყვარული თქვენს გვერდით მხედავს,
ისეთი უღვთო ძლიერებით იღვიძებს ჩემში,

რომ გულსა შიგან მორიალე ყველა სხვა გრძნობას
თრგუნავს და ახშობს, ზოგს ჰკლავს, ხოლო ზოგს გარეთ დევნის
და მარტოღმარტო შთება ჩემში თქვენდა საქვერტად.

მიტომ მეცვლება მე—მიწაქმნილს—სახე და ფერი,
თუმც არა ისე, რომ ვერა ვცნა ჩემი გულიდან
ლტოლვად განწირულ გრძნობა-სულთა მწარე გოდება.

ამ სონეტს ნაწილებად არ ვყოფ, რადგან დაყოფა მიზნად
ქასაყოფის არსის გახსნას ისახავს მხოლოდ. ამიტომ, რაკი ზე-
ორე ხსენებული მიზეზის გამო ის თავისთავადაც საკმაოდ
ქხადია, საჭიროდ აღარ მიმაჩნია მისი დაყოფა. მართალია, იმ
სიტყვებს შორის, რომლებშიაც ამ სონეტის მიზეზი ცხადდება,
გვხვდებიან ბნელნი და ბუნდოვანნიც, — ასე მაგალითად, ბნე-
ლია ადგილი, სადაც ვამბობ, რომ სიყვარული თრგუნავს და
ჰკლავს ყველა ჩემს სულს, თვინიერ ხედვის სულებისა, თუმ-
ცა მათაც გარეთ აძევებს-მეთქი, — მაგრამ მათი სიბნელე მეყ-
ვისეულად იფანტება მის წინაშე, ვინც ჩემსავით ერთგულობს
სიყვარულს, რადგან ჩემებრ ერთგულთათვის ცხადია ის, რა-
საც ეგ სიბნელე იმარხავს და ბუნდოვანება. ამიტომ უმართე-
ბულად მიმაჩნია მათი განმარტება, რადგან მაშინ ისლა დამრ-
ჩებოდა მეთქვა, რომ ამაოდ ვთქვი, რაც ვთქვი, და ფუჭად.

ჩემი ახალი ფერისცვალების შემდეგ ერთი აბეზარი აზრი ამეკვიატა, რომელიც წამითაც არ მწყუდებოდა და აგრე მეუბნებოდა მე: „თუ შენ ასე სასაცილო ხდები მის ახლოს, რატომღა ცდილობ იხილო იგი? დაფუშვით და კითხვით მოგმართა, რას მიუგებ მაშინ პასუხად, თუნდაც თავისუფლად ჰფლობდეო სიტყვის მიგების ყველა შენს უნარს?“ რაზეც მეორე, უფრო თვინიერი აზრი იძლეოდა პასუხს: „მე რომ მხნეობას არ ვკარგავდე, მე რომ თავისუფალი ვიყო და სიტყვის მიგება შემეძლოს, ასე ვიტყოდი მაშინ: როგორც კი სასწაულებრივ მშვენებას წარმოვიდგენ მისას, მყის მეუფლება მისი ხილვის შმაგი სურვილი, რომელიც ისე ძლიერია, რომ ჰკლავს ყველაფერს, რაც შეიძლება მის წინააღმდეგ აღძრულიყო ჩემს ხსოვნაში; ამიტომ, ნეტა პირისხილვა შევიძლო მისი და შვებად მივითვლი ყველა ძველ ვნებას“. მსგავსი აზრებით აღძრულმა გადაწყვიტე მეტქვა სიტყვები, რომლებშიაც შენდობას ვთხოვდი მას და გაუუმჯღავნებდი, რას ვგრძნობდი, რას განვიცდიდი მის სიახლოვეს. და ვთქვი ეს სონეტი:

სონეტი VIII

ო, სიხარულო, ყველაფერი, რასაც კი ჩემი
გული იმარხავს, კვდება ხოლმე, როცა შენ გიმზერ,
ხოლო როდესაც შენთანა ვზი, მე სიყვარული
ასე მაფრთხილებს: იქმენ, თორემ სიკვდილი გელის.

და ჩემი სახე შეღებილი ხან სისხლისფერად,
ხან სიკვდილივით გაცრეცილი, მშველელს დაიძებს,
და შიშნასვამი ქვებიც თითქოს მე მომკვიდან:
შენ ილუპები, ო, გულშმაგო, შენ ილუპები!

ცოდვით იმძიმებს გულს ყოველი, ვინც ასერიგად
სასოწარკვეთილს მხედავს, მაგრამ არ კი მამხნევებს,
ვინც არ შემსკვალვის თუნდ უმციირეს სიბრალულითა,

ვინც არ მიფარავს გულმომწყველი დაცივნისაგან,
რითაც შენ, სულო, პასუხობდი ასე უღმობლად,
სიკვდილის ხმობით ზეაპყრობილ ჩემს ჩამქრალ თვალებს.

ეს სონეტი ორ ნაწილად იყოფა: პირველში ვამჟღავნებ მი-
ზეზს, რომლის წყალობითაც მე, უცნობო, წერაატანილივით
დავეძებ მას; მეორეში, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „ხო-
ლო როდესაც შენთანა ვზი“... ვამბობ, რა მემართება მის სიახ-
ლოვეს; ეს მეორე ნაწილი; თავის მხრივ, ხუთად იყოფა, თანახ-
მად თხრობის ჩუთი სხვადასხვა საგნისა: ასე, პირველში ვამ-
ბობ, რას მკარნახობს სიყვარული გონების რჩევით, როცა მას
ვუმზერ; მეორეში სახის მაგალითით ცხადვყოფ სულისკვეთე-
ბას ჩემსას; მესამეში ვამბობ, როგორ ვკარგავ მხნეობას; მეო-
თხეში ვამბობ, რომ სცოდავს ის, ვინც სიბრალულით არ მემ-
სკვალვის და არ მამხნევებს; და ბოლოს, უკანასკნელში ვამ-
ბობ, რისთვის უნდა მიბრალებდნენ კაცნი, სახელდობრ, სასო-
წარკვეთილებიათვის, რომელიც ჩემს მზერაში ვლინდება; ხო-
ლო ჩემი მწუხარე მზერა იმუსვრის, ესე იგი უჩინარი ხდება
სხვათათვის იმ ასულის დაცივნის წყალობით, რომელიც და-
ცივნისთვისვე აღძრავს მასაც, ვისაც, მისი დაცივნა რომ არა,
ვინ იცის, იქნებ შეემჩნია კიდევ ჩემი სასოწარკვეთილება. მე-
ორე ნაწილი ასე იწყება: „და ჩემი სახე“...; მესამე ასე: „და
შიშნასავამი“...; მეოთხე ასე: „ცოდვით იმძიმებს“...; მეხუთე
ასე: „ვინც არ მიფარავს“...

მას შემდეგ, რაც ეს სონეტი ვთქვი, მომესურვა კვლავ დავ-
მჯდარიყავ ახალი სონეტის წერად!, რათა მეთქვა ის, რაც ჩე-
მის აზრით უთქმელი დამრჩა, მეთქვა ოთხი რამ ჩემი უსასოე-
ბისათვის. ჯერ ერთი მეთქვა, რამდენგზის შევეუპყრივარ მწუხარე-
ბას, როცა ჩემი მენსიერება აიძულებდა წარმოსახვა წარ-
მოედგინა, რა მიყო, რად მაქცია სიყვარულმა. მეორეც, მეთქ-
ვა, რომ სიყვარული ისე ანაზღად მესხმოდა თავს და ისეთის
ძალით, რომ ყველაფერს ჰმუსრავდა ჩემში, თვინიერ აზრისა,
რომელიც დღენიადავ მაგ უკეთილშობილესს იგონებდა თავის
წინ; მესამეც, მეთქვა, რომ როდესაც სიყვარული აგრე სასტი-
კად მიტევდა ხოლმე, მე, სიკვდილივით გაცრეცილი და ფერ-
მისხილი, მხოლოდ იმას ვცდილობდი, ჩემი ქალბატონი მეხი-
ლა როგორმე, იმის იმედით, ეგების მისმა ხილვამ დაძინანას-
მეთქი სიყვარულის კვეთებისაგან, და ვივიწყებდი, უცნობო-
ქმნილი, რა მემართებოდა მის მშვენებასთან მიახლებისას.
და, ბოლოს, მეთქვა, რომ მისი ხილვა არათუ არ მიხსნიდა და
არ მიფარავდა, არამედ საბოლოოდ ჰმუსრავდა ხოლმე ჩემი
სიკვდილად მიწურვილი სიცოცხლის ნამუსრევს. და ამისთვის
ვთქვი ეს სონეტი:

სონეტი IX

მე ხშირად ვფიქრობ იმ მწუხარე იერიისათვის,
რომლითაც მმოსავს სიყვარული, და ჩემივ თავის
მიმართ ისეთი სიბრაულეთი შევსება გული,
რომ ვამბობ ხოლმე: ნეტავ ჩემებრ ვინ იტანება?

გარემომიცავს სიყვარული ისე ანაზღაღ,
რომ დღეგარქელობა ჩემი ხშირად ბეწუზე ჰკიდია
და მხოლოდ სული მძლეობს ჩემში, მკმუნვარე სული,
რომ დღენიადაგ თავისწინა თქვენ გიგონებდეთ.

და ვიბრძვი მაშინ, თავს განწირულს ვუშველო იქნებ,
მაგრამ ძლეული ამ უსწორო შეტაკებისას
თქვენსკენ მოვილტვი, ვით სნეული შკურნალისაკენ.

გარნა თუ გპოვებ, მოვალწე თუქი თქვენამდის,
შეების სანაცვლოდ უარეს ჰკირს მისართავთ ჰკირზე
და მე ვეცემი უღონო და სასომიხდილი.

ეს სონეტი ოთხ ნაწილად იყოფა, თანახმად თხრობის ოთხი სხვადასხვა საგნისა. გარნა, რაკი მათზე ზემოთ უკვე ითქვა, აქ აღარას ვიტყვი თვითეულისთვის და მათი დასაწყისების გამოყოფით დავკმაყოფილდები მხოლოდ. ამრიგად, ვამბობ, მეორე ნაწილი ასე იწყება: „რომლითაც მმოსავს სიყვარული“...; მესამე ასე: „და ვიბრძვი მაშინ“...; მეოთხე ასე: „გარნა თუ გპოვებ...“

XVII

მას შემდეგ, რაც ვთქვი ეს სამი სონეტი, რომლებითაც მას მივმართავდი და რომლებშიც თითქმის სისრულით აისახა მთელი ჩემი საღმობა და უსასოება, გადავწყვიტე დავდუმებულ-ყავ და აღარა მეთქვა რა მეტად, რადგან, მეგონა, სრულად ვთქვი ის, რისი თქმაც მსურდა. და თუმცა მართლაც დიდხანს ვდუმდი მას მერე, ბოლოს მაინც იძულებული გავხდი მივბრუნებოდი თხრობის ჩემის საგანს, ოღონდ აწ განახლებულსა

და მეტის კეთილშობილებით მოსილს. და რაკი ამ განახლების საბაზი სასიამოვნოა სასმენად, გეტყვით მას, მაგრამ რაც შეიძლება მოკლედ¹.

XVIII

რაკი ჩემმა იერმა მრავალს გაუმკლავნა ჩემი გულის საიდუმლო, ამიტომ ვიეთნი ასულნიც, რომელნიც ერთად შეყრილიყვნენ, რათა ერთურთის სიახლოვით ეხარებინათ ერთმანეთი, კარგად იცნობდნენ ჩემს გულს, რადგან თვითეული მათგანი არაერთგზის ყოფილა მოწმე ჩემი შეკრთომის და შეძრწუნებისა. და როცა შემთხვევით გვერდით ჩავუარე მათ, ერთმა ამ კეთილშობილ ასულთაგანმა სახელით მიხმო მოულოდნელად; ხოლო ის, ვინც მიხმო, ენაწყლიანი იყო ფრიად და ენამჭვერი. და როდესაც ამ ასულთ მივებალე და დავრწმუნდი, რომ ჩემი უკეთილშობილესი ქალბატონი არ იყო მათ შორის, გულმოცემულმა სალაში ვთქვი და — რას მიბრძანებთ-მეთქი, ვიკითხე. ხოლო ისინი ბევრნი იყვნენ და ზოგი მათგანი თავისთვის იცინოდა წყნარად, სხვანი მე მიმზერდნენ და ელოდნენ, ვნახოთ, რას გვეტყვისო, დანარჩენნი კი ჩუმად ჩურჩულებდნენ ერთმანეთს შორის. მერე ერთ-ერთმა ამ უქანასკნელთაგან ჩემსკენ მომართა თვალნი, სახელით მიხმო და მკითხა: „რისთვის გიყვარს შენი ქალბატონი, თუკი მისი სიახლოვე ვერ დაგიტმენია? გვარქვი, გეთაყვა, რადგან მიზანი ამნაირი სიყვარულისა უჩვეულო უნდა იყოს და უცნაური“. და როცა ეს სიტყვები მითხრა, არა მარტო ის, არამედ ყველა დანარჩენნიც სმენად იქცნენ ჩემი პასუხის მოლოდინში. მაშინ ამ სიტყვებით მივმართე მათ: „საყვარელო ასულნო, ჩემი სიყვარულის მიზანი ოდესღაც იყო უტკბილესი სალაში მისი, ვისაც თქვენ გუ-

ლისხმობთ, ალბათ; და ეგ სალამი იმარხავდა მთელს ჩემს ნეტარებას, ანუ, რაც იგივეა, ყველა ჩემი სურვილის მიზანს. მაგრამ მას შემდეგ, რაც სალამი აღარ მადირსა, უფლის ჩემის — სიყვარულის გულმოწყალებამ ჩემი ნეტარების წყაროდ აქცია ის, რასაც ვერავინ წამართმევს ქვეყნად“. მაშინ კვლავ ჩურჩული იწყეს ერთმანეთს შორის; და, როგორც ვხედავთ ხოლმე, როგორ ეშვება მიწაზე თოვლნარევი წვიმა, მეგონა ასე შერეოდა ოხვრა ჩემამდე მოღწეულ მათს სიტყვებს. და მას შემდეგ, რაც ერთხანს ასე იჩურჩულეს ერთმანეთს შორის, მან, ვინც პირველად მომმართა კითხვით, მთხოვა: „თუ შეიძლება, გვითხარ, რას თვლიო შენი ნეტარების წყაროდ“. და მე პასუხად: „იმ სიტყვებს, რომლებიც ჩემს ქალბატონს აღიდებენ-მეთქი“. რაზეც ასე მომიგო მან: „შენ რომ მართალს ამბობდე, მაშინ სიტყვებს, რომლებითაც შენი სულისკვეთება გადმოეცი, სხვა აზრით იხმარდიო უთუოდ“. მაშინ, ამ სიტყვებზე გონდაუნჯებული, სირცხვილეულივით გავეცალე ცნობისმოყვარე ასულთ; მივიღიოდი და აგრე ვეუბნებოდი თავს: „თუ ის სიტყვები, რომლებიც ჩემს ქალბატონს აღიდებენ, ამდენ ნეტარებას იმარხავენ მართლაც, რატომ სხვაგვარად უღერენ-მეთქი ისინი?“ ამიტომ გადავწყვიტე ამიერითგან ჩემი სიტყვების საგნად დამესახა ის, რაც შარავანდელით შემოსავდა მაგ უკეთილშობილესს. მაგრამ, როდესაც კარგად დავფიქრდი, გულისხმაყვავ, რომ მეტისმეტად მაღალ საგანს წავეპოტინე და შევძრწუნდი. და ამ კოჰმანში გავატარე რამდენიმე დღე: მსურდა მეთქვა რამ, თქმისა კი მეშინოდა.

XIX

მერე მოხდა ისე, რომ ერთის გზით მავალს, რომლის გასწვრივაც ანკარა მდინარე მიაქანებდა ტალღებს, ისეთმა ყინმა

მოვიარა რაიმეს თქმისა, რომ ფიქრი ვიწყე შეიწრებულმა, რა ვქნა, რა ვიღონო-მეთქი; და იმ დასკვნამდე მივედი, რომ უხამსობა იქნებოდა უშუალოდ მის მიმართ მეთქვა ის, რის თქმაც მსურდა, და არა სხვა ასულთა მიმართ, მეორე პირში; მაგრამ არა ყველა ასულის, მხოლოდ მათ მიმართ, ვინც კეთილშობილნი არიან და არა მარტო ქალნი. და მაშინ, ვამბობ, ჩემი ენა ზეშთაგონებით აღძრულივით ამეტყველდა და აგრე თქვა: „ასულნო, არსი სიყვარულის ვინც შეიმეცნეთ“. ეს სიტყვები დიდის სიხარულით დავიმარხე მეხსიერებაში, რათა, შემდგომ, დასაწყისად გამომეყენებინა ისინი. და მერე, როცა ზემორე ხსენებულ ქალაქში დავბრუნდი და რამდენიმე დღე ვიფიქრე კიდევ, სწორედ ამ დასაწყისით დავიწყე ჩემი პირველი კანცონა¹, ისე აგებული, როგორც ქვემოთ დაყოფა გამოაჩენს მისი. და ეს კანცონა ასე იწყება:

კანცონა I

ასულნო, არსი სიყვარულის ვინც შეიმეცნეთ,
ჩემს ქალბატონზე შინდა გითხრათ ორიოდ სიტყვა,
არა იმიტომ, თითქოს მისი ქება ქალმედვას,
არამედ რათა მოვეუფონო ტკივილებს ჩემსას.
გეტყვი, როგორი სასოებით შევსება სული,
როდესაც ვფიქრობ მის მოწყალე საფრთხეზე,
და რომ ამ გრძნობის გამელაზნება შემეძლოს სრულად,
შეიძვრებოდა სიყვარულით მთელი სამყარო.
მაგრამ იმდენად მაღალია მისი სიწმინდე,
ხოლო ეს გული იმდენადვე ქვედაზიდული,
რომ მის შესატყვისს ქებას მხოლოდ შეფარვით ვიტყვი,
ისევე მისადმი უდიდესი პატივის გამო.
ოღონდ, ასულნო, დაიმარხეთ გულში ეს სიტყვა,
რამეთუ ღირსი ამ სიტყვისა ყველა არ არის.

ღვთიურ იხტელექტს ანგელოსი ამგვარად უხმობს:
ამ ქვეყნად ჰგეის ო, უფალო, ერთი არსება —
ხორცშემოსილი სასწაული, სულმნათი, რომლის
თვალშეუდგამმა ბრწყინვალეობამ ზესკნელს უწია.
და ცათა სკნელი, ვის გულსავსე სრულყოფილებას
მხოლოდ ეს ტკბილი და ნათელი სული აკლია,
წმინდათა დასთან თანაზრახვით, თავის შემოქმედს
მის ამ ქვეყნიდან ამალლებას ემუდარება.
და შემოქმედი, ყოვლისმცოდნე და სახიერი
ამგვარად ბრძანებს: ო, კეთილნო, ჭერ არ ვაპირებ,
გამოვიწვიო ის ქვეყნიურ სამყოფელიდან.
რადგან მის ღვთიურ სიახლოვეს დაჰკარგავს იგი,
ვინც ჯოჯობეთში ბორბტ სულებს ჭიქურ მიახლის:
კრულნო, მიხილავს მე ნეტართა დიდი იმედი!

ქალბატონს ჩემსას თვითონ ცანი მოინატრებენ.
გეტყვით, ასულნო, რად ჰირთ საქმე ესევეითარი:
ქალთაგან ყველას, უკეთუ სურს, თავი ღირსებით
შემკული უჩნდეს, მას — უწმინდესს, მართებს ეახლოს.
რადგან ის ყველგან და ყოველთვის ყინვისებრ მოსწვავს.
უკეთურთა გულს, მათ ბიწსა და უწმინდურებას.
მისი პირის მკერტს, ორისაგან ერთი მიჰხვდება:
ან გულმოწყალებდ კეთილის ქმნა ანდა სიკვდილი.
ხოლო თუ მზერას, თუნდაც ერთხელ, ვისმე მიაპყრობს —
მზებერ მიაფენს შუქს თავისი სათნობისას.
მისი საღამო საამური თვით შეურაცხსაც
გულს სანეტარო შვებითა და ხარებით უვსებს.
და კიდევ მერის ძლევით მოსავს მას შემოქმედი:
ბორბტი გულით არა კვდება მისი მკერტელი.

და სიყვარული გაიოცებს: ვითარ ეგების,
მოკვდავთაგანი იყოს ეგზომ სათნო და წმინდა?
და იქვე დასძენს, — ამ სახებით ნებამ უფლისა
ჩვენ სასწაული მოგვივლინა ჭერარანახული.

მის ღვთიურ ნაკვთებს მარგალიტის სწორუბოვარი ფერი გადაჰქრავს, — უნაზესი და უმშვიდესი. მისი ბადალი ჭერ ბუნებას არ შეუქმნია, ხოლო სიტუარფის სხვა საზომი არ არის ქვეყნად. შემოგხედავს და სიყვარულის ენებიან სუნთქვას შემოგაფრქვევენ მისნი თვალნი, და სიყვარულის ურიცხვი სული მყის გაგწონის გულისგულამდე. სიყვარულმა ცნო მის ბაგეებს სათნო ღმილი და მის უსახლერო, თვალშეუდგამ მშვენიერებას ვერ გაუსწორებს თვალს ვერცერთი მოკვდავთაგანი.

ჩემო კანცონავ, ვიცი, მრავალ ასულს უამბობ ჩემი ტრფიალის მწუხარ ამბავს, როცა მტრედივით გაგაფრენ, მაგრამ დაიხსომე: მე შენ გაგზარდე, კით სიყვარულის მხნე ასული — ჩვილი და ტუბილი, რათა იქ, სადაც ახლა მიხვალ, ასე იუბნო: სად არის იგი, ო, მასწავლეთ, ვისთანაც მგზავნის ჩემი გამზრდელი, ვის ქებადაც მე დავიბადე!.. და სელი რომ არ მოგეცაროს, ნურაფერს ეტყვი ღირწთა და ბილწთა, მდაბიორთა და უგუნურთა. ჰქნენ ისე, თუკი მოიხელთებ, რომ მხოლოდ სათნო ვმაწვილქალებს და ქველ კაბუეებს გაუხსნა გული, რომ შეგასწავლონ უმოკლესი გზა იმისაკენ, ვისი კალთის ქვეშ მოიპოვებ კიდევ სიყვარულს. მაშინ ორივეს შემავედრე, ამასა გვედრი.

რათა უკეთ გასაგები გახდეს, ამ კანცონას უფრო წვრილად დავყოფ, ვიდრე ზემორე მოყვანილ ლექსებს. პირველი ნაწილი წინასიტყვაა მომდევნო ნაწილთა მიმართ; მეორე შინაარსს იმარხავს, ხოლო მესამე წინარე სიტყვათა მხევალია თითქოს; მეორე ნაწილი ასე იწყება: „ღვთიურ ინტელექტს“...; მესამე ასე: „ჩემო კანცონავ“... პირველი ნაწილი, თავის მხრივ, ოთხად

იყოფა: პირველში ვამბობ, ვის მსურს ვუთხრა ჩემი ქალბატონის ქება და რატომ მსურს ვუთხრა; მეორეში ვამბობ, რას განვიციდი ან რას ვგრძნობ თავად, როცა მისი მაღალი სათნოებების ვფიქრობ, და რა მოხდებოდა, ამ გრძნობის გამჟღავნება რომ შემეძლოს სრულად; მესამეში ვამბობ, როგორ ვაპირებ ვთქვა მისი ქება, რათა ვერავითარი სიბილწე ვერ აღმიდგეს წინ; მეოთხეში კვლავ მივმართავ მათ, რომელთა მიმართაც მინდა ვიუბნო და ვაცხადებ მიზეზს, რომლის ძალითაც მათ მივმართავ და არა სხვათ. მეორე ნაწილი ასე იწყება: „გეტყვი“...; მესამე ასე: „მაგრამ იმდენად“...; მეოთხე ასე: „ოღონდ, ასულნო“... შერე, როდესაც ვამბობ: „ღვთიურ ინტელექტს-მეთქი“, ჩემი ქალბატონის ქებას ვიწყებ; და ეს ნაწილი ორად იყოფა: პირველში ვამბობ, რომ მას იცნობენ ცანი; მეორეში კი, რომელიც ასე იწყება: „ქალბატონს ჩემსას“... — ვამბობ, რომ მას იცნობს მიწა. ეს მეორე ნაწილი ორად იყოფა: პირველში აღვწერ მისი სულის სიწმინდეს და კეთილშობილებას, და ამ წმიდა სულისეულ ზოგიერთ ეფექტს; ხოლო მეორეში, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „და სიყვარული გაიოცებს“..., მისი სხეულის კეთილშობილებას და მშვენებას. ეს მეორე ნაწილი ორად იყოფა: პირველში აღვწერ მთელი მისი არსების სრულქმნილებას, ხოლო მეორეში, რომელიც ასე იწყება: „შემოგხედავს და“..., ამ სრულქმნილი არსების ზოგი ასოს სრულყოფილებას. ეს მეორე ნაწილი ორად იყოფა: პირველში ვამბობ, რომ სიყვარული მის თვალთაგან იღებს დასაბამს, რათა მისსავე ბაგეებზე დასრულდეს ბოლოს, მაგრამ ამას უკვე მეორე ნაწილში ვამბობ. და რათა აქვე მოიკვეთოს ყველა ბილწი აზრი, მკითხველს ვთხოვ გაიხსენოს, რას ვამბობდი ზემოთ, გაიხსენოს, რომ ამ უკეთილშობილების სალამი იყო ზღვარი და მიზანი ყველა ჩემი სურვილისა, სანამ სალამის ღირსად მთვლიდა უღირსს. მე-

რე, როცა ვამბობ: „ჩემო კანცონაჲ-მეთქი“, პირველ ოთხს მე-
სუთე სტანსს ვუმატებ კიდევ, რომელსაც წინარე სიტყვათა
მხეველის როლს ვაკისრებ თითქოს და რომელშიც ვამბობ, რას
მოვითხოვ ამ კანცონასაგან. და რადგან ეს უკანასკნელი ნაწი-
ლი ადვილად გასაგებია, თავს აღარ ვიწუხებ მისი დაყოფით.
და ბოლოს, ვამბობ, რომ, თუმცა ამ კანცონას უკეთ გაგების
მიზნით, უმჯობესი იქნებოდა უფრო წვრილად დამეყო იგი,
მაგრამ არც ის აღმაშფოთებს მაინცდამაინც, თუ ამდენი და-
ყოფის შემდეგაც ვერ გამიგებენ უგუნურნი და ათვალწუნებით
აუვლიან გვერდს ჩემს კანცონას. რადგან, ცოტა არ იყოს, ვში-
შობ. რომ ამდენი დაყოფითაც ბევრს გავეუცხადებ მის ფარულ
არსს, რასაკვირველია, თუ ბევრნი იქნებიან ისინი, ვის ყურამ-
დეც მიაღწევს იგი.

X X

მას შემდეგ, რაც ეს კანცონა რამდენადმე გავრცელდა ხალხ-
ში, ცნობისწადილით აღძრულმა ერთმა მეგობარმა, რომლის
სასმენელამდეც მიელწია მას, მკითხა, რა არისო სიყვარული,
რადგან, ჩანდა, მონასმენისაგან უფრო დიდი წარმოდგენა შეჰქ-
მნოდა ჩემზე, ვიდრე მე ვიმსახურებდი. მაშინ ასე ვუთხარი
თავს: „მაგ კანცონას გასრულების შემდეგ ურიგო არ იქნება,
თუ სიყვარულისთვისაც ვიტყვი რაიმეს და, ამრიგად, მეგობ-
რის გულსაც მოვიგებ და მოვიმძევლებ-მეთქი“. და ვთქვი კი-
დეც ქვემოთ მოყვანილი სონეტი:

სონეტი X

სიყვარული ხომ იგივეა, რაც წრფელი გული —
ასე ერთ თავის ქმნილებაში უთქვამს ბრძენ მოძღვარს —

და იმგვარადვე ვერ მოსწყდება ერთი მეორეს,
ვითარცა სული გონიერი გონიერებას.

ორივეს ერთად ჰქმნის ბუნება ტრფობით შექრული,
სიყვარულს მეფედ და მეუფედ, გულს — მის სამეფოდ
და ამ შფოთიან სამეფოში თვლემს იგი მეფე,
ხან დღემოკლე და ხან დღეგრძელი უკუნისამდე.

ხოლო მშვენებას მაღლად მხედი ასულის სახე
გამოაჩინებს, თვალს მოგვტაცებს და ამნაირად
გაჩნდება გულში მომხიბლავი საგნის სურვილი.

და ეს სურვილი ზოგჯერ ისე ხანიერია,
რომ სიყვარულის მთვლემარე სულს აღვიძებს ხოლმე.
და ასე ქალსაც ღირსეული ატყვევებს ვაჟი.

ეს სონეტი ორ ნაწილად იყოფა: პირველში სიყვარულის
მთვლემარე ძალმორკმულობაზე ვლაპარაკობ; მეორეში კი
ვამბობ, როგორ იქცევა მოქმედებად ეგ პოტენცია; მეორე
ნაწილი იწყება სიტყვებით: „ხოლო მშვენებას“...; პირველი
ნაწილი ორად იყოფა: პირველში ვამბობ, რაში ჰგვის ეგ პო-
ტენცია; მეორეში კი ვამბობ, როგორ ერწყმიან ერთ არსად
ერთმანეთს ეგ პოტენცია და ის, რაშიც ეგ პოტენცია ჰგვის, და
როგორ მოიცავს ერთი მეორეს, ისე ვით ფორმა — მატერიას.
მერე, როდესაც ვამბობ: „ხოლო მშვენებას-მეთქი“, იმის თქმა
მინდა, როგორ იქცევა მოქმედებად ეგ პოტენცია; ჯერ ერთი,
როგორ იქცევა კაცში, მერე კი — ქალში: „და ასე ქალსაც“...

X X I

მას შემდეგ, რაც სიყვარულის ქება ვთქვი, მომესურვა
კვლავ მეთქვა მაგ უკეთილშობილესის ქებაც, რათა მეჩვენებინ-
ა, როგორ აღვიძებდა მისი სასწაულთმოქმედი მშვენება ამ

მთვლემარე სიყვარულს, და არა მარტო აღვიძებდა იქ, სადაც
თვლემდა, არამედ იწვევდა კიდევ იქ, სადაც არც თვლემდა. და
მაშინ ვთქვი ქვემოთე მოყვანილი სონეტი:

სონეტი XI.

თვალეზი მისი სავანეა სიყვარულისა,
მისთა მკვრეტელთა სიქველის და სიკეთის წყარო;
ჩაივლის იგი კაცთა შორის მდაბალი საღმით
და გული ვერხვის ფოთოლივით თრთის და ცაცხახებს.

და ყველა, მისგან ფერმიხდილი და ანათროლი,
თავის ბიწსა და ხენუშობას დასტირის მაშინ
და მათ გულს შეესკრის, გულსწყრომის შორდება ბინდი...
აწ შემეწიეთ მისდა ქებად, სათნო ასულნო!

რა ნეტარებით უნდა ძგერდეს იმ კაცის გული,
მის ტკბილ საუბარს ვინც ყურს უგდებს; ნეტარ არს იგი,
ვის თუნდაც ერთხელ მისი ხილვა ხედომია წილად.

ხოლო სიხარულს განცდილს მისი ღიმილისაგან
ვერ იტყვის ვერვინ, გონებაშიც ვერ დაიმარხავს,
ისე დიდია სასწაული ესე ახალი.

ეს სონეტი სამი ნაწილისგან შედგება: პირველში ვამბობ,
როგორ აქცევენ მოქმედებად სიყვარულის მთვლემარე ძალას
მისი უკეთილშობილესი თვალეზი; მესამეში ამასვე ვამბობ,
ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ თვალეზს უკეთილშობილესი
ბაგენი ცვლიან მისნი. ხოლო ამ ორ ნაწილს პატარა ნაწევარი
აერთებს, რომელიც თითქოს შეწევნას სთხოვს როგორც ზე-
მოთე, ისე მომდევნო ნაწილს და რომელიც ამ სიტყვებით იწ-
ყება: „აწ შემეწიეთ“...; მესამე ნაწილი ასე იწყება: „რა ნეტა-

რებით“...; პირველი ნაწილი სამად იყოფა: პირველში ვამბობ, როგორის სიქველით და სიკეთით მოსავეს ის ყველაფერს, რასაც უმზერს; ეს კი ნიშნავს, რომ მისი თვალეზი სიყვარულის ძალ-მორკმულეზას ამკვიდრებენ იქ, სადაც ის არ მკვიდრობს; მეორეში ვამბობ, როგორ ქმედითობას ანიჭებს სიყვარულს მათს გულებში, ვისაც ის უმზერს; მესამეში კი ვამბობ, რა კეთილის-მყოფელ ზემოქმედეზას ახდენს იგი ამ გულებზე; მეორე ნაწი-ლი ასე იწყეზა: „ჩაივლის იგი“...; მესამე ასე: „და გული“... მე-რე, როდესაც ვამბობ: „აწ შემეწიეთ-მეთქი“, ვამელავნებ, ვის ვგულისხმობდი, ვისდა ქეზად ვთხოვდი შეწევენას ამ ასულთ. და ბოლოს, როდესაც ვამბობ: „რა ნეტარებით“... — იმასე ვამბობ, რაც პირველ ნაწილში ვთქვი, ოლონდ აქ თვალთა მზე-რას მისი ბაგეების ორი აქტი ცვლის: ერთი — მისი უტკბილე-სი საუბარი, ხოლო მეორე — ღვთაებრივი ღიმილი მისი. მაგ-რამ ამ უკანასკნელის ზემოქმედეზაზე აღარას ვამბობ, რადგან გონეზა ვერ დაიშარხავს ვერც მას, ვერც მისგან განცილდ სი-ხარულს.

X XII

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ (უტკბილესი მა-ცხოვრის ნებით, რომელმაც თავადაც არ ინეზა სიკვდილისგან დაეხსნა თავი) მან, ვინც მშობელი იყო ასე ასალი და მაღალი სასწაულისა!, ესე იგი ამ უკეთილშობილესი ბეატრიჩესი, სა-ნულდამოდ დახუჭა თვალნი და გარდავიდა, რათა ქეშმარიტად მარადიულ დიდეზას და ნეტარეზას ზიარებოდა. და რაკი ასე-თი განშორეზა მწარეზა მისთვის, ვინც რეზა და ვინც მეგობა-რი იყო გარდასულისა; რაკი არ არსებობს უფრო უგულითა-

დესი შეგობრობა, ვიდრე ის, რომელიც კეთილ შაძას აკავშირებს კეთილ ასულთან და, პირუკუ, კეთილ ასულს — კეთილ მამასთან; და ბოლოს, რაკი ეს ასული თვით ხორცშესხმული სიკეთე იყო, ხოლო მამაჲ მისი (როგორც მრავალს სწამდა და არც სცდებოდნენ, რომ სწამდათ) — სიკეთით სრული, — ადვილი წარმოსადგენია, როგორი სიმწარე უნდა განეცადა დაობლებულს. და რადგან, ზემორე ხსენებული ქალაქის ჩვეულების თანახმად, ქალები ქალთან, ხოლო მამაკაცები მამაკაცთან იკრიბებიან გლოვის ჟამს, ამიტომ მრავალმა ასულმა მოიყარა თავი იქ, სადაც საწყალობლად ტიროდა ბეატრიჩე. და როცა მისი სახლიდან გამოსული მოსამძიმრე ასულნი შევნიშნე, ყური მივუგდე მათ სიტყვებს და მესმა, როგორ გლოვობდა იგი: „ის ისე საწყალობლად ტირის, ღმერთმანი, — ამბობდნენ ისინი, — რომ საცოდაობით დაიწვებაო მისი მხილველი“. მერე დადუმდნენ და ჩაიარეს. მე კი ისეთმა მწუხარებამ შემიპყრო, რომ ცრემლებმა ჩამომირეცხეს ღაწვნი, ასე რომ იძულებული გავხდი ხელებით დამეფარა სახე. ერთი რამ მაკავებდა მხოლოდ: ეგების კიდევ მესმას-მეთქი რაიმე მასზე (მე ვიდექ იქ, სადაც მოსამძიმრეთა მეტ ნაწილს უნდა გაველო), თორემ მაშინვე გავეცლებოდი მანდაურობას, როგორც კი ცრემლი მომადგა თვალზე. ერთ ადგილზე აგრე ფეხმოუცვლელად მდგარს ახლა სხვა ასულებმა ჩამიარეს გვერდით, რომლებიც ასე ჩურჩულებდნენ ერთმანეთს შორის: „ნეტა რომელი ჩვენგანი შეძლებს კვლავ განიცადოს სიხარული მას შემდეგ, რაც ასე საწყალობლად მტირალი ვიხილეთო იგი“. მათ სხვანი მოჰყვნენ, რომელთაც ჩემზე ანიშნეს ერთმანეთს: „შეხედეთ, ისე ტირის, თითქოს ჩვენ კი არა, მას ეხილოსო იგი“. სხვანი კიდევ ასე ამბობდნენ ჩემზე: „ისაა თუ თვალი

გვატყუებს?—როგორ შეცვლილაო საბრალო“. ასე მოსდევდნენ მოსამძიმრენი მოსამძიმრეებს, და მე მესმოდა ყველაფერი, რაც მასზე და ჩემზე ითქვა, იმ სახით, როგორითაც მე გადმოგეცით. და უკვე მერე, ამაზე გონდაუნჯებულმა, გადავწყვიტე მეთქვა სიტყვები (რისთვისაც ქეშმარიტად ღირსეული საბაზი მქონდა), რათა მათში მომეჭცია ყველაფერი, რაც ამ მოსამძიმრე ასულთაგან მესმა. და რაკი მაშინვე სიამოვნებით გამოვიკითხავდი მათგან ყველაფერს, კრძალვას რომ არ შევეკავებინე, გადავწყვიტე ახლა მაინც წარმომედგინა საქმე ისე, თითქოს მე ვეკითხებოდი, ისინი კი პასუხს მაძლევდნენ. და ვთქვი კიდევ ორი სონეტი. პირველში ვკითხულობ მას, რაც მაშინ მსურდა გამომეკითხა მათთვის; მეორეში კი მათი პასუხი მომყავს, და მომყავს ისე, რომ მაშინ მათ მიერ ჩემზე თქმულს ჩემი შეკითხვის პასუხად ვიღებ. პირველი სონეტი ასე იწყება: „თქვენ ასერიგად დაღლილნო და გულდამაშვრალნო“...; მეორე ასე: „შენ ალბათ ის ხარ, ჩვენს ქალბატონს სახემშვენიერს“...

სონეტი XII

თქვენ, ასერიგად დაღლილნო და გულდამაშვრალნო,
დახრილი მზერით მწუხარების გამომეტყველნო,
საიდან მოხვალთ მკმუნვარენი, ან თქვენს სახეზე
ესოდენ დიდი სიბრაღული რად აღბეჭდილა?

ეგების ჩემი ქალბატონის გიხილავთ სახე
მთლად დალტობილი სიყვარულის მწველი ცრემლებით?
მარქვით, ვცდები თუ გული ჩემი არ შეცრუვება
და მე ნამდვილად თქვენს განწმენდილ არსებას ეუმზერ?

ხოლო თუ მარტლა ნასეთ წყარო იგი ლპობისა,
ერთს გევედრებით, კეთილებო, გვერდს ნუ ჩამივლით
ისე, რომ წერილად არ მომიტხროთ მისი ამბავი.

იმდენი ცრემლი დაუღვრია თქვენს ლამაზ თვალებს
და ფერი ისე შეგიცვლიათ, რომ გული მიწუხს,
რომ წარმოვიდგენ, თუ რაისი ხართ თვალთმზილველნი.

ეს პირველი სონეტი ორ ნაწილად იყოფა: პირველში ვუხბ-
მობ ამ ასულებს და ვეკითხები, ჩემი ქალბატონის სახლიდან
ხომ არ ბრუნდებით-მეთქი; და დავსძენ, რომ ეს მართლაც ასე
უნდა იყოს, რადგან თითქოს უფრო განწმენდილნი ბრუნდე-
ბიან უკან; მეორეში ვთხოვ მომიტხრონ მისი ამბავი; მეორე
ნაწილი ასე იწყება: „ხოლო თუ მართლა“...

სონეტი XIII

შენ ალბათ ის ხარ, ჩვენს ქალბატონს სახემშვენიერს
ვინც უმღეროდა ასე ხშირად, ვინც უნებურად
ჩვენ მოგვმართავდა ამ სიმღერით მხოლოდ და მხოლოდ.
ჩმა იმისი გაქვს, მაგრამ სახე რა უყავ შენი?

ან რატომ სტირი ისე მწარედ და საწყალობლად,
რომ სიბრალულის მდულარებას აღუძრავ ყველას?
იქნებ მტირალი ნახე იგი და აღარ ძალგძის
დაფარო შენი წუხილი და გულისტივილი?

ნულა გვაყოვნებ, დაგვანებე ეს საკმუნაეი
განა ნუგეში დაუამებს იმ ადამიანს,
ვის თუნდაც ერთხელ დაუნახავს მისი ცრემლები;

მის შუბლს ისეთი დიდი სევდის ბეჭედი აზის,
რომ მისთა მკერეტელთ მეყსეულად გულს წაუღებდა
და ძირს დასცემდა ერთის დაკვრით განგმირულივით.

ეს სონეტი ოთხი ხაწილისგან შედგება, თანახმად სიტყვისგების ოთხი სხვადასხვა სახისა, რასაც მიმართავდნენ ის ასულნი, რომელთა ნაცვლად თვითონ ვიძლევი პასუხს. და რაკი ზემოთაც კმასაყოფელად განიმარტნენ, ამიტომ აქ აღარ მოვყვები ამ ნაწილთა არსის განმარტებას და მათი გამოყოფით დაგკმაყოფილდები მხოლოდ. მეორე ნაწილი ასე იწყება: „ან რატომ სტირი“...; მესამე ასე: „ნულა გვაყოვნებ“...; მეოთხე ასე: „მის შუბლს ისეთი“...

XXIII

რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა ისე, რომ ჩემი სხეულის ერთ ნაწილს, ფრიად მძიმე სენი რამ შეუდგა, ასე რომ დიდხანს ვიტანჯებოდი უსასტიკესი ტკივილისაგან; და ამ ტკივილმა ისეთნაირად დამასუსტა და დამაძაბუნა, რომ უძრავად მდებარეს დამამსგავსა შეჭირვებულნი. მე ვამბობ, რომ მეცხრე დღეს, როცა თითქმის აუტანელი ტკივილი ვიგრძენ, ერთმა აზრმა შემძრა ანაზნად, და ეს აზრი ჩემს ქალბატონს შეეხებოდა. და მას შემდეგ, რაც ცოტახანს ვიფიქრე მასზე, კვლავ ჩემს ხრწნად სიცოცხლეზე ფიქრს მივუბრუნდი, და რა განვსჯვრიტე, რაოდენ მსწრაფლწარმავალია მისი ბუნება, არა მართო სნეულისა, მრთელისაც კი, ტირილი ვიწყე საკუთარი უმწილობის შეგნებით შეძრულმა. და ხმამალა ოხვრით ასე ვუთხარი თავს: „რადგან გარდღეული არ გარდავა, უთუოდ, უკეთილშობილესი ბეატრიჩეც მოკვდება-მეთქი ოდესმე“. ამ აზრმა ისე მიმილო ცნობა, რომ თვალები დავხუტე და ბოდვა ვიწყე შეთიანნივით. და აჰა, ჩემმა წარმოსახვამ, ბოდვის ბურუსში

ცთომილივით მოსეტიალემ, ჯერ თმაგაშლილი ასულები წარ-
მომიჩინა, რომლებიც ასე მეუბნებოდნენ: „შენც მოკვდები“ო.
ამ ასულთა შემდეგ მორიალე აჩრდილები გამომეცხადნენ,
უცნაურნი და ხილვად საზარნი, რომლებიც აგრე მიყიოდნენ:
„შენ მოკვდიო უკვე“. და ასე, ჩემს ცთომილ წარმოსახვას
აყოლილი, იქამდე მივედი. რომ აღარ ვიცოდი სად ვიყოფ-
ვოდი: მეჩვენებოდა, თითქოს ვკვრეტდი ბილიკზე მოთქმით
მომავალი ასულთ, თმაგაშლილთ და სასწაულებრივად მწუხა-
რეთ; მეჩვენებოდა, თითქოს მზე ჩაქრა და ვარსკვლავები ისე
მწუხარედ აკიაფდნენ ზეცის თავანზე, გეგონებოდათ, ტირიან-
ო უმზეოდ შთენილნი; მეჩვენებოდა, თითქოს ფრინველები
სეტყვასავით ცვიოდნენ ძირს და საზარლად იძროდა მიწა. და
ამ ხილვით შემცბარსა და შეძრწუნებულს ერთი ჩემი მეგობა-
რი გამომეცხადა, რომელმაც მითხრა: „ნუთუ არ იცი? დღეს
მიიცვალა შენი მზე, სოფლის მშვენება“. და მაშინ საწყალო-
ბლად ავტირდი მე, და ვტიროდი არა მარტო წარმოსახვაში,
ვტიროდი ცხადად და ვტიროდი ცხადი ცრემლებით. წარმო-
ვიდგინე, თითქოს ზეცას მივაპყარ თვალნი, და მოვიხილე ზეს-
ანელისკენ მიქცეულ ანგელოსთა დიდი სიმრავლე, რომელ-
საც უსპეტაკესი ღრუბლის ქულა უძღოდა წინ; და მომეჩვენა,
რომ ეგ ანგელოსნი ერთხმად გალობდნენ საგალობელს, რომ-
ლის სიტყვები თითქოს მკაფიოდ ჩამესმა ყურში: „Osanna
in excelsis!“¹ მეტი კი არა მსმენია რა, ვგონებ. და მაშინ ასე
მომმართა გულმა, ამდენი სიყვარულის სამყოფლომ: „ჭეშმა-
რიტად მკვდარი დევსო ჩვენი ქალბატონი“. და მომეჩვენა,
რომ წარვემართე, რათა მეხილა ნეშტი იგი, რომელიც ამ უნე-
ტარეს და უკეთილშობილეს სულს იმარხავდა; და ისეთი
მძლავრი იყო ჩემე მაცთური წარმოსახვა, რომ მართლაც

უსულოდ მდებარე წარმომიჩინა იგი. და მომეჩვენა, როგორ სუდრავდნენ თეთრი ქსოვილით მას ასულნი სახემწუხბარნი, ხოლო მის სახეს ისეთი ანგელოსური სიმშვიდე გადაჰფენოდა, თითქოს ამბობდა: „ვეზიარეო ჭეშმარიტი სიმშვიდის წყაროს.“ და, ჩემს მაცთურ წარმოსახვაში, მეც ისეთი სიმშვიდე ვიგრძენ, რომ ამ სიტყვებით მოვუხმე სიკვდილს: „აწ კი მოვედ, უტკბილესო სიკვდილო. მოვედ; მისმინე და მიმიღე მე! შენ ხომ მოწყალე ხარ და წმიდა, რადგან თვით სიწმინდისა და მოწყალეების შევლე ბჭენი. მოვედ, მომხედე შენსა მსურველს და შენსავე მსგავსს, რადგან, ხომ ხედავ, შენი ფერი მაძევს-მეთქი სახეზე უკვე“. და რა ვიხილე, რომ აღესრულა ყველა მწუხარე წესი, რასაც მიცვალებულის გასაპატიოსნებლად ასრულებენ ხოლმე, მეჩვენა, თითქოს კვლავ მივუბრუნდი ჩემს სენაკს, საიდანაც ზესკნელს მივაპყარ თვალნი. და ისე მძლავრი იყო ჩემი წარმოსახვით ხილული ხილვა, რომ ავტირდი და, ანატირმა, ჩემი ნამდვილი ხმით წარმოვთქვი ასე: „ეჰა, სულო დიდმშვენიერო, ნეტარ არს-მეთქი შენი მხილველი“. ესეც წარმოვთქვი და გულამოხვინჩვით მტირალმა კვლავ „მოვედ-მეთქი“ — მოვუხმე სიკვდილს, რომ ერთი კეთილშობილი ყმაწვილი ქალი, რომელიც სასთუმალთან მეჭდა და რომელსაც ეგონა საკუთარი სატკივარი მაკვნესებდა მხოლოდ, საწყალობლად ატირდა, შეძრწუნებული, და მის ტირილზე ჩემს სენაკში მყოფი სხვა ასულნიც მიხვდნენ, რომ მე ვტიროდი; ამიტომ მოკვივდნენ და მსწრაფლ წამგვარეს თანამლობელი, უახლოესი ნათესავი, სისხლი და ხორცი ჩემი². მერე კი მე მომიბრუნდნენ, თავს დამადგნენ და, რაკი ეგონათ სიზმარშიაო, ასე ჩამძახეს: „გაიღვიძე“ და „ნუ გეშინისო“. და ამ სიტყვებმა ზუსტად იმ მომენტში გამაწყვეტინეს ბოდვა, როცა

ვაპირებდი მეთქვა: „ო ბეატრიჩე, კურთხეულ იყავ-მეთქი უკუნისამდე“; ამიტომ მხოლოდ ამის თქმა მოვასწარი: „ო ბეატრიჩე“... — და ცნობას მოვეგე. თვალები გავახილე და გულისხმაყავ, რომ ვბოდავდი თურმე. და თუმცა ეს სახელი სულის სიდრმიდან აღმომსკდა თითქოს, ჩემი ხმა ისე გაებზარა ქვითინს, რომ ეგ ასულნი ალბათ ვერ გაიგებდნენ მას. მაგრამ მაინც სირცხვილეულ ვიქმენ, და მხოლოდ სიყვარულის შეგონებით ვიბრუნე პირი მათკენ. და რა მიხილეს, შეიცხადეს: „მკვდარს გავსო იგი“; მერე კი ასე უთხრეს ერთმანეთს: „ვცადოთ, იქნებ ნუგეში ვცეთო მას, სასომიხდილს“. ბევრი რამ მითხრეს სანუგეშებლად და, ბოლოს, — რამ შეგაკრთო, — მკითხეს. მაშინ, რა ცოტა მოვმჯობინდი და შევიცან ხილვის სიყალბე, აგრე მიეუგე მათ: „მაცალეთ, წვრილად გიამბობთ-მეთქი ყოველს“. და მართლაც დაწვრილებით მოვყე ყოველი და მაგ უკეთილშობილესის სახელი დავიდუმე მხოლოდ. და მერე, უკვე განკურნებულმა, გადავწყვიტე უთუოდ მეთქვა რაიმე მასზე, რაც ვინილე და რაც სასიამოვნოდ მიჩნდა სათქმელად. და ვთქვი კიდევ ქვემოთ მოყვანილი კანცონა:

კანცონა II

ერთი ქალწული, გულმოწყალე, შემკული სრულად
 ამქვეყნიური სიკეთით და მშვენიერებით,
 იდგა იქ, სადაც მე მალიმალ ვუხმობდი სიკვდილს;
 და რა ხედავდა მწუხარებით წარღვნილ ჩემს თვალებს
 და სიტყვას ჩემსას რა ისმენდა, ფუქს და ამაოს,
 გულამომჯდარი ქვითინებდა ჩემს სიახლოვეს.
 და ამ ქვითინზე დობილები მოდგნენ მწუხარედ

და ჩემი კმუნეის მოზიარე ჩუმაღ წამგვარეს.
მერე ჩემდამო შემოიქცნენ იგი ასულნი,
რომ ჩემთვის — სასომიხდლისთვის — ნუგეში ეცათ.
ერთი მეტყოდა: კირსა შიგან სიმაგრე გმართებს!
ხოლო მეორე: სასო რატომ წარგიყვეთია?
და მაშინ აღვდექ ბურანიდან და ვთქვი სახელი
მისი, ვის გამოც ვქვითინებდი გულამოსკენილი.

ისე მწუხარე იყო ჩემი აღმონათქვამი —
ხმაგაბზარული ტკივილით და ცრემლების ფრქვევით,
რომ მხოლოდლა მე შემომესმა მისი სახელი.
მაგრამ საყვარლის მოყენებამ ისეთი მწვავე
სინდისის ქენჯნა მაგრძნობინა, რომ სიყვარულმა
მყისვე იმათკენ მიმაბრუნა სირცხვილეული.
აღბათ უცნობოს მიწის ფერი მედო სახეზე,
რაკი ერთობლავ დაიკვილეს ზარდაცემულთა:
კედებო იგი, შივეშველოთ დღემოსწრაფებულს.
გულამოსკენილი მოსთქვამდნენ და ლაწვებს იხოკდნენ
და მე ბუნდოვნად ჩამესმოდა მათი გოდება:
გვამსენე, რასა კერეტ, რამ წაგილო, საბრალოვ, ცნობა?
და როცა ოდნავ მოვმჭობინდი და გონს მოვეგეე,
ვარქვი: ცოტახანს მაძალეთ და გიამბობთ ყოველს.

ვეკრეტდი ხრწანდისგან შემტკიცებულ სიცოცხლეს ჩემსას
და შევიცანი წარმავალი წუთისოფელი.
ატირდა მაშინ სიყვარული ჩემს დამკვნარ გულში
და გული ჩემი შეშფოთდა და შეძრწუნდა ფრიად,
და ესლა წარსთქვა, მწუხარებით ზარდაცემულმა:
მოვა დრო და შენს ქალბატონსაც დაშლის სიკვდილი.
და ამ სიტყვებმა მე ისეთი თავზარი დამცა,
რომ ჭაბანივით დამეხუჭა თვალები უმაღ.
მე ყველა გრძნობა მეყსიეულად გულს მომეცვითა
და შეიწრებულს მიმეხადა ცნობა სრულიად.
მაშინ მხოლოდლა გონებრივი ძალით განვკვირტე

ხილვა ასეთი: მოდიოდნენ ჩემსკენ ასულნი,
წყრომით მზირალნი და გალობდნენ ხმაშეწყობილად:
შენც მოკედებიო და ამ სოფლით გახვალო მალე.

მერე ზმანებამ ისე სრულად გარემოშიცვა,
რომ მე ვიხილე ათასგვარი საშინელება.
ვიხილე მხარე ჯერ უცნობი, სადაც ასულნი
თმაგაწეწილნი მიმორბოდნენ ტყის ბილიკებზე.
ზოგი ტიროდა, ხოლო ზოგთა მწუხარე კენესა
ნაპერწყლებივით ჰკვეთდა სქელ და მოქეფრულ ჰაერს.
მერე ვიხილე, როგორ ჩაქრა მზე და მთოვარე
და სანთლებივით ვით გაბრწყინდნენ წერილნი ვარსკვლავნი.
ტიროდა მზე და ვარსკვლავები, ტიროდა ზეცა,
და ფრინველები სეტყუვასავით ძირს მოსცვიოდნენ
და ირყეოდა შემზარავად სფერო ქვეყნისა.
ამ დროს, უეცრად, მომეკლინა ძაბუნი ვინმე
და ასე მითხრა: აქ რა გინდა, ნუთუ არ იცი,
მოკედა შენი მზე, ამა სოფლის მზე და მშენება.

ზეცას მივაპყარ მაშინ ცრემლით სავსე თვალები
და მოვიხილე ანგელოსნი, ცის მანანასებრ
ყოვლად სპეტაკნი, მიქცეულნი ზესკნელისაკენ.
წინ ღრუბლის ქულა მიუძლოდათ თეთრი ტრედევით...
და იგალობეს ანგელოსთა ერთხმად: ოსანა!
და რომ სხვა რამე ეგალობათ, გეტყოდით მასაც.
აქ სიყვარულმა დამიძახა და ასე მითხრა:
მოდი, იხილე ქალბატონის შენის ცხედარი!
და მაშინ ჩემმა წარმოსახვამ, ცრუმ და მაცდურმა,
მე წარმიტაცა იქ, სად ნეშტი ესვენა მისი.
და შორიანლო რა მივდექი — მე დავინახე
როგორ სულრაოდნენ მას ქალწულნი სახემწუხარნი,
ხოლო ის — წმიდა, მშვიდად იწვა, თითქოს ამბობდა:
ვეზიარეო სიმყუდროვეს და ნეტარებას.

და მაშინ ისე დამიამა მე — შექირებულს —
მისმა სიმშვიდემ, უმანკომ და ანგელოსურმა,
რომ გულს აღმომხდა: ო, სიკვდილო, ტკბილი ხარ ჩემდა,
და აგრე ტკბილი, წმიდაცა ხარ ამიერიდან,
რადგან სიწმიდის უზეშთესი ბჭეები შევლე,
და ცოფის ნაცვლად შეიმოსე შენ სიბრალული,
მომხედე, ტკბილო, შესავ მსურველს და შენსავე მსგავსს
და მეც, მისაებრ, სულთა სირას შემრთე, მალალო.
სიკვდილო, მოვედ, მე შენთვის და შენგამო მსურის!
მერე განეწორდი გლოვისა და ცრემლების ადგილს
და როს სავსებით განეშარტოვდი, ასე ვიუბნე
ცათა უსაზღვრო სასუფეველის მიმართ მზირალმა:
ნეტარ არს, სულო, მშვენიერი, შენი მხილველი!
ეს ვთქვი და თქვენმა სიბრალულმაც გამომაფხიზლა.

ეს კანცონა ორი ნაწილისგან შედგება: პირველში ერთს
ვინმეს მივმართავ და ვამცნობ, როგორ დამიხსნა ჩემი ფუჭი
ხილვისაგან კეთილშობილ ასულთა გულმოწყალებამ, და რო-
გორ აღვუთქვი მათ, დაწვრილებით გიამბობთ-მეთქი ყოველს;
მეორეში ვამბობ, როგორ აღვასრულე აღთქმა; მეორე ნაწილი
ასე იწყება: „ვჭკრეტდი ხრწნადისგან“... პირველი ნაწილი
ორად იყოფა: პირველში გადმოგცემთ მას, რასაც ამბობდა
ან იქმოდა ჩემი ბორგვის შემყურე რამდენიმე ასული ერ-
თად და ერთი ცალკე, რამდენადაც ეს წინ უსწრებს ბოდვის-
გან ჩემს გამორკვევას და გონს მოგებას; მეორეში კი, რომე-
ლიც ასე იწყება: „ისე მწუხარე იყო“... ვამბობ, რა მითხრეს
ამ ასულებმა მას შემდეგ, რაც თავი ვანებე ბოდვას. მერე,
როდესაც ვამბობ: „ვჭკრეტდი ხრწნადისგან“..., ვამბობ, რო-
გორ ვუამბე მათ ჩემი ხილვა. მეორე ნაწილი ორად იყოფა:
პირველში თანმიმდევრობით ვყვები ჩემს ხილვას, მეორეში

კი ვამბობ, რა დროს მიხმეს და გამომაფხიზლეს, და მადლობას ვწირავ მათ; ხოლო ეს ნაწილი ასე იწყება: „ეს ვთქვა და“...

XXIV

ამ ბორგნეული ხილვის შემდეგ მოხდა ისე, რომ, ერთგან მჭდარმა და ფიქრში წასულმა, ვიგრძენი, როგორ ათრთოლდა გული, ათრთოლდა ისე, როგორც მაგ უკეთილშობილესის ახლოს თრთოდა მხოლოდ. და მაშინ, ვამბობ, გამომეცხადა სიყვარულის წმიდა ხატება, გამომეცხადა ზუსტად იმ მხრიდან, სადაც ქალბატონი მეგულებოდა ჩემი, და მომეჩვენა, თითქოს სინხარულით მითხრა გულშიგან: „განიგულე აკურთხო დღე იგი, როცა მე გეუფლე შენ, რადგან ჭერ-არსო შენდა კურთხევა მისი“. და მართლაც, მომეჩვენა, თითქოს ისეთი სინხარულით აღმევსო გული, რომ მე ვკვირობდი დიდად: „ჩემი გული მიცემს-მეთქი მკერდში თუ სხვისი?“ და მას შემდეგ, რაც ეგ სიტყვები სიყვარულის ენით მაუწყა გულმა, დიდხანს არ გაუვლია, რომ ვიხილე ჩემსკენ მომავალი ერთი კეთილშობილი და მშვენებით სრული ასული, რომელსაც ეს ჩემი პირველი მეგობარი¹ ეტრფოდა ოდესღაც. ხოლო სახელი ამ ასულისა იყო ჯოვანნა, მაგრამ მისი სილამაზის გამო — როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ, — მეტსახელად პრიმავერა ეწოდა მას და ასეც იწოდებოდა იგი. და მის მიმართ პირმიქცეულმა საკვირველ ბეატრიჩეს მოვკარი თვალი: ჯოვანნას მოაცილებდა; და როცა გვერდით ჩამიარეს, მომეჩვენა, თითქოს სიყვარული კვლავ ამეტყველდა ჩემს გულში და ასე მომმართა: „პირველს პრიმავერა ეწოდება მხოლოდ მისი დღევანდელი გამოცხადე-

ბის გამო, რადგან სახელმძღვანელო მავ ულამაზესს ჩემი ჩაგონებით უწოდა პრიმავერა, რაც ნიშნავს „პირველი მოვა“² და მოვა იმ დღეს, როცა ბეატრიჩე ბოდვის შემდეგ პირველად მოევილინება ერთგულის თვისის მზერას. ხოლო თუ გამოწველილვით განიხილავ მის ნამდვილ სახელს, ნახავ, რომ ის მასვე ნიშნავს, რასაც პრიმავერა, რადგან „ჯოვანა“ იმ იოანესგან წარმოსდგება, რომელმაც წინაუწრო კეშმარიტ ნათელს; ხომ გახსოვს: Ego vox clamantis in deserto: parate viam Domini“³. და კიდევ მომეჩვენა, თითქოს, ეს რომ მითხრა, სხვა სიტყვებით მომმართა მერე: „ხოლო გამოწველილვით განიხილველი იმასაც ნახავს, რომ ბეატრიჩეს სიყვარული უნდა ეწოდებოდეს უცილოდ, ისე მგავსო იგი“. და როცა ეგ სიტყვება კარგად გავიაზრე, გადავწყვიტე ჩემი პირველი შეგობრისთვისაც შემეცნო ისინი (რა თქმა უნდა, ზოგიერთს გარდა, რომელთა გამჟღავნება არ ეგებოდა), რადგან ვფიქრობდი, რომ მის გულს კვლავინდებურად ატყვევებდა ამ კეთილშობილი პრიმავერას მშვენიება. და ამ მიზნით ვთქვი ეს სონეტი:

სონეტი XIV

მე ვიკრძენი და შევიცანი გულის სიღრმეში,
 ვით გაიღვიძა სიყვარულის მთელემარე სულმა;
 მერე კი ისიც დავინახე — ჩემსკენ ვიღოდა,
 მაგრამ ისეთი მხიარული, რომ ძლივს ვიცანი.

ღომილით მითხრა: თაყვანი მეც მე — უფალს შენსას,
 და იცინოდნენ და მღეროდნენ მცხი სიტყვები.
 მე მოწინებით მივეგებე და იმ მხრისაკენ
 პირმიქცეულმა, საიდანაც ის მომევილინა,

თვალი მოვკარი მონა ვანას და მონა ბიჩეს⁴

ჩენსკენ მომავალთ — სასწაული ჭერ არნახული
თავისსავე ჭუფთ სასწაულთან მოაბიჯებდა.

და, თუ არ ვცდები, ასე მითხრა აქ სიყვარულმა:
ერთს პრიმავერა — გაზაფხული ეწოდებო, ხოლო მეორეს — იმდენად მგავს, სიყვარულიო.

ეს სონეტი რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რომელთაგან პირველი ამბობს, როგორ გაიღვიძა ჩემს გულში სიყვარულის მთვლემარე სულმა და რა მხიარული მეჩვენა შორით მომავალი სიყვარული; მეორე ამბობს, რა მითხრა მან გულშიგან და როგორი მეჩვენენ მისი სიტყვები; მესამე ამბობს, რა ვიხილე და ვისმინე მას შემდეგ, რაც სიყვარული მომეახლა, ჩემი უფალი. მეორე ნაწილი ასე იწყება: „ღმილით მითხრა“...; მესამე ასე: „მე მოწიწებით“...; მესამე ნაწილი ორად იყოფა: პირველში ვამბობ, რა ვიხილე, ხოლო მეორეში — რა მესმა; და ეს ნაწილი ასე იწყება: „და, თუ არ ვცდები“...

XXV

აქ შეიძლება შეეპყვდეს კაცი, ღირსი იმისა, რომ ყოველგვარი ექვი განუფანტონ, შეეპყვდეს და ექვის თვალთ შეხედოს მას, რასაც სიყვარულისთვის ვამბობ, რადგან, ერთის შეხედვით, ჩემი სიტყვები თითქოს ისე წარმოგვიდგენენ სიყვარულს, როგორც არსს თავის თავში, და არა მარტო როგორც გონებრივ სუბსტანციას, არამედ, როგორც სხეულებრივისაც. მაგრამ ეს აზრი ქეშმარიტად მცადრი აზრია, რადგან სიყვარული სუბსტანცია კი არაა, აქტიდენტია სუბსტანციაში. ხოლო ის, რომ მე ვლაპარაკობ სიყვარულზე, როგორც სხეუ-

ლზე და არა მარტო როგორც სხეულზე, მეტიც, როგორც კაცზე, უშუალოდ გამომდინარეობს სამი რამისგან, რასაც მე ვამბობ მასზე. რადგან, ჯერ ერთი, მე ვამბობ, რომ ვიხილე, როგორ მომეახლა იგი; მაგრამ რაკი „მოახლება“ ლოკალურ მოძრაობას გულისხმობს, ხოლო ლოკალურად, როგორც ფილოსოფოსი¹ გვიმოწმებს, სხეული მოძრაობს მხოლოდ, ისე გამოდის, თითქოს მე სხეულად მივიჩინე მას. მერე, მე იმასაც ვამბობ, იცინოდა და მღეროდა-მეთქი იგი, და, რაკი ორივე ეს აქტი, განსაკუთრებით კი სიცილი, კაცისეულია მხოლოდ, მკითხველმა შეიძლება იფიქროს, თითქოს კაცად ვსახავდე მას. ეს გაუგებრობა რომ დროზე ავიცილოთ თავიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, რომ ძველად ხალხურ ენაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა სიყვარულის ქებად, რადგან პროეტები ლათინურად უმღერდნენ მას. და ეს იმიტომ, რომ ჩვენში (თუმცა შეიძლება სხვა ხალხებშიც მომხდარიყო და ახლაც ხდებოდეს ის, რაც საბერძნეთში მოხდა ოდესლაც) სახალხო მთქმელთა კი არაა, სწავლულ მგოსანთა საქმედ ითვლებოდა სიყვარულის ქება. და დიდ დროს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც პირველად გამოჩნდნენ ის მელექსენი, რომელნიც ხალხურ ენაზე წერენ; მელექსენი-მეთქი, ვამბობ, იმიტომ რომ ხალხურ ენაზე რითმის შეწყობა თითქმის იგივეა, რაც ლათინურად ლექსების თხზვა. ხოლო იმის უტყუარ საბუთად, რომ დიდ დროს არ გაუვლია, ისიც ივარგებს, რომ ვერც „ოც“-ისა და ვერც „si“-ს ენაზე², ბევრიც ეძებოთ, ვერას პოოვებთ ისეთს, რაც შეთხზვის დღიდან საუკუნენახევარზე მეტ ხანს ითვლიდეს. და თუ ზოგმა უმეცარმა მგოსნის სახელი მოიხვეჭა, ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ მათ ყველაზე უმაღლ დაიწყეს „si“-ს ენაზე წერა. ხოლო პირველმა პროეტმა,

რომელმაც ხალხურ ენას მიჰმართა, ძველ ენაზე მიტომ აიღო ხელი, რომ უკეთ გაეგებინებინა საყვარელი ქალისთვის ის, რის თქმა სურდა, რადგან მას, ალბათ, გაუჭირდებოდა ლათინური ლექსების გაგება. და ამას მათდა განსაქიქებლად ვამბობ, რომელნიც სხვა რამეზე წერენ და არა სიყვარულზე, რადგან ხალხურ ენაზე თხზვის მიზეზიც და მიზანიც სიყვარული იყო იმთავითვე. და რაკი თხზვისას პოეტები უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, ვიდრე პროზაიკოსნი, ხოლო რითმის ეგ შემწყობელნიც ხალხურ ენაზე მთხზველი პოეტები არიან და სხვა არაფერი, ამიტომ მართებული იქნება, ისინიც მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე სხვა შემოქმედნი, რომელნიც ხალხურ ენაზე წერენ. ამიტომ თუ რომელიმე რიტორიკული ფიგურის ანდა ხერხის ხმარება დასაშვებია პოეტთათვის, დასაშვებია უნდა იყოს მათთვისაც. და თუ ჩვენ ვხედავთ, რომ ძველი პოეტები ისე მიმართავდნენ უსულო საგნებს, როგორც გრძობიერ და გონიერ არსებებს; თუ ისინი მეტყველების ნიჭით აჯილდოებდნენ მათ, და არა მართო რეალურთ, არამედ არარეალურთაც; და თუ, ბოლოს, ისე ალაპარაკებდნენ აქციდენტებს, როგორც სუბსტანციებს და კაცებს, რატომღა უნდა წავართვათ ამის უფლება ახალთ? ოღონდ ეგაა, რომ ამ უფლებას ბოროტად კი არ უნდა იყენებდნენ ისინი, რეგვენთა მსგავსად, არამედ კეთილგონიერულად, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს მათი განმარტება პროზად. ხოლო იმის მაგალითად, რომ ძველი პოეტები მართლაც ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ჩვენ ვთქვით, ვერგილიუსი გამოგვადგება, რომლის „ენეიდაში“ იუნონა, ტროელთა მტერი ქალღმერთი, აგრე მიმართავს ეოლუსს, ქარების უფალს: „Aeole, namque tibi...;

ხოლო ეს უკანასკნელი ასე პასუხობს მას: „Tuus, o regina, quid optes“... იქვე, „ენეიდას“ მესამე წიგნში, უსულო საგანი ასე მიმართავს სულიერო: „Dardanidae duri“...; ლუკანუსი, პირიქით, სულიერ საგანს ათქმევინებდა უსულოთათვის: „Multam, Roma, tamen debes civilibus armis“. ჰორაციუსთან კაცი ისე ესიტყვება საკუთარ ცოდნას, თითქოს სხვას მიმართავდეს ვისმე; გარნა ჰორაციუსი მარტო თავისას კი არ ამბობს, კეთილი ჰომეროსის სიტყვებს იმეორებს თითქოს თავის „Poetria“-ში: „Dic mihi, Musa, virum“...⁴; ხოლო ოვიდიუსის „Remedia Amoris“-ში სიყვარული ისე მსჯელობს, კაცი გეგონება სწორედ: „Bella mihi, video, bella parantur, ait“. ამ მაგალითებმა ყოველგვარი ეჭვი უნდა განუფანტონ მას, ვინც შეაქროთ და შეაეჭვა ჩემი პატარა წიგნის ზოგიერთმა ადგილმა. მაგრამ, რაკი მათ შეიძლება უმეცარნიც წააქეზონ, ვიტყვი, რომ ასე არც ძველი პოეტები თხზავდნენ უმიზეზოდ და არც ახალთ უნდა თხზან, სანამ თავისსავე თავში რაიმე გამართლებას არ მოუძებნიან სათქმელს. რადგან დიდ სირცხვილს ჰამდა ის, ვინც რიტორიკული ფიგურებით შემოსავდა სათქმელს და მერე, როცა სთხოვდნენ, ვერ შეძლებდა მსგავსი სამოსისგან განეძარცვა და, ამრიგად, მთხოველთათვის შეუფარავი სახით წარედგინა თქმული. ხოლო ეს ჩემი პირველი მეგობარი და მე, მერწმუნეთ, ბევრს ვიცნობთ აგრე უმსგავსოთა და შორი-შორთა მთქმელთ⁵.

XXVI

ამ უკეთილშობილესმა ასულმა, რომელზედაც ზემორე ითქვა, ისეთი პატივი მოიხვეჭა კაცთა შორის, რომ როცა ქუ-

ჩაში გამოჩნდებოდა, ქალაქის ერნი სრულად მისკენ მოისწრა-
ფოდნენ და იქით-აქათ იჯრებოდნენ: „ვუჭკვრიტოთო ამას რუ-
ლად“. ხოლო მე უცნაური სიხარული მეუფლებოდა ამის შემ-
ყურეს. და როცა გვერდით ჩაუვლიდა ვინმეს, ამ უკანასკნელს
ისეთის კრძალვით ევსებოდა გული, რომ ვერ ბედავდა, თავი
აეწია და თვალი გაესწორებინა მისთვის ან სალმითვე ეპასუხა
სალამზე. და ბევრს, ვისაც თვით განუცდია ეს, ძალუძს მი-
მოწმოს მის წინაშე, ვისაც არ სჯერა ჩემი. ასე მილიოდა ის,
სიმდაბლისა და მორჩილების შარავანდით მოსილი, და წა-
მითაც არ ამქლავებდა ამპარტავნებას იმის გამო, რასაც ხე-
დავდა ან ისმენდა გზად მიმავალი. და, რა ჩაივლიდა, აგრე ამ-
ბობდა ბევრი: „ქალი კი არა, ცის ერთი უმშვენიერესი ანგე-
ლოსიაო ჭეშმარიტად“. ხოლო სხვანი სასწაულს ამსგავსებდ-
ნენ მას და ამბობდნენ: „კურთხეულ იყოსო სასწაულმოქმე-
დება უფლის“. და, მართლაც, მისი კეთილშობილებისა და
სრულქმნილების მკვერეტელთ ისეთი წმიდა და უბიწო სიტყ-
ბოებით ევსებოდათ სული, რომ, ალბათ, სიტყვით ვერც გამო-
სთქვამდნენ მას. არ მახსოვს, ვინმეს ეხილა და ოხვრა არ აღ-
მოეტევებინა მყისვე. ასეთი იყო, და არა მარტო ასეთი, მისი
სასწაულებრივი ზემოქმედება. და როცა ბევრი ვიფიქრე ამა-
ზე, მისი ქების განგრძობის სურვილით აღძრულმა, გადავწყუ-
ვიტე, მიახლოებით მაინც გადმომეცა სიტყვებით მისი ზე-
ბუნებრივი და სასწაულებრივი ზემოქმედების ზოგი ეფექტი,
რათა არა მარტო მის თვითმხილველთათვის, სხვათათვისაც
მემცნო ის, რაც შეიძლება სიტყვებმა იტვირთონ და დაიტეონ
ჩემმა. და ვთქვი ქვემოთ მოყვანილი სონეტი:

სონეტი XV

ისე სათნოა და ისეთი კდემამოსილი
მოსალმებისას ქალბატონი ჩემი სულისა,
რომ მის წინაშე კაცთა ენა მუნჯდება კრძალვით
და თვალს ვერავინ ვერ უსწორებს მის შარავანდელს.

მიდის იგი და უკან ქება მისდევს მკვრეტელთა,
მიდის სიწმინდე-სათნოებით გარემოსილი
და გეგონება, ანგელოსი ჩამოდის ზეციით,
რომ სასწაულით განაცვიფროს მოკვდავთა გული.

უქვრეტს კაცი და თვალისჩინი ხარებით თვრება
და გულიც ხარობს ნეტარებით, რომლის სავსებას
ვერვინ შეიცნობს, თუ არ მისი თვალთმხილველი.

ხოლო მის სახეს, მის ნათელ და ღვთაებრივ სახეს
ნათლითვე მოსავეს სიყვარულის შარავანდელი,
თითქოს მეტყველი ჩვენდა მომართ: ხამს ტიროდეთო.

ზემორე თქმულის წყალობით ეს სონეტი ისე ადვილი
გასაგებია, რომ არავითარ დაყოფას არ საჭიროებს.

XXVII

როგორც ზემოთ ვთქვი, ამ ასულმა ისეთი პატივი მოიხვე-
ჭა კაცთა შორის, რომ არა მარტო მას აქებდნენ და აღიღებ-
დნენ, მისითაც იქებოდნენ და იღიღებოდნენ ბევრნი. და მე,
ამ ახალი სასწაულის მოწმეს, მომესურვა მეთქვა სიტყვები,
რათა სხვათათვისაც მემოწმებინა მისი სიწმინდე. და ვთქვი
ეს სონეტი, რომელიც გვამცნობს, როგორი იყო მისი სათნოე-
ბის ზემოქმედება სხვებზე:

სრულქმნილებას ჰკრეტს იმის თვალი, ვინც ჩემს ქალბატონს
 ასულთა შორის მოიხილავს, ხოლო ის, ვისაც
 პატივი ეგო, მას ხლებოდა თუნდ ერთის წამით,
 ამ პატივისთვის გულმხურვალედ მადლობს შემოქმედს.

ისე სათნოა და უმანკო მისი მშვენება,
 რომ ის არათუ შურს არ აღძრავს დობილთა შორის,
 არამედ მათაც სიყვარულის დიდებით მოსაავს,
 მოსაავს სიწმიდით, კდემითა და სარწმუნოებით.

წინაშე მისა კრძალვით იხრის ქედს მზვავობარც,
 და მის მშვენებას ეგე თუმცა დიდად ამშვენებს —
 კიდევ უფრო დიდ პატივს აგებს ყველა ჩვენგანსაც.

საქმენი მისნი ისერიგად მადლიანია,
 რომ ძნელი არის გაიხსენო მათი სიქველე
 და სიყვარულის ცეცხლი გულზე არ შემოგეგზნოს.

ეს სონეტი სამი ნაწილისგან შედგება: პირველში ვამბობ, ვის შორის ჩნდა ჩემი ქალბატონი თვით სრულქმნილებად; მეორეში ვამბობ, როგორ პატივს უყოფდა მხლებელთ: მესამეში ვამბობ, რა იყო ის, რითაც სასწაულებრივად ზემოქმედებდა სხვებზე. მეორე ნაწილი ასე იწყება: „ხოლო ის, ვისაც“...; მესამე ასე: „ისე სათნოა“... ეს უკანასკნელი ნაწილი სამად იყოფა: პირველში ვამბობ, როგორ ზემოქმედებას ახდენდა იგი დობილებზე უშუალოდ; მეორეში ვამბობ, როგორ ზემოქმედებას ახდენდა მათზე სხვების მეშვეობით; მესამეში ვამბობ, რომ მისი ზემოქმედება ვრცელდებოდა არა მარტო მის დობილებზე, არამედ ყველაზე უკლებლივ, და რომ ზემოქმედებდა არა მარტო თავისი სიახლოვით, მართ ოდენ ხსოვ-

ნითაც კი. მეორე ნაწილი ასე იწყება: „წინაშე მისა“...; მესამე ასე: „საქმენი მისნი“...

X X V I I I

ამის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს მე დავფიქრდი მასზე, რაც ჩემი ქალბატონის სიწმინდისა და სათნოებისთვის ვთქვი, ესე იგი ამ ორ ზემორე მოყვანილ სონეტზე; დავფიქრდი და რა გულისხმაყავ, რომ არა მითქვამს რა იმ ზემოქმედებისთვის, რასაც ის ახდენდა ჩემზე, არასრულქმნილი მეჩვენა თქმული. ამიტომ გადავწყვიტე მეთქვა სიტყვები, რათა გამემჟღავნებინა, როგორ ვუმზადებდი თავს მის კურთხეულ ზემოქმედებას და რას იწყევდა მისი სათნოება ჩემში. და რაკი არ მქონდა იმის იმედი, რომ სონეტის სიმოკლეში ჩავტევდი სათქმელს, ისევ კანცონას ფორმა ვირჩიე და ასე დავიწყე იგი:

კანცონის ხბროზი

მე ისე დიდხანს ვიყავ მონა სიყვარულისა
და ბოლოს, ისე შევეჩვიე მონებას მისას,
რომ რამდენადაც გულქვა მიჩნდა თავდაპირველად,
აწ იმდენადვე მლმობელი და ნაზი მეგულვისი.
და ამიტომაც, როს მხნეობას წარმიღებს იგი
და ყველა ჩემი გრძნობა ჩემგან ილტვის უნებურ,
მაინც ისეთ მწველ სიტკბობას განიცდის ჩემი
დალლილი სული, რომ მკვდრის ფერი შედება მყისვე.
და მერე მიტევს სიყვარული ისეთი ძალით,
რომ სულთქმა-ოხვრის წყაროდ მაქცევს და ვუხმობ შაშინ
ქალბატონს ჩემსას, მყუდროება რომ დამიბრუნოს.
ასეა მუდამ, მაგრამ მუდამ ამოდ ვშერები,
და მე არ ვიცი, რა ვუწოდო ამ შემოქცევას,
თუ არა ჭრეთ განუცდელი საკვირველება.

„Quomodo sedet sola civitas plena populo! Facta est quasi vidua domina gentium“¹. მე ჟერ კიდევ ამ კანტონას თხზვაში ვიყავი და ის იყო გავასრულე ზემორე მოყვანილი სტანსი, როდესაც არსთა გამრიგემ-სასუფეველის კარად იხმო ეგ უკეთილშობილესი, რათა სასუფეველის დედოფლის. წმინდა ქალწულის აღმის ქვეშ (ვის სახელსაც ასეთის მოწინებით წარმოსთქვამდა ხოლმე ნეტარი ბეატრიჩე) მარადიული დიდებით შეემოსა იგი. და თუმცა უადგილო არ იქნებოდა, ალბათ, მისი ამ სოფლით განსვლისთვისაც გვეთქვა რაიმე, მართალი გითხრათ, არ ვაპირებ აქ ამის თქმას და არ ვაპირებ სამი რაინის გამო: ჟერ ერთი, იმიტომ რომ, ეგ არც დამისახავს თხრობის საგნად, და ამაში თავად დარწმუნდებით, თუ ინებებთ და შესაფაღს ჩახედავთ, რომელიც წინ უძღვის ამ პატარა წიგნს; მეორეც, იმიტომ რომ, სულერთია, თუნდაც დამესახა, მაინც ვერ შევძლებდი თავისი მიმეგო მსგავსი საგნისთვის; და, ბოლოს, იმიტომ რომ, პირველი ორი მიზეზიც რომ არ მიზეზობდეს, მაინც არას ვიტყოდი მისთვის, რადგან თუ ვიტყოდი, თავის ქებასაც ვიტყოდი, ალბათ, ხოლო თავის ქებას თავსლაფის დასხმა მიჯობს. ამიტომ, დაე, სხვამ მოგიტხროთ, როგორ მიიცივალა იგი, მე კი დავიღუბებ ამას. მაგრამ რაკი რიცხვი ცხრა არაერთგზის შეგვხვედრია ზემოთ, რაც მოწმობს, რომ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა, და რაკი ეგ რიცხვი ამ სოფლით მის განსვლასთანაც წილნაყარია, უთუოდ უნდა ითქვას ის, რაც უშუალოდ უკავშირდება ჩვენი თხრობის საგანს. ამიტომ ჟერ ვიტყვი, როგორი იყო მისი წილი მაგ უკეთილშობილესის განსვლაში და მერე მოგახსენებთ, რით აიხსნება ის, რომ ევ რიცხვი განუყრელი მეგობარით მიწყვი თან სდევდა მას.

მე ვამბობ, რომ რომაული წელთაღრიცხვის მიხედვით მისი უკეთილშობილესი სული თვის მეცხრე დღის პირველ საათზე გაეყარა სხეულს, ხოლო სირიული წელთაღრიცხვის მიხედვით — წლის მეცხრე თვეს; რადგან პირველი თვე იქ ტისმინია¹, რომელიც ჩვენს ოქტომბერს შეესაბამება. და, ბოლოს, ჩვენი, ესე იგი ქრისტიანული წელთაღრიცხვის მიხედვით, ქორიკონის ზუსტად იმ წელს, როცა უსრულქმნილესი რიცხვი² მეცხრეჯერ გასრულდა იმ ასწლეულში, რომელშიც ის იშვა ქვეყნად; ხოლო ის მეცამეტე საუკუნის ქრისტიანეთაგანი იყო³. მაგრამ მოვეშვათ ამას და ვთქვათ, რა იყო იმის მიზეზი, რომ ეგ რიცხვი განუყრელი მეგობარივით მიწყვივ თან სდევდა მას: რადგან პტოლომესა და ქრისტიანული ჭეშმარიტების თანახმად ცხრაა მოძრავ ცათა რიცხვი, ხოლო საყოველთაო ასტროლოგიური აზრის თანახმად ზემორე ხსენებული ცანი, ჩვეულებრივ, ერთად ზემოქმედებენ ამ ჩვენს მიწაზე, ეგ რიცხვი მიტომ თან სდევდა მას, რათა ემოწმებინა, რომ მისი შობისას ცხრავე მოძრავი ცა უსრულქმნილესი ერთობით ერწყმოდა ერთმანეთს. მაგრამ თუ საკითხს უფრო გამოწვლილვით და აბსოლუტური ჭეშმარიტების თანახმად განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ეგ რიცხვი თვით ის იყო, სხვა არაფერი. და მე მისი და ცხრის მსგავსების საფუძველზე ვასკენი ამას, ხოლო მსგავსება ასე მესმის მათი: რიცხვი სამი ცხრის ფესვია; რადგან თვინიერ რომელიც გნებავთ სხვა რიცხვისა, მართ ოდენ თავის თავზე გამრავლებული იძლევა ცხრას, და, მართლაც, ხომ ცხადია, რომ სამჯერ სამი ცხრა არის მხოლოდ. მაშასადამე, თუ სამი თავისთავად ცხრის მოქ-

მედია, ხოლო სასწაულთმოქმედი თავისთავად არის სამება, ესე იგი მამა, ძე და სული წმიდა; ანუ სამი და ერთი, ამ ასულსაც რიცხვი ცხრა მიტომ თან სდევდა მიწყვივ, რათა ემო-წმებინა, რომ ის იყო ცხრა, ანუ სასწაული, რომლის ფესვი სოცარი სამებაა მხოლოდ. და თუმცა უფრო ღრმად მხედმა, შესაძლოა, უფრო ღრმა და ფარული მიზეზიც იხილოს აქ, მაგ-რამ ესაა ის, რასაც მე ვხედავ და რაც უმეტეს ყოვლისა მო-მწონს.

XXXI

მას შემდეგ, რაც ეგ უკეთილშობილესი სული ასე მოულო-დნელად გაეყარა თავის მშვენიერ სხეულს, ზემორე ხსენებუ-ლი ქალაქი ქვრივს დაემსგავსა და ოხერს, ყოვლგნით ხელ-აღუპრობელსა და ყოველი ღირსებისგან განძარცვულს. და მაშინ, ამ უნუგეშო და უსიხარულო ქალაქში ჯერ კიდევ ტი-რილად მჯდარმა, მისი უსასოებისათვის წიგნი რამ მიუუწერე მანდაურ წარჩინებულთ და იერემია წინასწარმეტყველის სი-ტყვებით დავიწყე იგი: „Quomodo sedet sola civitas“. ხოლო ამას იმისთვის ვამბობ, რომ არ გაიკვირონ, რატომ მოვიყვანე იერემიას სიტყვები, როგორც ერთგვარი რამ შესავალი თხრო-ბის ახალი საგნისა, რასაც მომდევნო თავები გამოგვიჩინებენ მალე. და თუ ვინმე მისაყვედურებს, რატომ არ მოგყავს ის სიტყვები, რომლებიც უშუალოდ მოსდევნო უკვე მოყვა-ნილთ, თავს იმით ვიმართლებ, რომ ვიტყვი: იმთავითვე იმას ვაპირებდი, ხალხურად მეთქვა-მეთქი ის, რის თქმაც მსურდა და არა სხვაგვარად. და რაკი ყველა სიტყვა, რომელიც მოყვა-ნილთ მოსდევს, ლათინურია, ცხადია, ისე ვერ მოვიყვანდი

მათ, რომ შთანაფიქრისთვის არ მეღალატნა. და, ვიცი, ამავე აზრისა იყო ეს ჩემი პირველი მეგობარი, რომელსაც ამას ვწერ; ესე იგი, მისი აზრითაც, ხალხურ ენაზე უნდა მეწერა მხოლოდ.

XXXII

მას შემდეგ, რაც ჩემმა თვალებმა, შეძლებისამებრ, გამოიტირეს ის და ისე მოიქანცნენ ტირილით, რომ აღარ შეეძლოთ მწუხარება გაექარებინათ ჩემთვის, გადავწყვიტე, ეახებით სავსე სიტყვებით მაინც გამექარებინა იგი. ამიტომ ვცადე, მეთქვა კანცონა, რათა, საწუთრო-გაცულებულს, გამომეგლოვა ის, ვისთვისაც ასე სასტიკმა ტკივილმა ლახვარივით განმინა გული. და ვთქვი მაშინ: „გულისტკივილმა და გულისვე წარე ობლობამ“... რათა ეს კანცონა გასრულების შემდეგ ვრივი ჩანდეს და ობოლი, მას მანამ დავყოფ, სანამ დავწერდე, და, აქედან მოკიდებული, აგრე ვიქმ ქვემოთაც. მე ვამბობ, რომ ეს სვეგამწარებული კანცონა სამი ნაწილისგან შედგება: პირველი შესავალია; მეორეში მისთვის ვგლოვობ და ვგოდებ; მესამეში სიბრალულით სავსე სიტყვებით მივმართავ კანცონას; მეორე ნაწილი ასე იწყება: „აწ ბეატრიჩეს სული ბრწყინავს“...; მესამე ასე: „აწ განვედ ჩემგან“... პირველი ნაწილი სამად იყოფა: პირველში ვამბობ, რა მაუბნებს და მალაპარაკებს; მეორეში ვამბობ, ვის მიმართ მინდა ვიუბნო; მესამეში ვამბობ, ვისთვის მინდა ვიუბნო; მეორე ნაწილი ასე იწყება: „და როს ვიგონებ“...; მესამე ასე: „მინდა მივეუბნა“... მერე, როდესაც ვამბობ: „აწ ბეატრიჩეს სული ბრწყინავს-მეთქი“, მისთვის ვგოდებ და ამ გოდებას ორი ნაწილი ეძღვნება: პირ-

ველში ვამბობ, რამ წარგეტაცა იგი; მეორეში ვამბობ, როგორ დასტირიან მას სხვები; და ეს ნაწილი, რომელიც ასე იწყება: „შემოიძარცვა“..., თავის მხრივ, სამად იყოფა კიდევ: ზირველში ვამბობ, ვინ არ დასტირის მას; მეორეში ვამბობ, ვინ დასტირის, მესამეში კი ჩემს უსასოებას აღვწერ; მეორე ნაწილი ასე იწყება: „რადგან ტირილი“...; მესამე ასე: „ჰოი, ვითარი“... და, ბოლოს, როდესაც ვამბობ: „აწ განვედ ჩემგანმეთქი“, ჩემს კანცონას მივმართავ და მივანიშნებ, ვის მიაშუროს და ვისთან დარჩეს.

კანცონა III

გულისტკივილმა და გულისვე მწარე ობლობამ
იმდენი ცრემლი აღვრევიან ჩემს ბედშვე თვალებს,
რომ ლამის ჩინი დამეშრიტა მღულარებისგან.
აწ თუჯი მინდა განვიქარვო ცოტათი მაინც
კმუნვა, რომელიც სიკედლის ბქეს მიმწურავს მალე,
სხვა გზას ვერ ვხედავ მე — უცნობო — გოდების გარდა.
და როს ვიგონებ, მხოლოდ თქვენთან რომ ვუგალობდი,
სათნო ასულნო, მის სიწმინდეს და სათნობას,
როდესაც იგი მზუხუხვი და დღეგრძელი იყო, —
არც ახლა მინდა სხვას მივმართო, არამედ ისევ
თქვენს ასერიგად ღმობიერ და მოწყალე გულებს —
მინდა მივეუბრა, ვით გაგვშორდა ანაზღეულად
მშვეენება იგი, რომ ნეტართა სირას შერთვოდა
და ვით დააგდო სიყვარული დაობლებული.

აწ ბეატრიჩეს სული ბრწყინავს ზესკნელის კართან,
იქ, სადაც ნათლით ხარობს წმიდა ანგელოსთ დასი —
მათთვის, მათ გამო მიგატოვათ, სათნო ასულნო!
არა სიცივემ უთმინარმა წარგეტაცა იგი
და არა სიცხემ, — ასე მხოლოდ სხვები კვდებიან,

არა — სიწმინდე იყო მისი წასვლის მიზეზი, ვისმა უსაზღვრო დიდებამაც ზესკნელს უწია და განაბრწყინა ზეცის ბქენი იმგვარის ძალით, რომ თვით უფალი საუკუნო სასუფეველში განაცვიფრა და უტკბილესი ნდობა აღუძრა — თავისთან ეხმო სათნოების უშრეტი წყარო; და იხმო კიდევ რაკი მისმა მაღალმა ნებამ ასე ინება: არა ღირს ვართ ჩვენ, მიწიერნი, ეგზომ სიწმიდეს და დიდებას აქ ვიმარხავდეთ:

შემოიძარცვა მშვენიერი შესამოსელი ზეგარდმო მაღლით შემკობილმა უმანკო სულმა და მიაშურა უმშვიდეს და უშფოთველ სადგურს. მის არმგონებელთ, გულის ნაცვლად ქვა უდევთ მეკარღში, ბიწიერებით შებღალული ბუნება ახლავთ და უვით ისევ იმ ბიწითვე შესვრილი სული. იყოს ის თუნდაც მაღლად მხედი, — ბრმა და ხენეში თუკია გულით, ვერ მისწვდება სიწმიდეს მისას და თუ ვერ მისწვდა, მას, გულბნელი ვერც დაიტირებს, რადგან ტირილი, საღმობა და უსასოება, გლოვა და ზარი, ვება და მიუსაფრობა ამ საწუთროში წილად მხოლოდ იმას რგებიან, ვისაც გულისხმით შეუცვნიან, აზრით განუხვამს მისი ყოფნა და განტევენა ამა სოფლიდან.

ჰოი, ვითარი მწუხარებით მეცსება გული, ოდეს ვიგონებ იმ ნეტარი ქალწულის სახეს, ვინც ასე მტკიცედ დამიბეჭდა სულის კლიტენი. და ხშირად, როცა გონს სიკვდილის მიმართ ვიუნჯებ, იმგვარის ძალით მომინდება მისი სტუმრობა, რომ სახეშეშლილს ერთიანად შეცვლება ფერი. ხოლო როდესაც უკვე წასულ დღეებს ვიგონებ, ყოველი მხრიდან სევდა ისე გარემომიცავს, რომ მისგან დახსნის მოწადინეს, არა მაქვს ღონე

თავის დახსნისა და ძლეული პირქვე ვემზობი.
თავგზადებნულს, მე კაცთაგან სირცხვილი მდევნის,
მაგრამ სული კვლავ ბეატრიჩეს უხმობს ტირილით
და ასე გოდებს: ო, უკვდავო — შენ მოკვდი — მზეო,
თუმცაღა აქაც მეფინები და გულს მიმხნევენ.

ცრემლი და ოხვრა, მწუხარება და სიმძიმე
ყველგან თანამდევს, სადაც უნდა ვიარებოდე
და სიბრალულით იმსკვალება ჩემი მკვრეტელი.
ხოლო მას აქეთ, რაც მარტო და უსაგნოდ დავრჩი,
წუთისოფელი სვეწამხდარი რად გადამქეცა —
ვერ აღმოიტყვის კაცთა ენა შეუქირებლად.
და ამის გამო, საყვარელო, სათნო ასეულნო,
კიდევ რომ მსურდეს, ვერ გეტყვოდით, რა ვარ აწ, — ისე
გაუდაბურდა ჩემი მწირი წუთისოფელი.
ო, არა მხოლოდ მან — უებრომ, არამედ ყველამ
დამაგდო, რათა მარტომ ვზიდო, მარტომ ვათრიო
ამ საწუთროში მარტოსულის კრული სიციცხლე.
მაგრამ შეისმენს ჩემს ვაებას და არ გამწირავს
მისი მაღალი, მოწყალე და მღმობელი სული.

აწ განვედ ჩემგან, ცრემლიანო ჩემო კანცონავ,
წადი და ჰპოვე ის ასულნი და ბანოვანნი,
რომელთ წინაშე, სხვა დროს, შენი პირმოცინარი
უფროსი ღებები მხოლოდ შვებას თუ მოიტანდნენ.
და შენ, მკმუნეარე და უსახურ დღეთა ასულო,
იქნებ იქ მაინც — უნჯგეშოს — გცენ ნუგეშინი.

XXXIII

მას შემდეგ, რაც ეს კანცონა ვთქვი, მოულოდნელად მეწ-
ვია ვიღაც, ვისაც, მეგობრობის ხარისხთა მიხედვით, უგული-
თადეს მეგობრად ვთვლიდი, უშუალოდ ჩემი პირველი მეგობ-

რის შემდეგ და ვინც ისე ახლო ნათესავად ერგებოდა იმ დიდებამოსილს, რომ უფრო უახლოესი არავინ ჰყავდა მას¹. და როცა ერთმანეთი მოვიკითხეთ, მან მთხოვა, რამე შემეთხზა მისთვის ერთი ახლად მიცვლილი ყმაწვილი ქალის მოსახსენებლად. მაგრამ ისე გადაკვრით მთხოვა, თითქოს სხვა ასულს გულისხმობდა მართლაც, ცოტა ხნის წინათ მიცვლილს. ხოლო მე, რა გულისხმაყავ, რომ ის იმ კურთხეულს გულისხმობდა მხოლოდ, აღვუთქვი, შეგისრულებ-მეთქი სათხოვარს. და შემდეგ, ამაზე გონდაუნჯებულმა, გადავწყვიტე მეთქვა სონეტი, რათა ჩემი უსასოება ჩამექსოვა შიგ და ამ ჩემი მეგობრისთვის მიმეცა მერე, თითქოსდა მართლა მისთვის შეთხზული. და ვთქვი მაშინ: „ჰე, მოდით, გულნო“... ეს სონეტი ორი ნაწილისგან შედგება: პირველში სიყვარულის ერთგულთ ვუხმობ და ვთხოვ მისმინონ, მეორეში კი ჩემს უსასო ყოფნას აღვწერ; და ეს ნაწილი ასე იწყება: „ცრემლიღა დამრჩა“...

სონეტი XVII

ჰე, მოდით, გულნო, მოიხილეთ თქვენის წყალობით
ჩემი წუხილი, წყაროსაებრ გამომდინარი;
ცრემლიღა დამრჩა ნუგეშინად, თორემ უთუოდ
გამათავებდა მწუხარება შეუწყერელი.

და ვინაიდან, უფრო ხშირად, ჩემი თვალები
არ აწვიმებენ მდულარებას — მე ვიდაგები.
ახლა მქირდება ხმამალაი სულთქმა-გოდება,
რომ სულს ოდნავი შეება მაინც განვატღევირო.

გესმით, რა ხშირად უხმობს ჩემთა თვალთ მდულარება
ქალბატონს ჩემსას, ვისი სახეც, დღეს უფრო მეტად
ღირსეულს — გრძელ და საუკუნო სამყოფელს ამკობს.

ო, როგორ სწყევლის მარტოსულის სიციოცხლეს იგი,
სიციოცხლეს მისას, ვისი მარადმკმუნნეარე სული
განწირულია, რაკი დარჩა ამ საწუთროში.

X X X I V

მას შემდეგ, რაც ეს სონეტი ვთქვი, დაფიქრდი იმაზე, თუ რად მოხვდებოდა იმ დიდებამოსილს ის, ვისთვისაც უნდა მიმერთმია ჩემი სონეტი, თითქოსდა მართლა მისთვის შეთხზული; დაფიქრდი და ელდა მეცა, რადგან უბადრუკი მეჩვენა ჩემი სამსახური და უფერული. ამიტომ, ვიდრე მას ზემორე მოყვანილ სონეტს მივცემდი, კანცონას ორი, ორად ორი სტანსიც ვთქვი: ერთი, ამჯერად, მართლაც მისთვის, მეორე — ჩემთვის. თუმცა მას, ვინც გამოწვლილვით არ განიხილავს ერთსაც და მეორესაც, შესაძლოა, ერთი და იმავე პირისთვის შეთხზულნი ეჩვენონ ისინი. გამოწვლილვით განმხილველი კი ნახავს, რომ ერთში სხვა პირი ლაპარაკობს და სხვა — მეორეში. ასე, ერთი თავის ქალბატონს უწოდებს მას, მეორე კი, როგორც აშკარად ჩანს, არა. ეს სონეტი და ეს კანცონა ერთად მივეცი მას და ვუთხარი, მხოლოდ შენთვის შევთხზე-მეთქი ისინი. კანცონა, რომელიც ასე იწყება: „როდესაც ვფიქრობ დამაშვრალი“..., ორი ნაწილისგან შედგება: ერთში, ესე იგი პირველ სტანსში, ჩემი ძვირფასი მეგობარი, მისი სისხლი და ხორცი გოდებს; მეორეში კი, ესე იგი მეორე სტანსში, რომელიც ასე იწყება: „და ყველა ჩემი სიმძიმელი“..., ჩემი გოდება ისმის. ამრიგად, აშკარაა, რომ ამ კანცონაში ორი პირი გოდებს: ერთი — როგორც ძმა, მეორე კი — როგორც მსახური.

როდესაც ეფიქრობ დამაშვრალი, რომ ვერასოდეს
 ველარ ვიხილავ მას, სათნოს და სახემშეწინიერს,
 მწუხრდება სული უკუნიითი უკუნიისამდე
 და ამავე ფიქრით შემუსვრილი ჩემი გონება
 იმდენ სატკივარს და საკმუნავს მიგროვებს გულში,
 რომ ვიტყვი: „რალას კოკმანებ და არ კვდები გულო?
 აკი საწუთრო — შენი მტერი, ჯერ კიდევ იმდენ
 ტანჯვას გიქადის, რომ ძრწის მთელი შენი არსება,
 ძრწის და ისევე ძრწოლას უნდა მიეცეს, გულო!“
 და მე გულბნელი კვლავ მოკუხმობ მრავალმოწყალებ
 სიკვდილს, — ჩემს მეოხს და ტკბილ მოყვასს, ნუგეშინს
 ჩემსას

და გულმხურვალედ ვევედრები: „მოვედ სიკვდილო,
 შენგან დახსნილთა მომანიჴე ხვედრი კეთილი!“

და ყველა ჩემი სიმძიმელი, კმუნვა, გოდება
 ერთმანეთს ერთვის და გროვდება იმ აღმოკვენსად,
 მარადღე სიკვდილს რომ მოუხმობს — ყოვლის შემუსვრელს
 სიკვდილს, რომლისად მიდრკა ჩემი ტანჯული სული.
 მასაჴეთ, რაც მე ქალბატონი ჩემი სულისა
 მისი სასტიკი ხელმწიფების ძალამ წამართვა,
 მშვიდი, უბიწო და უხრწნელი მისი მშვენება;
 რაც გაგვეცალა და გასცილდა ჩვენს თვალთა მზერას,
 იქცა უხორცო და ზეციურ მშვენებებად
 და სამყარონი სიყვარულის მზით გაანათა.
 ამბორის ყოფით მიესალმა იგი ვარსკვლავეთს,
 ციურნი დასნი განაბრწყინა და განაკვიფრა
 თავად გონება ანგელოსთა — ყოვლისმომცველი.

იმ დღეს, როდესაც გასრულდა წელიწადი, რაც ეს ახალი საუკუნო სოფლის მოქალაქეთა მოდასე გახდა, მე ვიჯექი ერთგან და, მისი მგონებელი, ანგელოსს ვხატავდი ყვითელ ღურცლებზე. ხატვით გართულმა ვილაციის მზერა ვიგრძენი და როდესაც ზე ავიხედე, დავინახე რამდენიმე საპატიო დარბაისელი, რომლებიც უჩუმრად წამომდგომოდნენ თავს და ასევე ჩუმად მიმზერდნენ მე. და, როგორც მერე მეუწყა, თურმე რახანია აგრე იდგნენ, მე კი ვერ ვამჩნევდი მათ. ხოლო როდესაც შევამჩნიე, ზე წამოვიკერ, მივესალმე და ასე ვუთხარა მათ: „ვილაც იყო ახლახან ჩემთან და მიტომ ჩავფიქრდი-მეთქი“. და, რა გამეცალნენ, ჩემს საქმეს მივუბრუნდი ისევ, ესე იგი, ანგელოსის სახეთა ხატვას. ხოლო როდესაც ხატვას მოვრჩი, გადავწყვიტე მეთქვა სიტყვები (თითქოსდა წლისთავის აღსანიშნავად) და იმ დარბაისელთათვის მიმეძღვნა ისინი, რომელნიც აგრე უჩუმრად წამომადგნენ თავს. და ვთქვი ნაშინ ქვემოთ მოყვანილი სონეტი, რომელიც ასე იწყება: „გამომეცხადა“... ამ სონეტს ორი დასაწყისი აქვს და ამიტომ ორივე დასაწყისის მიხედვით დავყოფ მას. მე ვამბობ, რომ, პირველის მიხედვით, ეს სონეტი სამ ნაწილად იყოფა: პირველში ვამბობ, რომ გამომეცხადა მშვენიერი მისი ხატება; მეორეში ვამბობ, რა მიყო სიყვარულმა მისი გამოცხადების შემდეგ; მესამეში ვამბობ, რა ქნა მან; მეორე ნაწილი ასე იწყება: „და სიყვარულმა“...; მესამე ასე: „თვალს მიეფარნენ“...; ეს ნაწილი ორად იყოფა: პირველში ვამბობ, რომ ყველა ჩემი სულთქმა გოდებით გამშორდა მე; მეორეში ვამბობ, როგორ მოსთქვამდა ზოგი მათგანი; მეორე ნაწილი ასე იწყება: „ხო-

ლო უფრორე“... და ასევე იყოფა ის მეორე დასაწყისის მიხედვითაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ პირველ ნაწილში ვამბობ, როდის გამომეცხადა მისი ხატება, მაშინ როდესაც პირველი დასაწყისის პირველ ნაწილში არ ვამბობ ამას.

სონეტი XVIII

პირველი დასაწყისი

გამომეცხადა მშვენიერი ხატება მისი,
ვისი სიწმინდეც სათნო ეყო ცათა მუუფეს,
რომელმაც წმიდას საუკუნო საეანე ისევე
წმიდათა შორის დაუმკვიდრა — ღვთისმშობლის გვერდით.

მეორე დასაწყისი

გამომეცხადა მშვენიერი ხატება მისი,
ვის გამოც ტირის სიყვარული, ობლად შთენილი,
გამომეცხადა იმავ წუთში, როცა მისმავე
სათნობამ თქვენც — უნებურად, კვრეტად გაქციათ.

და სიყვარულმა, რა იხილა ხატება მისი,
კვლავ გაიღვიძა ჩემს მწირსა და უღაბურ გულში
და ყველა სულთქმას ამნაირად მიმართა: გასწით,
გამშორდით აწვე... და ისინიც გამშორდენ უმალ.

თვალს მიეფარნენ ისერივად საწყალობელი
ხმით მოტირალნი, რომ ვეებით დამამერალ კაცსაც
სისხლიან ცრემლებს მოსწურავედა ის ხმა თვალთაგან.

ხოლო უფრორე მწუხარნი და სევდით მოკლულნი
ასე მოსთქვამდნენ: ეჰა, სულო კეთილშობილო,
უკვე გასრულდა წელიწადი, რაც ზეცად აღხდი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ერთგან ვაჭეკი და, ფიქრში წასული, წარსულის მოგონებით ვიქცევიდი თავს, ისეთმა მწარე სევდამ შემბიპრო, რომ მხილველს, ალბათ, შორითვე შესძრავდა ჩემი შემზარავად მწუხარე სახის ხილვა. და რა შევიცან ჩემი სასოწარკვეთილება, თვითონვე შევძრწუნდი და ზეავიხედე შემკრთალმა: „ხომ არავინ მიყურებს-მეთქი უსასოქმნილს“; და დავინახე ერთი სათნო და საყვარელი ყმაწვილი ქალი, რომელიც ისეთის სიბრალულით მიმზერდა სარკმლიდან, გეგონებოდათ, მთელი საწუთროს სიბრალული მოუქცევიათ მზერაში! და რაკი ლმობილს თანამლმობელის მზერა მყისვე ტირილად აღძრავს ხოლმე, ვიგრძენი, როგორ ამიწყლიანდა თვალები და, რათა საკუთარი სიმდაბლე და სულმოკლეობა არ მეჩვენებინა სხვისთვის, დაუყოვნებლივ გავეცალე მაგ კეთილშობილის მზერას. და მერე ავრე ვუთხარი თავს: „როგორ იქნება, ამ მოწყალე ასულთან უკეთილშობილესი სიყვარული არ იყოფეოდეს-მეთქი?“ ამიტომ გადავწყვიტე მეთქვა სონეტი, რათა, მის მიმართ მტირალს, შიგ მოშექცია ყველაფერი, რაც გადმოგეცით; მაგრამ რაკი ის, რაც გადმოგეცით, სავსებით ნათელია, ამიტომ აღარ დავყოფ ამ სონეტს, რომელიც ასე იწყება: „მაშინ იხილეს“...

სონეტი XIX

მაშინ იხილეს თვალთა ჩემთა ღრმა სიბრალული, თქვენ რომ სახეზე აღგებულათ, სათნო ასულო, როცა უმზერდით ჩემს ქცევას და სულის გამწირველ უნუგეშობას, ტანჯვითა და ტკივილით შობილს.

რას ემსკვალოდით, ახლა მივხვდი, მაგ სიბრალულით — ჩემს კირს უსაზღვროს, ჩემს სიცოცხლეს სასოწარკვეთილს; და მყისვე ძრწოლამ ამიტანა, ვაითუ მზერით განვაეცხადე-თქო მთელი ჩემი უბედურება.

და გავეცალეთ, რადგან ვიგრძენ თქვენზე ლობობით და სიბრალულით კვლავ შეძრული — აღმოსკდებოდა გულს მღუღარება და ცრემლებად დამედვრებოდა.

და მაშინ ასე ვარქვი ჩემს სულს, მარადმკმუნვარეს: ო, კეშმარიტად, ამ ასულთან ვალს სიყვარული, რომელიც დღემდე სისხლდათხეულ ცრემლს მაწურავინებს.

XXXVII

მერე, მოხდა ისე რომ სადაც არ უნდა დავენახე ამ ასულს, ღრმა სიბრალულით მემსკვალოდა და ფითრდებოდა, თითქოსდა ნამეტნავი სიყვარულისგან: რითაც ჩემს უკეთილშობილეს ქალბატონს მაგონებდა ხშირად, რომელიც მისებრ ფერმიხდილი მეჩვენებოდა მე. და მართლაც, ხშირად, როცა არც ტირილის თავი მქონდა და არც სევდის განქარებვისა, ჩემი მშვენიერი თანამღმობელისკენ მიმიწევდა გული, რადგან მისი ერთი შემოხედვაც კი სისხლდათხეულ ცრემლს მაწურავინებდა მყისვე. ამიტომ მომესურვა მეთქვა სიტყვები — მის მიმართ მეთქვა. და ვთქვი სონეტი, რომელიც ასე იწყება: „არც სიყვარულის ფერი“... და რომელიც ზემორე თქმულის წყალობით დაუყოფლადაც გასაგებია.

სონეტი x x

არც სიყვარულის ფერი, არცა ღრმა სიბრალული,
ქერ არასოდეს აღბეჭდვია სახეზე ქალწულს —

სხვათა ვაების და და ვარამის შორიდან მკერეტელს,
ისე თვალნათლივ, აშკარად და გულიანომწვეულად,

როგორც თქვენ, როცა ჩემს სიმძიმის იზიარებდით.
და ეგე ფერი და უმეტეს, ეგ სიბრალული,
მის თავს მაგონებს და მე თქვენგან ძლეული ვშიშობ,
რომ ქირს ესოდენს ვერ გაუძლებს დაღლილი გული.

მე აღარ ძალმიძს, ჩემს ნახევრად დაშრეტილ თვალებს
თქვენი ყურება ავეჯრძალო, რაკი მათ, ბედკრულთ,
სურთ ერთხელ კიდევ მოიხონ ტირილით გული.

და თქვენ ისე ზრდით ამ ისედაც უსაზღვრო სურვილს,
რომ არაფერი აღარ რჩებათ ამ ნდომის გარდა;
მაგრამ ვაი რომ თქვენს წინაშე ვერც იტირებენ.

XXXVIII

ამ ასულის მღმობელმა მზერამ, ბოლოს და ბოლოს, იმ-
დენი ქნა, რომ აქამდე ცრემლთა მნთხეველი თვალნი ახლა
სიხარულით მენთებოდნენ, როცა მას ვხედავდი ხოლმე. რის-
განაც მწარედ მელმოდა ხშირად და ყოვლად-ზრწნილება-
ქმნილად მიმაჩნდა თავი. მალიმალ ვგმობდი თვალთა ჩემთა
ამაოებას და აგრე ვაყვედრიდი გულშიგან მათ: „იყო დრო,
როდესაც ცრემლებს აწურვინებდით თქვენი უსასოების მზი-
რალთ; ახლა კი, ვაგლახ! ჩანს, გწყურიათ დაივიწყოთ სასო-
წარკვეთა, დაივიწყოთ მისი გულისთვის, ვინც ასეთის სიბრა-
ლულით გემსჭვალავით თქვენ; გარნა, თუ აგრე გემსჭვალავით,
მხოლოდ იმიტომ რომ იმ დიდებამოსილსვე გლოვობს, რო-
მელსაც საწყალობლად დასტიროდით უსასოქმნილნი. მაგრამ

ჰქმენით, რაც შეგიძლიათ, წყეულნო თვალნო; მე კი მალი-
 მალ მოგაგონებთ მას, და გმობით გეტყვით, რომ არაფერს,
 თვინიერ სიკვდილისა, არ უნდა შეეშრო თქვენთვის მდულა-
 რების ცრემლთა ნაკადი“. და როცა გულშიგან ამ სიტყვებით
 მივმართე მათ, უმწარესი სულთქმა-უში ვამრავლე და ვამრა-
 ვალწილე. და რათა ეგ სასტიკი ბრძოლა, საკუთარ თავს რომ
 გაეუმართე, საცნაურ-ქმნილიყო არა მარტო იმ სვეგამწარე-
 ბულისთვის, რომელმაც გადაიხადა იგი, გადავწყვიტე მეთქვა
 სონეტი და შიგ მომექცია ჩემი შემზარავი მდგომარეობა. და
 ვთქვი სონეტი, რომელიც ასე იწყება: „ო, თვალნო ჩემნო“...
 ეს სონეტი ორი ნაწილისგან შედგება: პირველში ჩემს თვა-
 ლებს მივმართავ, და მივმართავ ისე, თითქოს მე კი არა, ჩემი
 გული მიმართავდეს მათ თვით ჩემშივე; მეორეში, ეკვის
 განფანტვის მიზნით, ვამყლავნებ, ვინ მიმართავს ასე ჩემს თვა-
 ლებს; ეს ნაწილი ასე იწყება: „ამგვარად ამბობს,“... და თუმ-
 ცა შეიძლებოდა ამ სონეტის უფრო წვრილ ნაწილებად და-
 ყოფა, მაგრამ ეს ზედმეტი დაწვრილმანება იქნებოდა მხო-
 ლოდ, სხვა არაფერი, რადგან, ზემორე თქმულის წყალობით,
 ის ისედაც გასაგებია.

სონეტი XXI

ო, თვალნო ჩემნო, ეს მდულარე ცრემლთა ნაკადი,
 მასზე მტირალებს გიშრის ღარით რომ დავდიოდათ,
 აღვრევინებდა ცრემლებს სხეებსაც, რაკი საღმობით
 შესძრავდა მათ გულს და ეს თქვენც ხომ ბევრჯერ გინახავთ.

დღეს კი მგონია, უცილობლად დაივიწყებდით
 მის ნათელ ხსოვნას, — მეც რომ თქვენებრ ორგული ვიყო

და ნებას გრთავდეთ არ გახსოვდეთ იგი, ვის გამოც
ცხარე ცრემლებს ღერით აწ გულუხვად და უშურველად-

ასეთი ცბის და პირფერობის მკვრეტს და შემყურეს,
თქვენსავე მაგიერად მაშინებს და ღიდალ მაძრწუნებს
თქვენდამი ღმობით მაკქერალი ქალწულის სახე.

რადგან მეგონა, ვერასოდეს დაგავიწყებდაი,
თავად სიკვდილიც, გარდასულის წმიდა ხატებას...
ამგვარად ამბობს ჩემი გული და მწარედ ოხრავს.

XXXIX

ამ ასულის მღმობელმა მზერამ სიკვდილად მიწურვილს
კვლავ სიცოცხლისკენ მიქცია პირი, და, ალბათ, ამიტომ იყო,
რომ ისე ხშირ-ხშირად ვიგონებდი მას, როგორც საყვარელს
იგონებს კაცი. ხოლო როდესაც ვიგონებდი, აგრე ვეუბნებო-
დი თავს: „აჰა, მომეგლინა მშვენიერი, კეთილშობილი, ნორჩი
და ბრძენი ასული, და, შესაძლოა, მომეგლინა სიყვარულის
მალალი ნებით, რათა სიმშვიდე კპოვოს-მეთქი ბორგნეულმა
სიცოცხლემ ჩემმა“. და ბევრჯერ კიდევ უფრო გარდამეტე-
ბული სიყვარულით ვიგონებდი ჩემს თანამღმობელს, ისეთით,
რომ გული თანაუგრძნობდა მას, ესე იგი ამ მოგონებას. გარ-
ნა, თანაუგრძნობდა თუ არა, მყისვე საპირისპირო გრძნო-
ბა ილვიძებდა შიგ, და მაშინ, თითქოს გონების ხმით აღძრუ-
ლი, აგრე ვეუბნებოდი თავს: „ვაგლახ, ეს რა ქვენა აზრი
აგეკვიტა, რომელიც, ბუნებისაებრ თვისისა, ისე ქვედამზი-
დველი ნუგეშით ცდილობს განუგეშოს, რომ ყოველგვარი სიწ-
მინდისგან გარემიგაქცევს-მეთქი“. მაგრამ აქ უკვე სხვა აზრი

იღვიძებდა ჩემში და ასე მეუბნებოდა მე: „ახლა, როდესაც აგრე გელმის და აგრე ძრწი, რატომ არ გასურს თავი დააღწიო ამ საღმობას და ძრწოლას? ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეს სიყვარულის სული ჰქრის შენსკენ, რომელიც მიჯნურთა უთვალავი სურვილით გავსებს და რომელიც დასაბამს იღებს იმ ღმობიერის მართალ თვალთაგან, რომელსაც ასე ეღმიანო ტკივილნი შენნი?“ და, აჰა, საკუთარ თავთან აგრე სასტიკი ბრძოლით დაღლილს, მომესურვა ამაზედაც მეტქვა რაიმე. და რაკი აზრთა ამ ჰიდილში გაიმარჯვეს მათ, რომელთაც ჩემი მშვენიერი თანამღმობლის მხარე ეჭირათ, საჭიროდ ვცანი, მის მიმართ მეტქვა ის, რის თქმაც მსურდა. და ვთქვი ქვემოთ მოყვანილი სონეტი, რომელიც ასე იწყება: „ერთი სათნო და საყვარელი“... მაგრამ თუ ვამბობ „სათნო და საყვარელი“-ნეთქი, მხოლოდ იმიტომ რომ კეთილშობილი ასულის მიმართ ვამბობ, თორემ, სხვაფრივ, სათნო და საყვარელი კი არა, უბილწესი იყო და უსაძაგლესი. ამ სონეტში ჩემს თავს ვაორებ, ჩემი ორად გაყოფილი აზრების მსგავსად. პირველ მეორედს გულს ვუწოდებ, ანუ გულისთქმას, ხოლო მის ჭუფთს—ცნობას, ესე იგი გონების ხმას; და ვამბობ, როგორ ესიტყვება ერთი მეორეს. ხოლო ის, თუ რატომ ვუწოდებ გულს გულისთქმას, ხოლო ცნობას—გონების ხმას, ვფიქრობ, საკმარად ცხადი უნდა იყოს მათთვის, ვისთვისაც ვისურვებდი ცხადმყოფო ეს. მართალია, წინა სონეტში, თვალების წინააღმდეგ, გულს ვუქვერ მხარს, რითაც, თუ ქვემოთ მოყვანილი სონეტის არსს გავითვალისწინებთ, ჩემსავე თავს ვეწინააღმდეგები თითქოს; მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ „გულს“ იქნაც „გულისთქმის“ მნიშვნელობით ვხმარობ, რადგან მაშინ ჩემი უკეთილშობილესი ქალბატონის მოგონება ჯერ კიდევ უფრო მე-

ტად მსურდა, ვიდრე ჩემი თანამლმობელის ხილვა; თუმცა, რაც მართალია მართალია, ამის სურვილი უკვე მქონდა, გარ-
ნა არც ისე ძლიერი და აწინდელივით თითქმის წინააღმდეგობე-
ლი: აქედან ჩანს, რომ წინა სონეტი არ ეწინააღმდეგება ამ
უკანასკნელს, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება: პირველ-
ში ამ ასულს მივმართავ და ვამბობ, რომ მისკენ ილტვის მთე-
ლი ჩემი ნებასურვილი; მეორეში ვამბობ, როგორ ესიტყვება
ცნობა, ანუ გონების ხმა, გულს, ესე იგი გულისთქმას; მესა-
მეში ვამბობ, რას პასუხობს ეს უკანასკნელი მას; მეორე ნაწი-
ლი ასე იწყება: „ხოლო გულს ცნობა“...; მესამე ასე: „და მა-
შინ გული“...

სონეტი X XII

ერთი სათნო და საყვარელი, თქვენით პირამდე
ავსილი აზრი, ისე ხშირად მეწვევა ხოლმე,
და ისე ტკბილად მოუბარობს სიყვარულისთვის,
რომ ზოგჯერ გულსაც, ჩემს მკვდარ გულსაც კი ეწინდება.

ხოლო გულს ცნობა ეუბნება: „ვინ არის იგი,
დამწყნარებელი ბორგნეული ჩვენი გონების?
ო, ნუთუ ისე ძლიერია მისი სიქველე,
რომ ძალუძს ყველა სხვა გულისთქმა განაძოს ჩვენგან?“

და მაშინ გული ეტყვის ცნობას: „საღმობით საესევე,
ეგ სიყვარულის უებარი სული მეწვევა
და მომიტანა უთვალავი ნებასურვილი.

და მთელი მისი სიქველე და ძალმოსილება
დასაბამს იღებს ღმობიერის მართალ თვალთაგან,
მისგან, ვის ჩვენი ტყვილები ასე ეღმინან“.

გონების ამ ურჩისა და წინააღმდეგომის საპირისპიროდ, ერთ მშვენიერ დღეს, დაახლოებით ცხრა საათზე, აღდგა ჩემში ძღვეამოსილი ხილვა, და მომეჩვენა, თითქოს ვიხილე დიდებამოსილი ბეატრიჩე, იმავე ძოწისფერი სამოსით მოსილი, რომლითაც პირველად მოევიღინა ჩემს შხერას, და ისევე ჩჩვილი და უპასაკო, როგორც მისი პირველი, სიყრმისდროინდელი, გამოცხადების ჟამს. და მაშინ მასზე ფიქრს მივეც თავი; და როდესაც თანმიმდევრობით გავიხსენე წარსულის ტკბილსახსოვარი დღენი, გულმა მწარე სინანულით იწყო იმ ცოდვილი სურვილის მონანიება, რომელსაც, გონების სიმტკიცისა და ერთგულების მიუხედავად, მონის მორჩილებით ჰმონებდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ხოლო მას შემდეგ, რაც დაითრგუნა ეგ ცოდვილი და ბილწი სურვილი, მთელი ჩემი სურსება, მთელი ჩემი სული და გული მაგ უკეთილშობილესი ბეატრიჩეს მიმართ მიიქცა. და აქედან მოყოლებული, ვამბობ, ისეთი სირცხვილეული გულით ვიგონებდი მას, რომ ოხვრანი ხშირად ამჟღავნებდნენ ამ მტანჯველ გრძნობას, რადგან, გულის სიღრმიდან აღმომსკდარნი, თითქოს ხმამაღლა აღმოიტყოდნენ მას, რასაც გული გლოვობდა ჩემი, ესე იგი, მაგ უკეთილშობილესის სახელს და ამა სოფლით მისი განსვლის მწუხარე ამბავს. და ხშირად ისე მწარე იყო ეს მოგონება, რომ ვივიწყებდი მას, და, არა მარტო მას, ვივიწყებდი, საღვიყავ თავად. ოხვრათა ამ განახლებამ უკვე ნახევრად გამშრალ ცრემლთა ღვრაც განმიახლა, ასე რომ ჩემი თვალები ორ არსს დაემსგავსნენ, ერთადერთი სურვილით — ტირილის სურვილით სულდგმულთ; და ხშირად, აგრე ცრემლმეუწრობელთ,

სისხლისფერი წრეები ერთყმოდათ გარს, უსასტიკესი წამებით ვნებულთა მსგავსად. აქედან ჩანს, რომ ამაოების მათის სანაცვლოდ საკადრისი მუქაფა მიეზლო მათ. ამიტომ უკვე ველარ ბედავდნენ ექვრიტათ მისთვის, ვის მზერასაც შეეძლო მსგავსი ბოროტებისკენ მიექცია ისინი. და მაშინ გადავწყვიტე მეთქვა სონეტი, რათა ისე მომეთოკა და მომეკვეთა ეგ ბილწი ლტოლვა და ფუჭი მცდელობა, რომ არავითარი ექვი აღარ აღეძრათ ზემორე მოყვანილ ჩემს ლექსებს, და, თანაც, მოკლედ გამომეცა იმისი არსი, რაც ჩემგან გესმით. და ვთქვი კიდევ: „ვავლახ, ამდენი ქვითინით და ამდენი მოთქმით“...; ხოლო ამ „ვავლახით“ მიტომ ვივავლახე, რომ ჩემი თვალების სიბილწემ და ამაოებამ მარცხვინა. ამ სონეტს ნაწილებად არ ვყოფ, რადგან, ზემორე თქმულის წყალობით, ის ისედაც გასაგებია.

სონეტი XXIII

ვავლახ, ამდენი ქვითინით და ამდენი მოთქმით,
რომელთა მზრდელი ისევ ჩემი ვაება არის —
აწ ძლეულ იქმნენ თვალნი ჩემნი, მღმობელთა მზერას
ისინი ერთი წამითაც კი ველარ უძლებენ.

თვალთა მაგიერ თითქოს ორი სურვილი მესხდეს: —
გოდებისა და სატყვიარის გამეღვენებისა,
და ორივენი ისეთ ცხარე ცრემლებს აფრქვევენ,
რომ სიყვარული მათ მოწამის გვირგვინებს აღვამს.

ჩემი ამდენი სიმძიმელი, კმუნვა, გოდება,
გულში გროვდება და იწურვის ისეთ სიმწარედ,
რომ იქ ტკივილი მუსრავს ნებას სიყვარულისას.

რადგან კმუნვით და სიმძიმით ვიმარხავ გულში
უტკბილეს სახელს ჩემი სულის ქალბატონისა
და ამჟ სოფლით მისი განსვლის მწუხარე ამბავს.

XLI

ამ საშინელი შფოთის შემდეგ (მაშინ, როდესაც მსხემთა დიდი სიმრავლე მიეშურებოდა იმ კურთხეული ხატის მოხილვად¹, რომელიც თავისი უმშვენიერესი სახის მსგავსებად დაგვიტოვა იესო ქრისტემ, ვის დიდებასაც სუფევით უქვერეტს პირისპირ დიდებამოსილი ბეატრიჩე) მოხდა ისე, რომ რამდენიმე მსხემს მოვკარი თვალი, იმ ქუჩაზე მიმავალთ, რომელიც ორად ჰყოფს ქალაქის გულს, სადაც იშვა, ცხოვრობდა და მიიცივალა უკეთილშობილესი ასული. და მომეჩვენა, თითქოს მწუხარე აჩრდილებივით მიუყვებოდნენ გზას. და მაშინ, მათმა მკვერეტმა, აგრე ვთქვი გულში: „ეგ მსხემნი შორით მომავალთ ჰგვანან და არა მგონია, ბეატრიჩეს სახელი სმენოდეთ, ან მისი ამა სოფლით განსვლის ამბავი; როგორც ჩანს, სხვაგანა ჰქრის მათი გონება; ვინ იცის, იქნებ შორეულ მეგობრებსაც იგონებენ, რომელთაც ჩვენ არ ვიცნობთ-მეთქი“. შერე აგრე ვუთხარი თავს: „და, მართლაც, ჩვენი მეზობელნი არ უნდა იყვნენ, თორემ ოდნავ მაინც შეუტკრებოდნენ ამ მგლოვიარე ქალაქში გავლას“. და, დასასრულ, ასე დავსძინე: „მე რომ შემეძლოს, ცოტა ხნით მაინც შევაჩერო ისინი, ღმერთმანი, ცრემლებს ვაღვრევიანებდი მათ, ვიდრე ქალაქის ბჭეთ დასტოვებდნენ, რადგან ისეთ სიტყვებს ვიტყვოდი, რომლებიც ცრემლებს მოჰკვირდნენ ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩემი მსმენელი“. და როდესაც თვალს მიეფარნენ, გადავწყუ-

ვიტე მეთქვა სონეტი, რათა მოკლედ გადმომეცა ის, რაც მაშინ ვუთხარი თავს. ხოლო სათქმელისთვის უფრო საწყალობელი სახე რომ მიმეცა, გადავწყვიტე მაგ მსხმეთა მიმართ მეთქვა ის და არა ჩემივე თავის მიმართ. და ვთქვი ქვემოთ მოყვანილი სონეტი, რომელიც ასე იწყება: „ვის გამო კმუნავთ მარქვით, მსხემნო, სახედალრეჯით“... ხოლო სიტყვას „მსხემი“ მისი ფართო მნიშვნელობით ვხმარობ, და ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ კაცმა ორგვარად შეიძლება გაიაზროს იგი: ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით, მსხემი უთვისტომოს, სამშობლოდან გარდახვეწილსაც ნიშნავს, ხოლო ვიწროთი — მხოლოდ მას, ვინც წმიდა იაკობის სავანისკენ მიდის, ან იქიდან ბრუნდება უკან. ამიტომ ხამს ვიცოდეთ, რომ სამგვარად იწოდებიან უზეშთაესის სამსახურად აღძრულნი: „პალმიერებად“, რამდენადაც ზღვისიქითა ქვეყნებში მიდიან, საიდანაც პალმის რტო ჩამოაქვთ ხშირად; „პერეგრინებად“, რამდენადაც გალისიას ეშურებიან, სადაც დაეფლა წმიდა იაკობი², ხოლო ის სამშობლოდან უფრო შორს დაეფლა, ვიდრე რომელიმე სხვა მოციქული; და, ბოლოს, „რომერებად“³, რამდენადაც რომისკენ ისწრაფვიან, საითცნაც ისწრაფვოდნენ ისინიც, რომელთაც ქვემოთ მოყვანილი სონეტში მივმართავ და რომელთაც წმიდა ადგილების მომლოცველთა ზოგად სახელს ვუწოდებ: „მსხემთ“. ამ სონეტს ნაწილებად არ ვყოფ, რადგან, ზემოთე თქმულის წყალობით, ის ისედაც გასაგებია.

სონეტი X XIV

ვის გამო კმუნავთ, მარქვით, მსხემნო, სახედალრეჯით,
იქნებ მის გამო, ვინც ქალაქში აღარ შეგხვდებათ?

უდაბურმა და შორეულმა გზებმა დაგლალათ,
თუ სხვა რამეა დაფარული დარდის მიზეზი?

ცრემლს რატომ არ ღვრით, რომ მდუმარე აჩრდილებივით
მიჰყვებით უხმოდ მგლოვიარე ქალაქის ქუჩებს,
იქნებ ვერ ხედავთ მის ვარაშს და უბედურებას,
იქნებ არ იცით, გლოვის ზარი რატომ გაისმის?

თუკი შეიკდით და მომისმენთ, — მე გული მიგრანობს
და ვიცი იგი არ მატყუებს, — ამ ძაძითმოსილ
ქალაქის ბჭეებს თქვენ არასდროს არ გასცილდებით.

მან დაიტირა ბეატრიჩე, — სწორუბოვარი
მშვენება თვისი და მერწმუნეთ, ამ ზარდაცემამ
თვით შორით მოსულს შეუძლია მოჰკვაროს ცრემლი.

XLII

მერე ორმა კეთილშობილმა ასულმა წიგნი მომწერა და
მთხოვა, ნუ გაგვაწბილებ და შენი ლექსები გამოგვიგზავნეო-
და მაშინ, მათი კეთილშობილების მიმართ გონდაუჩქებულმა,
გადავწყვიტე უთუოდ გამეგზავნა ისინი მათთვის და ერთი
ახალი სონეტიც დამერთო ზედ, რათა უფრო ღირსეულად
დამეკმაყოფილებინა ჩემი ღირსეული მთხოვნელების თხოვნა-
და ვთქვი მაშინ ამ წიგნის უკანასკნელი სონეტი და ზემორე
ბოყვანილისა და კიდევ ერთი სხვა სონეტის (რომელიც ასე
იწყება: „ჰე, მოდით, გულნო“...) თანდართვით გავუგზავნე
მათ. ხოლო სონეტი, რომელიც მაშინ ვთქვი და რომელიც ასე
იწყება: „უკან იტოვებს“.... ხუთ ნაწილად იყოფა: პირველში
ვამბობ, საით ისწრაფვის, საითკენ ჰქრის ჩემი გონება, რომელ-

საც მისი ერთ-ერთი ეფექტის სახელს ვუწოდებ; მეორეში ვამბობ, ზესკნელისკენ ისწრაფვის-მეთქი და ვაცხადებ, რა წარმართავს მას; მესამეში ვამბობ, ვის ხედავს იგი (ხოლო ხედავს ნეტარებით გასწივოსნებულ ასულს) და „ყარიბ სულს“ ვუწოდებ მას, რადგან მხოლოდ სულიერი ძალა ამაღლებს ყარიბივით უთვისტომოს და უცხოთა კარად მყოფს; მეოთხეში ვამბობ, როგორ ხედავს მას ისეთს, ესე იგი ისე ნათელმოსილს, რომ ჩემი გონება ვერ სწვდება მას; რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ღირსების ჰერეტისას ჩემი აზრი აღწევს იმ ზღვარს, რომლის წვდომაც აღარ ძალუძს გონებას ჩემსას, რადგან მოკვდავთა ინტელექტი ისევე ვერ უჰკრეტს მაგ ნეტარ სულთა სუფევას, როგორც ჩვენი სუსტი და უძლური თვალი — მზეს: და ამას ფილოსოფოსი გვიმოწმებს „მეტაფიზიკის“ მეორე წიგნში¹. მეხუთეში ვამბობ, რომ, მართალია, არ ძალმიძს კვალდაკვალ მივჰყვე ჩემს აზრს და მიეწვდე მას, რასაც თავად სწვდება, ესე იგი, მის უხრწნელ ნათელს, მაგრამ გუჟანით მაინც ვხვდები, რომ ის მხოლოდ ჩემს ქალბატონს დასტრიალებს თავს, რადგან არაერთგზის მიხსენებს მის წმიდა სახელს. და, ბოლოს, სონეტს იმიტომ ვასრულებ „ასულთა“ ხსენებით, რათა ცხადვყო, რომ მხოლოდ მათ მივმართავ და არა სხვათ. მეორე ნაწილი ასე იწყება: „რაკი ახალი აზრი...“, მესამე: „როცა მიღწევს“...; მეოთხე: „და მისი ნათლის“...; მეხუთე: „ერთს კი მიხვდება“... რასაკვირველია, შეიძლებოდა ამ სონეტის კიდევ უფრო წვრილად დაყოფა, მისი უკეთ გაგების მიზნით, მაგრამ რაკი შეიძლება ამ დაყოფითაც დავეკმაყოფილდეთ, ამიტომ მეტად აღარ დავყოფ მას.

უკან იტოვებს ჩემი ოხვრა თავად იმ სენელსაც,
რომელიც ცათა ყველა სფეროს გარემოცავს,
რაკი ახალი აზრი, მასში სიყვარულისგან
ცრემლით შთართული აღიტაცებს ზესკნელისაკენ.

როცა მიადწევს სასურველ ზღვარს ცათა სტუმარი,
იხილავს ქალწულს ნეტარებით გასხივოსნებულს
და მისი ნათლის უსასრულო სიუხვისაგან
განცვიფრებული დამუნჯდება ყარბი სული.

შემოქცეული კვლავ ჩემთანვე — მიამბობს ბილულს,
მაგრამ უცხო და გასაოცარ ხილვათა იგავს
მოწყურებული ჩემი სული ველარ მიწვდება.

ერთს კი მიხვდება მაინც იგი, რა მოესმება
მრავალგზის თქმული: — „ბეატრიჩე“, — და ეგ სახელი,
სათნო ასულნო, განმიცხადებს დაფარულს ყოველს.

XLIII

ამ სონეტის გასრულების შემდეგ კვლავ აღდგა ჩემში ძლე-
ვამოსილი ხილვა და თვალი ვკიდე უტყვეს და უსახოს, რამაც
მაიძულა დამედუმებინა მაგ კურთხეულის სახელი, და დამე-
დუმებინა მანამ, სანამ არ შევძლებდი უფრო სრულქმნილი
და ღირსეული საგალობელი მეთქვა მისდამი. და ამის მისა-
ღწევად ვიღწვი, ვრუდუნებ და ვმუშაკობ დღისით და ღამით,
როგორც ეს ჰემმარიტად უწყის მან! და თუ ინებებს ის, ვი-
სითაც სულდგმულობს ყოველი სულდგმული, თუ ინებებს

და ცოტასაც დამაცლის, ვიმედოვნებ, მისი შეწევნით, ვთქვა
ნასზე ის, რაც არავისზე არ თქმულა არასდროს. მერე კი, დაე,
მიმიღოს უფლის ტკბილმა გულმოწყალებამ, რათა მივპხვდე
მას ჩემსა ნდომას² და ვიხილო ქალბატონის ჩემის დიდება,
ანუ, იმ ნეტარი ბეატრიჩესი, ვინც პირისპირ კვრეტს სახეს
მისას, qui est per omnia saecula benedictus³.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

I

1. შტრ. „ჯოჯობეთი“, II, 8: O mente che scrivesti ciò ch'io vidi— „გონებზე, რომელმაც შთაიწერე ის, რაც მე ვიხილე“; „სამოთხე“, XXIII, 54: ...libro che il proterito rassegna — „(მეხსიერების) წიგნი, რომელიც გარდასულს იწერს (იმარხავს)“.

2. იწყების ახალი ცხოვრება (ლათ.). დანტოლოგებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რა აზრით უნდა ხმარობდეს პოეტი ამ სიტყვებს: Vita Nova, ერთნი (ჩეზარე ბალბო, პიეტრო ფრატინელი და სხვ.) ფიქრობენ, რომ Vita Nova „სიკაბუკეს“ (vita giovanile) უნდა ნიშნავდეს, რადგან სიტყვას „nuova“ დანტე ხშირად ხმარობს „ახალგაზრდულის“, „კაბუკურის“ მნიშვნელობით. მეორენი კი (ჯოვანი სკარტაციანი, ნიკოლა სკარანო და სხვ.) ამტკიცებენ, რომ ლათინური „nova“ არასოდეს ყოფილა „კაბუკურის“ სინონიმი და ამიტომ მცდარად მიიჩნევენ პირველთა აზრს. მაგრამ თუ ამ სიტყვების ლიტერული აზრის (senso litterale) დეფინიციის საკითხში კომენტატორნი ასერიფად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, სამაგიეროდ მათი ანაგოგიური, ანუ „ზე აზრის“ (senso anagogico, cioè sopra senso; დანტესეული ტერმინებია: „ნადიმი“, II, 1) განსაზღვრისას ერთსულოვნად იმოწმებენ პავლე მოციქულის სიტყვებს: „არამედ რაჲ იგი არს ქრისტეს მიერ, ახალი დაბადებული. პირველი იგი წარხდა, აჲ, ესერა იქმნა ყოველივე ახალ“ (II კორინთ. 5, 17); „... ეგრეთჲა ჩვენ განახლებითა ცხოვრებისა თა ვიდოდეთ“. (რომაელთა, 6, 4).

3. აქ და ქვემოთაც დანტე, რუსთაველის მსგავსად, „ლექსების“ მნიშვ-

ნელობით ხმარობს „სიტყვებს“ (შდრ. „არ ძალ-უცთ სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“).

4. „assemblare“ — ამ არქაულ სიტყვას კომენტატორნი განმარტავენ, როგორც „შეკრებას“, „შეერთებას“, „თავმოყრას“ (raccorre, raccogliere, unire). მაგრამ, ჩემის აზრით, ამ შემთხვევაში ის იტალიური ზმნიხედისგან (sempre) წარმოებულა და „გამარადისებას“, „უკვდავყოფას“ (eternare) ნიშნავს.

II

1. რიცხვი ცხრა „ახალი ცხოვრების“ რიცხვული სიმბოლიკის უპირველესი ელემენტია. უფრო გვიან ვგვევ რიცხვი თავის ღირსეულ ადგილს დაიჭერს „ღვთაებრივი კომედიის“ რიცხვთა გრანდიოზულ სიმბოლიკაში.

2. დანტე ბტოლომეს კოსმოგრაფიულ ღოქტრინას მისდევს: უძრავი მიწის — სამყაროს ცენტრის გარშემო ზეცის ცხრა სქნელი ბრუნავს: მთვარის ცა, ანუ ძველი ქართული ტერმინოლოგიით, ჰირანო, მერკურის ცა (ცორანო), ვენერას ცა (მელტარო), მზის ცა (კოკიმელი), მარსის ცა (კიმკიმელი), იუპიტერის ცა (კიმკიმელი), სატურნის ცა (არბასტრო), ვარსკვლავთა ცა, და, ბოლოს, მეცხრე ცა, ანუ პირველი მძვრელი (primo mobile); იგივე „cielo cristallino“ („რომელი ყოელთა ცათა აღმოსავლით დასავალად გარდააბრუნებს და მსგავს არს ბროლისა“ — სულხან-საბა ორბელიანი). „ნათლის ზესკნელს“ (lo cielo della luce) დანტე ამ ცხრა სქნელს შორის მეოთხეს, ე. ი. მზის ცას უწოდებს.

3. „ღიდებამოსილი“ (gloriosa) — ეს ეპითეტი მიგვანიშნებს, რომ „ახალი ცხოვრების“ წერას დანტე ბეატრიჩეს გარდაცვალების შემდეგ იწყებს, რადგან, როცა ბეატრიჩეს სიცოცხლისდროინდელ პერიოდს აღწერს, როგორც წესი, ორი მუდმივი ეპითეტით იხსენიებს მას: „უკეთილშობილესი“ (gentilissima) ან „ჩემი ქალბატონი“ (la mia donna), რომელთაც მხოლოდ ბეატრიჩეს სიკვდილის შემდეგ ენაცვლება ეპითეტი „ღიდებამოსილი“.

4. ეს „ახალი ცხოვრების“ კეშმარტიად ყველაზე ბუნდოვანი ადგილია. კომენტატორებს დღემდე ვერ გაუცხადებიათ მისი ფარული აზრი. წინამდებარე თარგმანი ამ ბნელი პასაჟის ინტერპრეტაციის თავისებურ ცდას

წარმოადგენს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ბეატრიჩე“ ნეტარს ნიშნავს იტალიურად.

5. „ნადიმში“ დანტე წერს: „მოელი ცა, რომელიც ვარსკვლავიანი ზეცის მოძრაობას იმეორებს, ასი წლის განმავლობაში ერთი გრადუსით გადაადგილდება დასავლეთიდან აღმოსავლეთით“ („ნადიმი“, II, 6). ამრიგად, თუ ვარსკვლავიანი ზეცა კოსმოსში ერთი გრადუსით გადაადგილებას ას წელს ანდომებს, ცხადია, $\frac{1}{12}$ გრადუსით 8 წლისა და 4 თვის განმავლობაში გა-

დაადგილდება იგი. დანტე დაიბადა 1265 წლის 18—31 მაისს შუა (ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის). და რაკი თვითონვე ამბობს, როცა ბეატრიჩე პირველად ვიხილე, მისი შეცხრე წელი ის იყო იწყებოდა, ჩემი კი იწყებოდა უკვე, ამიტომ ისინი 1274 წლის მაისში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს (—პირველ მაისსო, — ამტკიცებს ჯოვანი ბოკაჩო, „დელკამერონის“ ავტორი, დანტეს ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი და კომენტატორი). ბეატრიჩე ამ დროისათვის 8 წლისა და 4 თვის იქნებოდა დაახლოებით.

6. cinta.

7. ვიტალური საწყისი იგულისხმება.

8. აჰა, უფალი ჩემზე მძლავრი, რომელიც მოვალს, რათა დამიმონოს მე (ლათ.).

9. სპირიტუალურ-ინტელექტუალური საწყისი.

10. ე. ი. ტვინში.

11. მხედველობითი უნარი (la facoltà visiva — ფრანჩესკო კოსტერო).

12. უკვე გამოჩნდა ნეტარება თქვენი (ლათ.).

13. სიტყვიერი საწყისი (lo spirito vocale — პიეტრო ფრატინელი).

14. ვაიმე ბედკარულს რამეთუ ამიერიდან შეპირებული ვიქნები ხშირად (ლათ.).

15. კომენტატორნი მიუთითებენ „ილიადის“ ერთ ადგილს — III, 158. მაგრამ დიონიზის, დანტეს ცნობილი კომენტატორის აზრით, აქ „ილიადის“ სხვა პასაჟი (XIV, 258) უნდა იგულისხმებოდეს.

III

1. ე. ი. 1283 წ. დანტე ამ დროისთვის 18 წლისა იქნებოდა დაახლოებით, ხოლო ბეატრიჩე — 17 წლის და 4 თვისა.

2. „ნადინში“ (II, 11) დანტე წერს: „არა არის რა ქალში უფრო მშვენიერი, ვიდრე თაეზიანობა“.

3. შდრ. „სამოთხე“, XV, 34—36:

Dentro agli occhi suoi ardeva un riso
Tal, ch'io pensai co' miei toccar lo fondo
Della mia grazia e del mio paradiso—

მის (ბეატრიჩეს) თვალბში ისეთი ღიმილი ენათ, რომ მეგონა ჩემებით (ე. ი. ჩემი თვალებით) მიეწვდო-მეთქი სიღრმეს ჩემი ხსენისა და ჩემი სამოთხის.

4. პოეტის სული თანდათანობით თავისუფლდება რეალობისგან („თრობა“, ზმანება, ხილვა, შდრ. ქვემოთ, თ. XII, XXIII, X L, XLIII), რათა, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიწმინდის, მარადისობის, უცვლადეობისა და უცვლადობის სამყაროში გადავიდეს“ („ფედონი“, XXVII), სადაც თვითული მისი განცდა თითქოს უფრო ცხადი ხდება და ინტენსიური; და ჩვენ გვახსენდება დეკარტეს სიტყვები: „მე ვხედავ, რომ არ არსებობს არავითარი სანდო ნიშანი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყოს სიღბისლის გარჩევა სიზმრისაგან“ („მეტაფიზიკური განაზრებანი“), ან დიდი ესპანელი პოეტის ცნობილი ღრამის სათაური და არსი („ცხოვრება სიზმარია და სიზმარიც, თავის მხრივ, სიზმარია მხოლოდ“). მათზე ადრე პინდარემ თქვა: „ჩრდილის აჩრდილია კაცი“; შექსპირი „ქარიშხალში“ ამბობს: „ჩვენ იმავე მასალისგან ვართ ნაგები, რომლითაც იგებიან ზმანებანი, და ჩვენს მოკლე სიცოცხლე მოცულია ძილით“; ხოლო შოპენჰაუერი, სიზმრის ბენებას რომ აანალიზებს, შემდეგ დასკვნამდე მიდის: „იღა დავერჩენია, დავეთანხმეთ პოეტებს, რომ სიცოცხლე გრძელი სიზმარია“ („სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“).

5. მე ვარ უფალი შენი (ლათ.).

6. იხილე გული შენი (ლათ.).

7. მრავალთაგან დღემდე სამი საპასუხო სონეტილა შემორჩა: გვიდო კავალკანტის, ჩინო და პისტოიასი და დანტე და მაიანოსი. ეს უკანასკნელი თავის სონეტში „ათრეკს“ და დაცინის დანტეს („ვერ მოვიხევენებ, სანამ შენს შარდს ექიმებს არ გავაშინებო“ — ამ სიტყვებით მთავრდება მისი პასუხი).

8. იგულისხმება გვიღო კავალანტი, დანტეს უპირველესი შეგობარი, ე. წ. „ახალი საამო სტილის“ (dolce stil nuovo) ერთ-ერთი უდიდესი ადვებტი.

V

1. ლეთისმშობელი იგულისხმება.

VI

1. სერვენტეზა — ლექსის ფორმა (ტერცინებით წერდნენ მეტწილად). დანტეს ეს სერვენტეზა დღესდღეობით დაკარგულად ითვლება. კომენტატორნი მის ანარეკლს ხედავენ „Canzoniere“-ს (დანტეს ადრინდელ ლექსთა კრებული) პირველ სონეტში, სადაც პოეტი ასახელებს ქალს, რომლის ნომერია 30: „...quella ch'è sul numero del trenta“.

VII

1. ე. წ. „მრჩობლი სონეტის“ („Sonetto doppio“) ნიმუში.

2. „ჩვენდამო ყოველთა თან წარმავალთა გზისათა ზედ მოიხილეთ და იხილეთ, უკეთუ არს ლმობა ლმობისაებრ ჩვენისა“ (ლათ. გოდება იერემიასი, 1, 12).

IX

ზოგი დანტოლოგის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს პოეტის გამგზავრება ფლორენციიდან ბოლონიის უნივერსიტეტში შესასვლელად: სხვები კი თვლიან, რომ აქ ნაგულისხმევია დანტეს მონაწილეობა ან კამპალდინოს ბრძოლაში (1289 წ. 11 ივნისი), რომელშიაც ფლორენციელმა გველფებმა მუსსრი გააუღეს არეცოელ ვიბელინებს (ლენონარდო ბრუნი, „დანტეს ცხოვრება“; ჟოვანი ვილანი, VII, 131; შდრ. „სალზინებელი“, V, 92 და შმდ.), ან კაპრონას ციხე-სიმაგრის გარემოცვასა და აღებაში (იმავე წლის აგვისტო; ჟოვანი ვილანი, VIII, 137; შდრ. „ჯოჯობეთი“, XXI, 95 და შმდ.); მაგრამ ორივე ეს მოსაზრება ჰიპოთეტურია.

1. In feci mia difesa tanto...

XI

1. იტალიურ პოეზიაში ძნელია დაიძებნოს საყვარლის მიმართ თქმული სიტყვები, რომლებშიც მსგავსი სახესებით იყოს გადმოცემული საყვარულის განმწმენდი და აღმამაღლებელი („საყვარული აღგვამაღლებს...“) ძალა, თუ არ ჩავთვლით მიქელანჯელოს წმიდა სტრიქონებს: „როცა შენ გწყდები, თვალისჩინი მეშრიტება, სულო, რადგან არაა ცა იქ, სადაც არა ხარ შენ“ (მადრიგალი . LII, ჩეზარე გუასტის გამოცემა, ფლორენცია, 1863 წ.).

2. *con viso vestito d'umiltà*; შტრ. ქვემოთ, თ. XXVI, „ასე მიღიოდა ის, სიმდაბლისა და მორჩილების შარავანდით მოსილი“; იქვე (სონეტი): „მიდის სიწმინდე-სათნოებით გარემოსილი“; თ. XXVII (სონეტი): „მოსავს სიწმინდით, კლემითა და სარწმუნოებით“.

XII

1. შეილო ჩემო, დროა დაეუტევეთ თვალთმაქცობა ჩენი (ლათ.).

2. მე ვარ წრის ცენტრი, რომლისგანაც თანაბრადაა დაშორებული წრე-ხაზის ყველა წერტილი; შენ კი არა ეგრეთ (ლათ.), რაც ინიშნავს: მე ხანიერი ვარ და უცვლელი, შენ კი უხანო და ცვლადი (ფრანჩესკო კოსტერო); წრე ითვლებოდა იდეალური სრულქმნილების სიმბოლოდ და ამიტომაც, რომ „სამოთხის“ უკანასკნელ საგალობელში (XXXIII. 115—117) წმიდა სამება სამი სამფეროვანი და აბსოლუტურად იდენტური წრის სახით წარმოუჩნდება პოეტს.

3. ე. ი. იტალიურად და არა ლათინურად, როგორც მანამდე.

4. როგორც ჩანს, დანტე XXV თავს უნდა გულისხმობდეს აქ.

XIII

1. სახელები მოსდევენ საგნებს (ლათ.) ზოგი კომენტატორი ამ სიტყვებში შუა საუკუნეების სქოლასტიკური ფილოსოფიის ორი ურთიერთსაპირის-

პირო მიმდინარეობის — „ნომინალიზმისა“ და „რეალიზმის“ ბრძოლის გამოძახილს სედავს. მაგრამ თუ უფრო ადრეულ წყაროებს დაუწევებთ ძიებას, შეიძლება პლატონის „კრატილესაც“ კი მივაღებთ.

XIV

1. დანტე თავის თავს გულისხმობს აქ.

XVI

1. შდრ. ქვემოთ, XXI თავის დასაწყისი.
2. შდრ. ზემოთ, XIV თ. სონეტი.

XVII

1. დანტეს ცნობილი კომენტატორი ალესანდრო დ'ანკონა, რომელიც „ახალ ცხოვრებას“ 7 ნაწილად ჰყოფს და, როგორც ჩანს, სავსებით მართებულადაც, ამ თავით ამთავრებს მეორე ნაწილს (II—XVII თ.). პირველი ნაწილი (თ. I) შესავალია. მეორე ნაწილი, რომელსაც პირობითად შეიძლება ასე ეწოდოს: „უბაბუკური სიყვარული და სიტყვები — თქმულნი ბეატრიჩეს სხეულებრივი მშვენების ქებად“, მოიცავს დანტეს ცხოვრების ადრინდელ პერიოდს — 9 წლიდან ვიდრე 22 წლის გასრულებამდე (1274—1287 წ.). მესამე ნაწილი (XVIII—XXVIII თ.) — „ახალი სიტყვები, თქმულნი ბეატრიჩეს სპირიტუალური მშვენების ქებად“, — პოეტის ცხოვრების დაახლოებით ორ წელს მოიცავს (1288 წლის მაისი — 1290 წლის ივნისი). მეოთხე ნაწილი (XXIX—XXXV თ.) ბეატრიჩეს სიკვდილსა და უსავნოდ შთენილი პოეტის განცდებს აგვიწერს (1290 წლის 9 ივნისი — 1291 წლის სექტემბერი). მეხუთე ნაწილი (XXXVI—XXXIX თ.) „მღამობელ ასულს“ ეძღვნება მთლიანად (1291 წლის სექტემბერი, ან 1292 წლის მაისი). შეექვსე ნაწილი (XL — XLII თ.) გვიმედავენებს, როგორ მიუბრუნდა დანტე თავის ჰემზარიტ კულტს — ბეატრიჩეს სიყვარულს და ხსოვნას. მეშვიდე ნაწილი კი (თ. XLIII) დასკვნაა. (დ'ანკონასგან განსხვავებით, „ახალი ცხოვრების“ გასრულების უკიდურეს თარიღად სკარტაცინი მიიჩნევს 1292 წელს); ამრიგად, „ახალი ცხოვრების“ არქიტექტონიკისა და კომპოზიციის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე, იტალიელი ფილოლოგი,

ვარდა ცხრისა, სამისა და სხვათა, ავლენს კიდევ ერთ საკრალურ რიცხეს — 7 .

XIX

ამ კანცონამ ერთბაშად მოუხვეჭა დანტეს ფლორენციის პირველი პოეტის სახელი, ამიტომაც, რომ „სახლონებელში“ (X XIV, 49—51) ბუნაჩუნტა, ლუკელი პოეტი, ასე მიმართავს დანტეს:

Ma di' s'io veggio qui colui che fuore
Trasse le nuove rime, cominciando:
„Donno ch' avete intelletto d' Amore“

(მაგრამ მითხარი, მართლა მას ვხედავ თუ არა ჩემს წინაშე, ვინც ახალი სტილით პირველად იმღერა ასე: „ასულნო, არსი სიყვარულის ვინც შეიმეცნეთ“). ამავე კანცონას ახსენებს დანტე თავის ტრაქტატში — „De vulgari eloquio“, II, 8, 12.

2. კომენტატორნი სამართლიანად მიიჩნევენ ამ ორ სტრიქონს პირველი ინტენციად „ღვთაებრივი კომედიის“ შექმნისა.

XX

1. იგულისხმება ბოლონიელი პოეტის გვიდო გვინიჩელის (1235—1276) ცნობილი კანცონა „Al core gentil ripara sempre Amore“ — სიყვარული მიწყვი კეთილშობილ გულს აფარებს თავს. (შდრ. პლატონი, „ნადიმი“, XVII: „სიყვარული... ღმერთთა და კაცთა გულებსა და სულებს ირჩევს თავის საფანედ. მაგრამ განურჩევლად ყველა სულს კი არა: უხეშ სულს გაურბის იგი და ფაქიზში ივანებს მხოლოდ“). ამ კანცონას ახსენებს დანტე ტრაქტატებში: „De vulgari eloquio“, (I, 9; II, 5) და „Convito“ (IV, 20). გვინჩელი თავის სულიერ მოძღვრად მიიჩნდა „ახალი ცხოვრების“ ავტორს, და როდესაც „სახლონებელში“ (XXVI, 91 და შმდ.) შეხვდება ბოლონიელ პოეტს, „თავისსა და თავისზე უკეთესთა მამას“ უწოდებს მას (il padre mio e degli altri miei miglior).

XXII

1. იგულისხმება ბეატრიჩეს მამა — ფოლკო პორტინარი — ფლორენციელი გრანდი, გველფების პარტიის გავლენიანი წევრი. გარდაიცვალა 1289 წელს. მისი ანდერძიდან, რომელიც 1288 წლითაა დათარიღებული, ირკვევა, რომ 1287 წლის 15 იანვარს ბეატრიჩე ცოლად გაჰყოლია სიმონე დი ჯერი დეი ბარდის.

XIII

1. ოსანა, რომელი ხარ მალალთა შინა! (ლათ.); ამ სიტყვებით შეეგება ხალხი იესო ქრისტეს, როცა ის ვიოზე მჯდომი შევიდა იერუსალიმად (მათე, 21, 9).

2. კომენტატორთა აზრით, აქ დანტეს და უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ცოლად ჰყოლია ლეონე პოჯის, ფლორენციის კომუნის ჰეროლდს (banditore).

XXIV

1. იგულისხმება გვიდო კავალკანტი, რომელსაც პოეტი პირველად ახსენებს III თავის ბოლოს. მაგრამ არ უნდა განგვაცვიფროს იმან, რომ ამ ჩვენებით ნაცვალსახელს („ეს“ — „questo“) დანტე ისე თავისუფლად იყენებს აქ, თითქოს XXIV თავით III-ს აგრძელებდეს უშუალოდ. ეს საერთოდ სჩვევია დანტეს; ამ მხრივ საგულისხმოა ერთი ანეკდოტი: ცნობილია, რომ იტალიის უდიდეს ბრძენ-მოძღვარს თანამემამულენი სწირად მიმართავენ უველაზე უმნიშვნელო შეკითხვებითაც კი; და აი, ერთხელ, როდესაც დანტე ჩაფიქრებული იჯდა რავენის პინეტაში (ფიკენარში), ერთმა რავენელმა ჩაუარა გვერდით და ჰკითხა: — რას თვლიო უველაზე გემრიელ საქმელად? — მოხარულ კვერცხსო, — მიუგო დანტემ. ერთი წლის შემდეგ ამ რავენელმა იმავე ადგილას გაიარა და როცა დანტე იმავე პოზაში მჯდომი იხილა, კვლავ ჰკითხა თურმე: — რითო? — მარჩილითო, — უპასუხა დანტემ.

2. სიტყვების თამაშია: პრიმავერა (primavera) გაზაფხულს ნიშნავს იტალიურად, ხოლო „prima verra“ — „პირველი მოვა“.

3. მე ხმა მღალადებელისაა უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისა-

ნი (ლათ.) იოანე ნათლისმცემელის სიტყვებია (იოანე, 1, 23). ანალოგიის აზრი ნათელია: ბეატრიჩე ქრისტესთანაა გაიგივებული, ხოლო ჯოვანა — იოანე (იტალ. ჯოვანნი) ნათლისმცემელთან.

4. მონა — შემოკლ. მადონა; ვანა — ჯოვანა; ბიჩე — ბეატრიჩე.

X X I V

1. ასე უწოდებს დანტე არისტოტელეს, რომლის მოძღვრებასაც, როგორც ფიქრობენ, ის იცნობდა მხოლოდ ზოგადად, შუა საუკუნეების უდიდესი თეოლოგის — თომა აკვინელის (1225—1274) თხზულებებში ციტირებული ნაწყვეტების მიხედვით. კერძოდ, ამ შემთხვევაში, იმოწმებენ აქვინელის უდიდეს ქმნილებას: „Summa theologiae“ (I, 7, 31).

2. ასე უწოდებს დანტე, შესაბამისად, პროვანსულ და იტალიურ ენებს.

3. აქ და ქვემოთ ციტირებულია ნაწყვეტები ძველი რომაელი პოეტების ქმნილებებიდან: ვერგილიუსი, „Aeneis“, I, 65, 76; III, 94; ლუკანუსი, „Pharsalia“, I, 47; პორაციუსი, „Poetria“ („De arte poetica“) 141; ოვიდიუსი, „Remedia Amoris“, 2.

4. თავის „De arte poetica“-ში (141—142) პორაციუსს მოჰყავს „ოდისეას“ პირველი სტრიქონების თარგმანი. თარგმანი მიახლოებითია: „ოდისეას“ სამი საწყისი სტრიქონი აქ გადმოცემულია ორით, და, ალბათ, ამას გულისხმობს დანტე, როცა წერს: „თითქოს“...

5. „ახალი ცხოვრების“ ეს თავი ბევრი რამით ეხმაურება დანტეს ცნობილ ტრაქტატს: „De vulgari eloquio“.

X X I X

1. ვითარ დაჟდა მარტო ქალაქი განმრავლებული ერთთა, იქმნა ვითარცა ქეროვი დედუფალი ნათესაეთა შორის (ლათ.; გოდება იერემიასი, 1, 1).

X X X

1. Tismin;—ტრისიო, — ასწორებს სალუნი, რომელსაც პელი და ფრატიჩელიც ეთახსმებიან.

9. დანტე

2. იგულისხმება 10.

3. ამ მონაცემების საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ ბეატრიჩეს გარდაცვალების თარიღი: ბეატრიჩე მიიცვალა მეცამეტე საუკუნის იმ წელს, როცა „უსრულქმნილესი რიცხვი“ (10) ცხრაჯერ გასრულდა ამ ასწლეულში, ე. ი. 1290 წელს ($10 \times 9 = 90$). მერე, რადგან სირიული (ებრაულიც, ასწორებს ფრატიჩელს) წლის პირველი თვე — ტისმინი (ტრისი) იტალიურ ოქტომბერს შეესატყვისება, ამიტომ ბეატრიჩე უნდა მიცვლილიყო ივნისის თვეში (თუ პირველ თვედ ოქტომბერს მივიჩნევთ); და ბოლოს, რაკი ბეატრიჩეს სული თვის მეცხრე დღის პირველ საათზე გაეყარა სხეულს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის მიიცვალა 1290 წლის 9 ივნისს, ღამის პირველ საათზე.

XXXIII

1. დანტოლოგების აზრით, ეს უნდა იყოს ბეატრიჩეს ერთ-ერთი უფროსი ძმა — მანეტო ან რაიკოვერო (შდრ. XXXIV თავის დასასრული), მოხსენიებულნი ფოლკო პორტინარის ანდერძი (1288 წ.).

XXXV

1. ე. ი. 1291 წლის 9 ივნისს.

XXXVI

1. ვინ უნდა იყოს ეს მღმობელი ქალწული, რომელსაც „ახალი ცხოვრების“ მთელი ოთხი თავი (XXXVI—XXXIX) ეძღვნება, და როდის უნდა ეხილა ის პირველად პოეტს? „ნადიმში“ (II, 2) დანტე წერს: „ნეტარი ბეატრიჩეს გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ცაში ანგელოსთა შორის სუფევს და მიწაზე — ჩემს სულში, ასპიროზი (ვენერა) უკვე ორჯერ გარემოიქცა იმ წრეზე, რომელიც მას გამოაჩინებს, როგორც დიღის და როგორც საღამოს ვარსკვლავს, როდესაც ჩემს მზერას, სიყვარულთან ერთად, პირველად მოვევლინა კეთილშობილი ასული იგი, ვინც „ახალი ცხოვრების“ დასასრულს მოვიხსენიე და ვინც მოვლინებისთანავე გარკვეული ადგილი დაიკვირა ჩემს გულში“. სკარტაცინი, დანტეს უდიდესი კომენტატორი, შენიშნავს: „თუ დანტემ იცოდა, რომ თავის ორბიტაზე გარემოქცევას ვენერა

224 დღეს, 16 საათს, 49 წუთსა და 7 წამს ანდომებს, „ნალინში“ ის, ალბათ, გვეუბნება, რომ მისი მეორე სიყვარული ბეატრიჩეს გარდაცვალებიდან 450 დღის შემდეგ დაიწყო; ხოლო თუ პოეტი ალფრაგანსი (Alfraganus) მისდევს (რაც უფრო საეარაუდოა: შდრ. „ნალიში“, II, 15), რომლის თანახმადც ვენერას პერიოდის ხანგრძლივობა მზისაზე ცოტა ნაკლებია და 348 დღეს შეადგენს, „ნალიში“ ის, ალბათ, გვეუბნება, რომ მისი მეორე სიყვარული ბეატრიჩეს გარდაცვალებიდან დაახლოებით 23 თვის შემდეგ დაიწყო, ე. ი. 1292 წლის მაისში. ორსავე შემთხვევაში „ნალიშის“ ქრონოლოგია საესებით ემთხვევა „ახალი ცხოვრებისას“, რადგან რა გვიშლის ხელს ვიგულისხმოთ, რომ „ახალი ცხოვრების“ „რამდენიმე ხნის შემდეგ“ (შდრ. XXXVI თავის დასაწყისი, — ბ. ბ.) რამდენსამე თვეს მოიცავს? სკარტაციინის, ისევე როგორც ბევრი სხვა დანტოლოგის აზრით, პოეტის მეორე სიყვარულის საგანი უნდა ყოფილიყო ჭემმა ღონატი, რომელიც დაახლ. 1296 წელს დანტეს შეუღლე გახდა.

XXXVII

1. ე. ი. მიეშურებოდნენ რომს, სადაც, წმ. პეტრეს ტაძარში ასენია მაცხოვრის ცნობილი ხატი, ე. წ. „ვერონიკა“ (Veronica—დამახინჯ. —vera eicon; vera — ლათ. კეშმარიტი; eicon— ბერძნ. ხატი). დეუკანეის მოწმობით, პაპ ნიკოლო IV ამ ხატზე უთქვამს: „Pretiosissimi vultus imaginem, quam Veronicam fidelium vox appellat“ (უძვირფასესი სახის ხატი, რომელსაც ვერონიკას უწოდებენ მორწმუნენი). ამ ხატს უგალობა დანტემ „სამოთხეში“ (XXXI, 103 და შმდ.).

2. იგულისხმება წმ. იაკობის სახელობის ტაძარი — სანტ-იაგო დე კომპოსტელა; წმ. იაკობი (ესპ. სანტ-იაგო), ესპანელთა განმანათლებელი, გამოცემით, გალისიას დაეფლა.

3. იტალ. რომეოს (roméo) ნაცვლად, რომელიც სხვაგვარ ასოციაციას აღუძრავდა მკითხველს, მისი ჭუფთი ესპ. romero ვიხმარე (ამის უფლება, ვფიქრობ, არანაკლებ მქონდა, ვიდრე ე. მ. ალექსეევს, რომელიც „ჩინური კლასიკური პროზის“ თავის კეშმარტად კლასიკურ თარგმანში „დუნედას“ იყენებს ზოგჯერ).

1. „როგორც ლამურა ვერ უსწორებს თვალს დღის ნათელს, ასევე სულია ჩვენის გონება უძლურია ბუნებით ყველაზე ნათელ ფენომენტა გაცდად“ (არისტოტელე, „მეტაფიზიკა“, წ. II, თ. II, 993 ს): განმარტებისათვის: არისტოტელეს გონება მიაჩნდა სულის ნაწილად, რომლითაც სული იმეცნებს (*pars animae, qua anima cognoscit et sapit*).

2. იგულისხმება მეცხრე ცა — პირველი მძვრელი (*primo mobile*).

XLIII

1. „ნადიმში“ (II, 13) დანტე იგონებს, როგორ მიუბრუნდა ბეატრიჩეს სიკვდილის შემდეგ მას, „რასაც არაერთი უნუგეშოსთვის უცია ნუგეში“, — კაცობრიობის დიდ მოძღვართა სიბრძნით გაბრწყინებულ მოძღვრებებს, და როგორ მისწვდა „ფილოსოფიის, ამ მოძღვართა და ამ მოძღვრებათა ქალბატონის“ თვალშეუდგამ სიმბოლეს: „და სულ რაღაც ოცდაათოდე თვის განმავლობაში ისე შევიტყბე ფილოსოფიის სიტყბო, რომ მისმა სიყვარულმა ყველა სხვა გრძნობა დათრგუნა ჩემში... რადგან ის იყო უფლის ასული, ყოვლის დედოფალი, უკეთილშობილესი და უმშვენიერესი ფილოსოფია“... შეადარეთ ეს ეპითეტები ბეატრიჩესას, შეადარეთ და დარწმუნდებით, რომ პოეტის სულიერ ევოლუციასთან ერთად ევოლუცია განიცადა ბეატრიჩეს სახემაც; ამ ევოლუციამ აღამალა იგი „ახალი ცხოვრების“ ბეატრიჩედან „წმიდა პოემის“ (ასე უწოდებს სკარტაცინი იტალიური პოეზიის გვირგვინს) ბეატრიჩემდე, ამ ევოლუციამ აქცია იგი ღვთაებრივი სიბრძნის უკვდავ სიმბოლოდ.

2. შდრ. დიდი ესპანელი პოეტი ქალის ტერესა დე ხესუსის სიტყვები:

Sácame de aquesta muerte,
 Mi Dios y damo la vida;
 No me tengas impedida
 En este lazo tan fuerte;
 Mira que muero por verte
 Y vivir sin Ti no puedo.
 Que muero porque no muero—

(ალბიტაცე ამ სიკვდილიდან, უფალო ჩემო. და მომეც სიცოცხლე. ო, ნუ
შამყოფებ ღიღხანს ამ ქვეყნად აგრე მძიმე ქამანდით დაბმულს. ხედავ,
მკლავს შენი ხილვის წყურვილი, და რადგან უშენოდ არ ალმისს ყოფხა,
მე ვკვდები შიტომ, რომ არა ვკვდები).

3. ვინც კურთხეულ არს უკუნითი უკუნისამდე (ლათ.); იგულისხმება
ქრისტე.

ბაჩანა ბრეგვაძე

რედაქტორი ტ. კანტურია
მხატვარი ე. ბერძენიშვილი
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური ბ. ასათიანი
კორექტორი თ. შინდაგორიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XI-66 წ.
ქალაქის ზომა 70×108¹/₃₂
ნაბეჭდი თაბახი 8,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,68
ტირაჟი 7.000 შეკვ. № 3267
ფასი 40 კაპ.